

მიკი სპილეინი A8



ქართულ თხილს ევრობაზრის 5 პროცენტი უჭირავს B2



ერთი ნაბიჯი ელიტამდე C1


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 21 ივლისი, 2006 წელი. №162 (1314) — ფასი 50 თეთრი



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

### სამართალი

**საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება**

საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა - სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" სარჩელი და განხილვამდე შეაჩერა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 მუხლის მე-7 ნაწილის მოქმედება, რომლის მიხედვითაც, მოსამართლის მიერ სასამართლო პროცესზე გამოტანილი განკარგულება პირის დაპატიმრების შესახებ არ საჩივრდებოდა.

A4

### პროექტი

**პროფესიული განათლება - დასაქმებისთვის**

წინასიტყვაობა კანონპროექტისთვის "პროფესიული განათლების შესახებ".

A5


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


### ამინდი

| | 21/07 | 22/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 33 |
| ბათუმი | 28 | 30 |
| სოხუმი | 30 | 28 |
| ქუთაისი | 33 | 32 |
| გორი | 29 | 28 |
| თელავი | 32 | 31 |
| ონი | 25 | 21 |
| ზუგდიდი | 33 | 31 |
| ახმეტა | 33 | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7711 |
| ევრო | 2.2325 |
| ბრიტანეთ. სტერლ. | 3.2693 |
| რუბლი | 0.0657 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| პროექტი | A 6 |
| პროექტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# ბრძოლა ინიციატივისთვის

## საქართველო მოვლენების ფორსირებას იწყებს

სოფო ბუკია

*დღეს საქართველოს პრეზიდენტი რუსეთში მიემგზავრება, სადაც დსთ-ს წევრი სახელმწიფოების ლიდერთა არაფორმალური სამიტი იგეგმება. წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი რუს კოლეგას პირისპირ უნდა შეხვდეს. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ორი ქვეყნის ლიდერის პირისპირ შეხვედრა 22 ივლისს გაიმართება. სააკაშვილისა და პუტინის საუბრის მთავარი თემა რუსი სამშვიდობოების საქართველოდან გაყვანა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება იქნება.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*საქართველო-რუსეთის კონფრონტაცია კულმინაციას აღწევს. სად არის კვანძის გახსნა?*

# ახლო აღმოსავლეთის კრიზისი

## სასტიკი შურისძიება თუ ანტიტერორისტული ოპერაცია?!

ხათუნა გაბიევი

ანტიტერორისტული ოპერაცია, რომელიც ისრაელმა ლიბანში დაიწყო, უფრო მასშტაბურ სახეს იღებს. ბოლო ერთი დღის მონაცემებით, დარტყმებს ლიბანში, ღაზას სექტორში, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში შეტაკებებს 70-ზე მეტი ადამიანი შეეწირა.

**"ქვეყანა ნანგრევებად იქცა, განა ეს ის საფასურია, რასაც ჩვენ სახელმწიფოში დემოკრატიული ფასეულობების დანერგვის ფასად ველოდით? როგორ შეუძლია საერთაშორისო თანამეგობრობას განზე დგომა მაშინ,**

გაგრძელება A3 გვერდზე



*ისრაელის ავიაცია ლიბანს ნანგრევებად აქცევს.*

# დიდი გაერთიანების დიდი პასუხისმგებლობა

**B**

*"საქართველო აღარ არის ქვეყანა, რომელსაც ბუნებრივი აირის ღირებულების გადახდისთვის ხვეწნა სჭირდება, - ამბობს რამდენიმე თვის წინ "საქნავთობის", "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" და "ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" გაერთიანების შედეგად შექმნილი "ნავთობის და გაზის კორპორაციის" ხელმძღვანელი დავით ინგოროყვა, - უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ვალები სრულად გავისტუმრეთ. ამის ხარჯზე შემოდინებული ფინანსური ნაკადების მიმართვა უკვე ისეთ სტრატეგიულ საკითხებზე შეიძლება, როგორიცაა სისტემის გაძლიერება, საცავის, ტერმინალების, ინფრასტრუქტურის აშენება.*



# პასუხის პასუხი ხელისუფლებას

*გუშინ ოპოზიციამ ხელისუფლების გუშინწინდელ ბრიფინგს (რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ პასუხს ოპოზიციის მიერ პარლამენტის 18 ივლისის დადგენილების შეფასებებზე) ბრიფინგითვე უპასუხა. ამჯერად ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ჟურნალისტებს დავალება მისცეს - სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე პარლამენტის მიერ სხვადასხვა დროს მიღებული დადგენილებები დაურიგეს და სთხოვეს, რომ მათ შორის განსხვავება აღმოეჩინათ. წინა დღეს მედიის წარმომადგენლებს ანალოგიური ტესტი უმრავლესობის წევრებმა ჩაუტარეს: ჟურნალისტებს უნდა აღმოეჩინათ განსხვავება რუსეთის წარმომადგენელთა და ქართველ ოპოზიციონერთა შეფასებებს შორის.*

ვერიკო თევზაძე

"არავითარი განსხვავება" - ტესტირების შემდეგ იდენტურ დასკვნებს თავად ოპოზიციის და ხელისუფლების წევრები აკეთებენ.

გუშინდელ ბრიფინგზე ოპოზიციამ ხელისუფლებასთან დიალოგისათვის მზადყოფნა გამოაცხადა, ოღონდ პრეზიდენტს ერთი პირობა წაუყენა. ღია დიალოგში თავად პრეზიდენტი სააკაშვილი, ან ხელისუფლებაში მყოფი ისეთი რეიტინგული ფიგურები უნდა ჩაერთონ, როგორიც, მათი აზრით, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილია.

"დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლის კობა დავითაშვილის აზრით, პრეზიდენტი ოპოზიციას უმრავლესობის ლიდერების - მაია ნადირაძის და გიგა ბოკერიას პირით არ უნდა ელაპარაკებოდეს, რადგან **"ბოკერია და ნადირაძე მარგინალური ფიგურები არიან და მათ ირგვლივ საზოგადოება არ შეიკრიბება, თანაც ამ ადამიანების დასამოძლევრი ოპოზიციას არაფერი სჭირს".**

გაგრძელება A2 გვერდზე

# თავისუფლება პასუხისმგებლობასთან ერთად

*თუ მიიჩნევთ, რომ რომელიმე საინფორმაციო საშუალება უხეშად არღვევს მედიის პროფესიულ სტანდარტს და ამგვარ დარღვევებზე რეაგირება აუცილებელია, მაშინ შეგიძლიათ წერილობით მიმართოთ მედიასაბჭოს. ახლად ჩამოყალიბებული საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ ამგვარი საბჭოს შექმნა დემოკრატიული გამოწვევაა. საინტერესოა, როგორ უპასუხებს ამ გამოწვევას ქართული მედია...*

თამარ დვალი

ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ ქართული მედიის არაპროფესიონალიზმსა და თავისუფლების ხარისხზე. ამჟამად საქართველოში, მედიის უფლებების თვალსაზრისით, საკმაოდ ლიბერალური კანონმდებლობა მოქმედებს, თუმცა თავად მედიას მოეთხოვება პროფესიული სტანდარტების და ეთიკის დაცვა.

დღემდე მედიასაშუალებისგან თავის დასაცავად და სიმართლის გასარკვევად სასამართლოსთვის უნდა მიემართათ. ამიერიდან კი, ვიდრე საქმე სასამართლომდე მივა, მოქალაქის უფლებების დაცვა მედიასაბჭოს ფუნქცია იქნება. საჩივრის განხილვისას, 11-კაციანი საბჭო პროფესიული ეთიკის კოდექსით იხელმძღვანელებს.

საჩივრის შეტანა შეუძლია ნებისმიერ პირს, საინიციატივო ჯგუფს ან ორგანიზაციას, რომელიც ჩათვლის, რომ რომელიმე საინფორმაციო საშუალებამ მედიის პროფესიული სტანდარტებით დადგენილი ნორმები დაარღვია.

საბჭოს თავმჯდომარის გიგი თევზაძის თქმით, მოსაზრება, რომ ამგვარი გაერთიანების შექმნა შესაძლოა ცენზურის ნიშნებს შეიცავდეს, უსაფუძვლოა. მისივე თქმით, ჯერ არ ჩატარებულა კვლევა,

გაგრძელება A2 გვერდზე

# კიდევ ერთი განაჩენი ცარიელ დარბაზში

*ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის სასამართლო გამოძიება უკვე დასასრულს უახლოვდება. სავარაუდოდ, მოსამართლეს განაჩენის წაკითხვა ცარიელ დარბაზში მოუწევს. ამის შესახებ განცხადება რობაქიძის ოჯახის წევრებმა გააკეთეს, რადგან მართლმსაჯულების სამართლიანობაში ეჭვი შეიტანეს. სასამართლოს ობიექტურობის იმედი არც გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და არც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს აქვთ.*

**"სასამართლომ აღარ უნდა დაუშვას ისეთი ქმედებები, რასაც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის განხილვისას ჰქონდა ადგილი. კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და მოსამართლეებს საშუალება მისცეს, იმოქმედონ ისე, როგორც მათ კანონი და სინდისი უკარნახებს. უნდა დაისაჯონ რობაქიძის გარდაცვალების ფაქტის გაყალბებაში ეჭვმიტანილი პირები"**, - ასეთია როგორც მოკლულ ამირან რობაქიძის ოჯახის წევრების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების მოთხოვნა.

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული მხარე უკვე კარგა ხანია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის გურამ დონაძისა და საპატრულო პოლიციის მაშინდელი უფროსის ზურაბ მიქაძის დაკითხვას მოითხოვს, ეს შუამდგომლობა სასამართლო პროცესზე კვლავ არ დაკმაყოფილებულა.

ადვოკატის ინფორმაციით, მას აინტერესებდა იმ იარაღის წარმომავლობა, რომელიც ამოღებულია ამირან რობაქიძის მკვლელობის შემთხვევის ადგილიდან.

როგორც მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა განმარტა, ვინაიდან შუამდგომლობა შეეხება იარაღის ნაწილს და ამ ფაქტთან დაკავშირებით ცალკე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და გამოყოფილია ამირან რობაქიძის გარდაცვალების საქმისგან, ამიტომ მოცემულ მომენტში გურამ დონაძის და ზურაბ მიქაძის დაკითხვის შესახებ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს. თუმცა, მოსამართლემ დააკმაყოფილა ადვოკატის ერთი მოთხოვნა - შემდეგ სასამართლო პროცესზე დაიკითხება დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურის ყოფილი გამომძიებელი შალვა ნიქაბაძე. ადვოკატმა ნიქაბაძის დაკითხვაც იმის გასარკვევად მოითხოვა, თუ საიდან აღმოჩნდა იარაღი.

გაგრძელება A4 გვერდზე

ეკა კვესიტაძის სვეტი

# ბოიკოტირებული მედია პოდიუმზე

ბოლო თვენახევრის განმავლობაში, როგორც ჩანს, საქართველოში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რომლის ნახვაც ნამდვილად ღირდა. მაგალითად, ფანკლუბებით აჭრელებული თბილისის რესტორნები და ფეხბურთელების მაისურებში გადაცმული საინფორმაციო პროგრამების წამყვანები. მაგრამ, გულწრფელად გული მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება, ჟურნალისტების მიერ მოწყობილ რიგით მეორე მოდების ჩვენებას რომ ვერ დავესწარი.

სამწუხაროდ, ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის შესახებ გვიან გავიგე, სხვა შემთხვევაში, აუცილებლად ვკითხავდი ბრიტანელ ჟურნალისტებს, რას იტყოდნენ, მათთვის ტონი ბლერის ან სხვა პოლიტიკოსების წინაშე პოდიუმზე გავლა რომ ეთხოვათ.

რბილად რომ ვთქვათ, ძალზე პარადოქსული და სასაცილოა, როდესაც ჟურნალისტები ერთ დღეს გაცხარებით საუბრობენ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ზეწოლაზე, მეორე დღეს კი ხელისუფლების ზუსტად იგივე წარმომადგენლებისთვის თავმომწონედ კეკლუცობენ პოდიუმიდან.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, თავისუფლების შეზღუდვაზე საუბარი ისევ და ისევ კეკლუცობაა და მეტი არაფერი.

ერთი წლის წინ, იდენტური ღონისძიების დამთავრების შემდეგ, ქალაქის მერმა ძალზე სარკასტულად აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ პოდიუმზე გამოსული ჟურნალისტების ნაწილი პოდიუმზევე დარჩებოდა. სავსებით დამსახურებული შენიშვნა იყო. მაგრამ უგულავას მოწოდება ვერც პირდაპირ გაიგეს და ვერც მის ირონიულ ქვეტექსტს ჩაწვდნენ. ჟურნალისტები ისევ დაჟინებით აგრძელებენ პოდიუმზე გამოსვლის ერთი წლის წინ დაწყებულ ტრადიციას.

თუმცა, სამწუხაროდ, დღეს ეს ნამდვილად არ არის ყველაზე სერიოზული პრობლემა ქართულ მედიაში.

ბოლო თვეების განმავლობაში სატელევიზიო სივრცეში არსებული კრიზისის გასამწვავებლად ყველაფერი გააკეთეს პოლიტიკოსებმა, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან. საბოლოო ჯამში კი, სიტუაცია სრულ აბსურდამდე დავიდა.

როგორც ჩანს, საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება რევოლუციის პერიოდის დონეზე გაიყინა. ოპოზიციის ფანტაზია სატელევიზიო ბოიკოტის ფორმას ვერ გასცდა. განსხვავებული ფორმით, მაგრამ მაინც ბოიკოტს აცხადებს ხელისუფლებაც. იმ პერიოდში ჩარჩა მედიაც, ოღონდ შეცვლილი როლებით.

სხვა ქვეყნის მაგალითები რომ მოვიყვანოთ, ბრიტანეთში უბრალოდ მსგავსი სიტუაცია ვერ შეიქმნებოდა, რადგან თუ რომელიმე ტელევიზიამ ან რადიომ არაობიექტურად და დაუბალანსებლად სცადა მოვლენების გაშუქება, ამას კომუნიკაციის დამოუკიდებელი ოფისი (OFCOM) აუცილებლად ძალიან ძვირი ჯარიმის ფასად დაუსვამს. ამერიკაში, სადაც მედიაში ბრიტანეთისაგან განსხვავებული სისტემა მოქმედებს, ჩვენთან შექმნილი სიტუაცია დაახლოებით იმას ჰგავს, რომ დემოკრატებმა "ფოქსს" გამოუცხადონ ბოიკოტი. რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამ კი "სი-ენ-ბი-სი"-ზე მისვლაზე თქვას უარი, ამ ტელევიზიის ზედმეტი კრიტიკულობის გამო.

ნამდვილად არავის არ აქვს იმის ილუზია, რომ ქართულ მედია ბაზარზე უახლოეს მომავალში ახალი მოთამაშე გამოჩნდება და ამ სრულიად აბსურდული სიტუაციიდან გამოსავალიც ეს იქნება. არც იმის მოლოდინია, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია იმ ნიშას დაიკავებს, რომელიც დღეს თავისუფალია და რომელიც ასე დიდ შანსს იძლევა.

ასე რომ, გადარჩენის გზები ისევ არსებულმა, ხელისუფლებისა და ოპოზიციისგან მონოპოლიზირებულმა ტელევიზიებმა უნდა მონახონ.

თუ ზეწოლაზე ვსაუბრობთ, დღეს ოპოზიცია არანაკლებ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ამყოფებს მედიას, რადგან ბოიკოტის გამოცხადება კლასიკურ შანტაჟს ჰგავს - ან გააშუქებს ისე, როგორც ჩვენ გვინდა, ან ბოიკოტს ვაგრძელებთ.

ხოლო "ისე, როგორც მათ სურთ", სულაც არ ნიშნავს მოვლენების ობიექტურად და დაბალანსებულად გაშუქებას. ოპოზიციურ პარტიებს ისევე არ აბედნიერებს ობიექტური ინფორმაცია, როგორც ხელისუფლებას. მაგრამ მედიის დანიშნულება სულაც არ არის ოპოზიციის ან ხელისუფლების გაბედნიერება, რადგან პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას ის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი აუდიტორიის წინაშე უნდა გრძნობდეს.

მართალია, ცნებები - "ობიექტურობა" და "პასუხისმგებლობა" - ძალიან ფართო გაგებას ატარებს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ნამდვილად არ არის საჭირო ღრმა ფილოსოფიურ მსჯელობაში შესვლა. ჩვენთან, ისევე როგორც ყველგან სხვაგან, პასუხისმგებლობა და ობიექტურობა იმ ადვილად გასაგები წესებისა და ნორმების შესრულებას ითხოვს, რომელიც აბსოლუტურად ყველა მედიის ეთიკის კოდექსისთვის საერთოა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი ჟურნალისტებისთვის პოლიტიკოსების წინაშე პოდიუმზე გამოსვლა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე პროფესიულ ეთიკაზე ზრუნვა (სხვათაშორის, თავის დროზე, ეთიკის კოდექსის დაწერის ინიციატორებს რომ წარმოედგინათ, ჟურნალისტებს პოლიტიკოსების წინაშე პოზიორობა მოუნდებოდათ, აუცილებლად ჩაწერდნენ ეთიკის კოდექსში ამ საქციელის პროფესიულ სტანდარტებთან შეუსაბამობაზე).

დღეს ოპოზიციასა და ხელისუფლების სურვილებს შორის გავლა და მაყურებლისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება სცილასა და ქარიბდას შორის გავლას ჰგავს. მაგრამ ეს ერთადერთი შანსია დღევანდელი ტელევიზიებისთვის და ამას, პირველ რიგში, ამ ტელევიზიების მეპატრონეები უნდა აცნობიერებდნენ.

# თავისუფლება პასუხისმგებლობასთან ერთად

პირველი გვერდიდან

თუ რა სახის პრეტენზიები გააჩნია მედიის მიმართ საზოგადოებას, თუმცა ახლო მომავალში მათთან შესული საჩივრების მაგალითზე ამის თქმა უკვე შესაძლებელი იქნება. საბჭოს წევრის პაატა ვეშაპიძის აზრით, მთავარია, საზოგადოება იყოს მზად, დაიცვას თავისი პირადი ცხოვრება და უფლებები. რაც შეეხება ქართულ მედიას, ის ჯერ კიდევ მოუმზადებელია ამგვარი სიახლისთვის, თუმცა ასეთი რამ აუცილებელია. **"მედიასაბჭოს შექმნა ნიშნავს იმას, რომ მედია არა მარტო თავისუფალია, არამედ იგი პასუხსაც აგებს თავის პროდუქციაზე,"** - განაცხადა პაატა ვეშაპიძემ.

საბჭოს დამფუძნებლები არიან - "ტელეიმედი", რუსთავი2", "საზოგადოებრივი მაუწყებლობა", ტელეკომპანია "202", გაზეთი "მესინჯერი", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია," გაზეთი "24 საათი" და სხვა მედიასაშუალებები. საბჭოს წესდება ვრცელდება მხოლოდ მისსავე წევრებზე, ანუ საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების შესრულება არ იქნება სავალდებულო მათთვის, ვინც ამ საბჭოს წევრი არ არის. საბჭოში გაწევრიანება კი ნებაყოფლობითია.

**"საწყენია, რომ ქართული მედიის აბსოლუტური უმეტესობა ვერ შეთანხმდა ერთიანი მედიასაბჭოს დაფუძნებაზე. არ ვიცი, რა მოტივით თქვეს უარი, თუმცა ახლა მთავარია, რომ საბჭომ, რა ძალებითაც დაფუძნდა, იმ ძალებით შეძლოს ეფექტური მუშაობა,"** - განაცხადა საბჭოს წევრმა დავით პაიჭაძემ.

"ტელეიმედის" ჟურნალისტის, გადაცემა "დროების" წამყვანის გიორგი თარგამაძის აზრით, კარგი იქნება, თუკი სხვა ალტერნატიული საბჭოებიც ჩამოყალიბდება. იგი მსგავს ინიციატივებს მიესალმება და მიიჩნევს, რომ ახლად შექმნილი მედიასაბჭო შეძლებს, კარგად დაარეგულიროს საზოგადოებისა და მედიის ურთიერთობები.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" ხელმძღვანელის თამარ კინწურაშვილის განცხადებით, მსგავსი საბჭოს შექმნა დაგვიანებულიც კი არის, რადგან დღეს მედიის პროფესიული დონე საკმაოდ დაბალია, რის გამოც ხშირად ისმის კრიტიკა ჟურნალისტების მიმართ. **"მედიის მიმართ პრეტენზიები ხან ობიექტურია, ხანაც სუბიექტური. აქედან გამომდინარე, სწორედ მედიის ინტერესებში უნდა შედიოდეს, რომ მან თავად ილაპარაკოს საკუთარ შეცდომებზე, რაც გარედან ჩარევის ალბათობასაც შეამცირებს. მსგავსი საბჭო ყველა დემოკრატიულ ქვეყანაშია და ეს სტანდარტი ჩვენთანაც უნდა დამკვიდრდეს,"** - აღნიშნა თამარ კინწურაშვილმა. მისივე განმარტებით, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია თავად მედიასაბჭოზე, თუ რამდენად შეძლებს იმ ფუნქციის განხორციელებას, რაც თავის თავზე აიღო.

მედიასაბჭოში საჩივრის შეტანა შესაძლებელია პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან ან გადაცემის ეთერში გასვლიდან ერთი თვის ვადაში. საბჭო იმ შემთხვევაში არ განიხილავს საქმეს, თუკი გასული იქნება ხანდაზმულობის ვადა, ან საჩივარი იქნება ანონიმური. საქმე არ განიხილება მაშინაც, თუკი საჩივარს საერთო არაფერი ექნება მედიის პროფესიული სტანდარტის დაცვასთან, ან საქმე იქნება სასამართლო წარმოებაში.

მედიასაბჭოს მისამართია: თბილისი, ჩოლოყაშვილის №5. www.mediacouncil.ge

# პასუხის პასუხი ხელისუფლებას

პირველი გვერდიდან

დავითაშვილი ცდილობდა, თავისი არგუმენტები ცოცხალი მაგალითებით "გაემყარებინა": **"საქართველოში არგენტინის საფეხბურთო გუნდის გულშემატკივართა რიცხვმა მას შემდეგ იკლო, რაც ქართველმა ხალხმა გაიგო, რომ ბოკერია არგენტინას ქომაგობდა."**

გუშინდელ ბრიფინგზე ოპოზიციონერმა დეპუტატებმა საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულეს რუსეთის ხელისუფლებასთან გარიგებაში. "მემარჯვენეების" წარმომადგენლის მამუკა კაციტაძის განცხადებით, თავად მიხეილ სააკაშვილი ცდილობს რუსეთთან გარიგებას და ამ მიზნით სურს პუტინთან შეხვედრა. კაციტაძის თქმით, ხელისუფლების საუბარი ოპოზიციის პრორუსულობაზე ცინიკურად ჟღერს, რადგან, ჩვენი ხელისუფლების ხელშეწყობით, **"რუსეთის სახელმწიფო კომპანიები ენერგეტიკის დიდ ნაწილს აკონტროლებენ".**

პარლამენტარი ზვიად ძიძიგური იზიარებს თავისი კოლეგების მოსაზრებას, რომ კრიზისის დაძლევის გზა არის ღია დიალოგი პრეზიდენტთან და ხელისუფლებასთან, ოღონდ - ხელისუფლებასთან მაია ნადირაძის და გიგა ბოკერიას გამოკლებით.

ოპოზიციონერების პასუხის პასუხს უმრავლესობის წევრები გამოეხმაურნენ. **"ჩვენმა ოპონენტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ, პრაქტიკულად, ერთსულოვნები არიან ჩვენს მოსკოველ "მეგობრებთან", საქართველოს მიერ უკანასკნელ პერიოდში გადადგმული ნაბიჯების შეფასებისას. ეს ძალინ სამწუხარო ფაქტია,"** - განაცხადა გიგა ბოკერიამ. მისი თქმით, **"დასკვნას თავად საზოგადოება გააკეთებს".**

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ სერიოზული პრობლემის **"პიროვნული დაპირისპირების ჭრილში გადაყვანა არასერიოზულია".**

# მოთხოვნები ჯავახეთის მოსახლეობის სახელით

*სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები საქართველოს ხელისუფლებას მათი ინტერესების გათვალისწინებას სთხოვენ.*

გუშინ, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) თბილისის ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯავახეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები - არარატ ესოიანი, ნარინე გინოსიანი და ლევონ ვარდანიანი.

მათი თქმით, რეგიონში სომეხ მოსახლეობას მთელი რიგი პრობლემები ექმნება. ადგილობრივ სომხებს, ქართული ენის არცოდნის გამო, საბიუჯეტო დაწესებულებებში სამუშაოდ არ იღებენ; უმაღლესი განათლების რეფორმა სამცხე-ჯავახეთის არაქართული სკოლების მოსწავლეებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შესაძლებლობას არ აძლევს, ვინაიდან გამოცდებზე ქართული სკოლების მოსწავლეებთან თანაბარ პირობებში იმყოფებიან.

**"სამცხე-ჯავახეთის სომხური საზოგადოება ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში სომხურ ენაზე საქმეთწარმოების ნებართვას ითხოვს, რადგან ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე ჯავახეთის სახელმწიფო დაწესებულებებში დოკუმენტაციისა და საქმეთა წარმოებაში პრობლემებს ქმნის,"** - აღნიშნეს არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა.

სამცხე-ჯავახეთის სომხური საზოგადოება საკრებულოს უნდობლობას უცხადებს და ხელისუფლებისგან ადგილობრივი ორგანოების არჩევნების სისტემის შეცვლასა და მისი უფლებამოსილებების გაფართოებას მოითხოვს.

რეგიონული ტელერადიოკომპანია "ფარვანას" საინფორმაციო სამსახურის რედაქტორის ლევონ ვარდანიანის თქმით, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრად სამცხე-ჯავახეთის არაქართული სკოლების მოსწავლეები ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას ქართული სკოლის მოსწავლეების გვერდით, თანაბარ პირობებში აბარებენ, რის გამოც მათ სასწავლებლებში მოხვედრის გაცილებით ნაკლები შანსი აქვთ, რადგან ამ საგანს სკოლის პროგრამის ფარგლებში საკმარისი მოცულობით არ სწავლობენ. ვარდანიანის ინფორმაციით, სამცხე-ჯავახეთის მცხოვრებლები შიშობენ, რომ განათლების რეფორმის ფარგლებში სომხურ და რუსულ სკოლებში სასწავლო პროცესი მხოლოდ ქართულ ენაზე წარიმართება და სასწავლო პროგრამიდან სომეხი ხალხის ისტორიას ამოიღებენ.

მათივე თქმით, სომხური მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ ბოლო ხანებში, რეგიონის ქართული მოსახლეობის ხელოვნურად გაზრდის აქტიური მცდელობები შეინიშნება. **"ეს ჩვენი საზოგადოების მხრიდან შეშფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევს,"** - განაცხადეს სომეხი მოსახლეობის წარმომადგენლებმა.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის წარმომადგენლების განცხადებით, პრესკონფერენციის მიზანი რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის ირგვლივ გამეფებული საინფორმაციო ვაკუუმის დაძლევაა. რეგიონის მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე მოწოდებული, განსაკუთრებით კი, უმაღლესი განათლების რეფორმასთან დაკავშირებული ინფორმაცია მათ უამრავ უსაფუძვლო შიშს გაუფანტავს. **24 საათი**




# აფხაზები ნინო ბურჯანაძის განცხადებას ეჭვის თვალით უყურებენ

აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარის ნუგზარ აშუბას განცხადებით, აფხაზეთი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების გაერო-ს პოლიციელთა საერთაშორისო ქვედანაყოფებით ჩანაცვლებასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას არ დაუშვებს.

ამის შესახებ განცხადება ნუგზარ აშუბამ აფხაზეთის პარლამენტში, რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ 18 ივლისს მიღებული დადგენილების კომენტირებისას გააკეთა.

"დსთ-ს კოლექტიური ძალები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში და რეგიონში უსაფრთხოებას და სტაბილურობას 12 წელია უზრუნველყოფენ. ისინი მათზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ და ქმნიან პირობებს რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციების, პირველ რიგში გაეროს მისიის საქმიანობისათვის", - აცხადებს ნუგზარ აშუბა, რომლის თქმითაც, მას საკმარისზე მეტი საბაბი აქვს ეჭვის თვალით შეხედოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველო მზადაა, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ომის განუახლებლობის შესახებ.

"აფხაზეთს ერთი მოთხოვნა აქვს - საქართველომ აღიაროს აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო, ამის შემდეგ დიალოგის წარმოება შესაძლებელი იქნება",- დასძენს ნუგზარ აშუბა.

*ინტერპრესნიუსი*

მოკლედ

## აფხაზები გალის რაიონში ქართული დივერსიული ჯგუფის შეგზავნაზე საუბრობენ

ჭუბურხინჯის გუშინდელ ოთხმხრივ შეხვედრაზე გალის აფხაზური ადმინისტრაციის პროკურორმა რომან კაპბამ დააყენა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ უახლოეს პერიოდში, ქართული მხარე აპირებს, გალის რაიონში დივერსიული ჯგუფის შეგზავნას, რასაც უნდა მოჰყვეს გალის მილიციასთან შეტაკება.

კაპბას განცხადებით, ეს ინფორმაცია კონკრეტულია და მას აქვს იმის დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ ჯგუფი უკვე გადასულია გალის რაიონის ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა მერაბ გერგაიამ განაცხადა, რომ ეს ამბავი არ შეეფერება სინამდვილეს და კაპბასგან მოითხოვა დამადასტურებელი ინფორმაციები, რაზმის და ტერიტორიული ადგილმდებარეობის დასახელება, რაზეც რომან კაპბამ კონკრეტული პასუხი ვერ გასცა.

მერაბ გერგაიას განცხადებით, სამხარეო პოლიციის უფროსმა რომ იცოდეს ზუგდიდის ტერიტორიაზე აფხაზური შეიარაღებული ჯგუფის არსებობის შესახებ, ამაზე არ გააკეთებდა განცხადებას ოთხმხრივ შეხვედრაზე და პირდაპირ გადავიდოდა მოქმედებაზე, ანუ გაანადგურებდა ამ რაზმს იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს შეუშლიდა საზოგადოების უსაფრთხოებას.

რომან კაპბას განცხადებით, აფხაზური ძალოვნები სწორედ ამას გეგმავენ და ქართული მხარე თუ არ მიიღებს ზომებს, ისინი მზად არიან ამ დივერსიული ქართული რაზმის ლიკვიდაციისათვის.

რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-მაიორმა სერგეი ჩაბანმა განაცხადა, რომ მიუხედავად ატეხილი აჟიოტაჟისა, სამშვიდობო ძალები თავიანთ მისიას ასრულებენ და ისინი უმაღლესი მთავარსარდლის გარეშე არ აპირებენ კონფლიქტური სიტუაციების დატოვებას. ეს ინფორმაცია დაადასტურა ასევე რომან კაპბამ, მან განაცხადა, რომ სამშვიდობო ძალების მიმართ აფხაზურ მხარეს პრეტენზია არ გააჩნია. **ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო სამსახურში გაწვევის მსურველთა მისაზიდად, პიარკამპანია დაიწყო. კამპანიას ეროვნული გვარდიის სამმართველო ატარებს, რომელსაც სამობილიზაციო ფუნქციები აკისრია. პიარკამპანია კახეთიდან დაიწყო და ერთი თვის განმავლობაში საქართველოს 12 რეგიონში ჩატარდება. ახალგაზრდებს საინფორმაციო ბუკლეტებს დაურიგებენ და კონტრაქტით სამსახურის პირობებს გააცნობენ. კონტრაქტით მუშაობის მსურველებს, ძირითადად, თავდაცვის სამინისტროს I და II ბრიგადებისთვის შეარჩევენ. რიგითის საშუალო ხელფასი 400 ლარს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

გუშინ ქუთაისში "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერები თინა ხიდაშელი და ლევან ბერძენიშვილი ჩავიდნენ. პარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციაში საერთო კრება გაიმართა, სადაც ახალი თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევა მოხდა. პარტიის წევრებმა ქუთაისში "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერად ვიკა (ვიქტორ) ნაკაშიძე აირჩიეს. საერთო კრების შემდეგ თინა ხიდაშელმა და ლევან ბერძენიშვილმა ჟურნალისტებისათვის ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. ბრიფინგზე ოპოზიციის ლიდერებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთეს. მათი თქმით, საქართველო პოლიციური სახელმწიფოა, სადაც ადამიანთა მკვლელობები და წამება პოლიციის მხრიდან ჩვეულებრივი ამბავია, რომელზეც ხელისუფლება სამართალდამცველებს მადლობას უხდის. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საჩხერის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს სიმონ ზამბახიძეს პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტა. როგორც ცესკო-ში განაცხადეს, ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა, რომლის ჩატარების ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით სამდივნო შეიქმნა. ვაკანტურ თანამდებობაზე საბუთების მიღება 24 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა სამხრეთ ოსეთში აფხაზეთიდან მოხალისეების ჩასვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, აფხაზეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთის ხალხისათვის დახმარების შესაძლებლობას არ გამორიცხავს. შამბას განმარტებით, ამ ეტაპზე აფხაზეთიდან სამხრეთ ოსეთში მოხალისეთა გაგზავნის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება აფხაზეთის ხელისუფლებას არ მიუღია.

"თუ ამგვარი დახმარების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა, აფხაზეთის ხელისუფლება თავისუფლებისათვის მებრძოლ ოს ხალხს გვერდით დაუდგება და სამხრეთ ოსეთში არა მარტო მოხალისეები, არამედ აფხაზეთის შეიარაღებული ძალები გაემგზავრებიან", - აღნიშნა სერგეი შამბამ. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ბრძოლა ინიციატივისთვის

პირველი გვერდიდან

**"უნდა ვიყოთ მაქსიმალურად კონსტრუქციულები. ჩვენი ამოცანაა, თავიდან ავიცილოთ სერიოზული კონფრონტაცია, რომ მშვიდობის მტრებმა ვერ შეძლონ რაიმე პროვოკაციის მოწყობა,"** - ასე განმარტა გუშინ ვიზიტის მთავარი მიზანი საქართველოს პრეზიდენტმა.

თუმცა, სააკაშვილს რუსეთში უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური ფონი დახვდება, რისი მიზეზიც რუსეთის სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება გახდა. რუსეთ-საქართველოს შორის გაჩაღებული პოლიტიკური განცხადებების ომი გუშინ განსაკუთრებით გამძაფრდა.

პირველი დარტყმა მოსკოვიდან წამოვიდა. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, რუსი სამხედროები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დისლოცირებულ სამშვიდობო ძალებს დაეხმარებიან. ივანოვი ადასტურებს, რომ 13 ივლისს რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან მიმდინარე სამხედრო წვრთნები სწორედ ამ მიზნით დაიწყო. **"ამ სამხედრო სწავლებების მთავარი ამოცანაა გეგმიური წესით დაამუშაონ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, საჭიროების შემთხვევაში, განსახორციელებელი მოქმედებები,"** - განმარტა ივანოვმა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი ამბობს, რომ იმ განცხადებების ფონზე, რაც საქართველოდან ისმის, სიტუაციის კიდევ უფრო მეტად გამწვავება სავსებით მოსალოდნელია. **"ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებთ სიტუაციას,"** - დასძენს ივანოვი.

რუსი მაღალჩინოსნის აღნიშნული "დარტყმა" საქართველოს პრეზიდენტმა გუშინვე მოიგერია. **"ასეთ ნორმას საერთაშორისო სამართალი არ იცნობს. ეს არის უპრეცედენტო, სკანდალური, სიტუაციის არათანაზომადი განცხადება, მუქარა,"** - ასე შეაფასა მიხეილ სააკაშვილმა ივანოვის გუშინდელი "გულახდილობა".

სერგეი ივანოვის ქართველი კოლეგა ირაკლი ოქრუაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან გაჩაღებულ წვრთნებს ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს. **"წვრთნების მიზანია ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებაზე. ამას სერიოზულად არავინ აღიქვამს,"** - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა "რუსთავი 2"-ის ეთერში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ივანოვმა გუშინ საქართველოს შესაძლო ოკუპაციის შესახებ განცხადება გააკეთა. ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის მუქარები არ შესრულდება, რადგანაც მსგავს შემთხვევაში რუსეთი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდება.

საქართველოს მხრიდან სამხედრო პროვოკაციების მოლოდინშია რუსეთის საგარეო უწყებაც. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი არ გამორიცხავს, რომ საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო ჩარევისთვის ემზადება. **"უკანასკნელ პერიოდში, სამშვიდობოებთან დაკავშირებით სიტუაციის გართულება ძალიან გვაშფოთებს. ჩვენი დიპლომატების დაკავების გარდა, ადგილი ჰქონდა ერთი ჩვენი მშვიდობისმყოფელის ნაღმზე აფეთქებას. ნაღმები კი სულ ცოტა ხნის წინ ქართული მხარის მეოხებით გაჩნდა,"** - მიიჩნევს ლავროვი. მისი განცხადებით, რუსი სამშვიდობო ძალები,


ივანოვი საქართველოს ინტერვენციით ემუქრება.

რომელთა საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის დადგენილება საქართველოს პარლამენტმა ორშაბათს მიიღო, საკუთარ მოვალეობებს ზედმიწევნით ასრულებენ და კონფლიქტის ზონებში მცხოვრებ ათასობით რუსეთის მოქალაქეს იცავენ.

"გაყინული კონფლიქტების" ტერიტორიაზე "გლობალურ დათბობას" წინასწარმეტყველებს რუსეთის პარლამენტიც. რუსეთის დუმის სპიკერი ბორის გრიზლოვი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, თავი შეიკავოს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მორიგი შეიარაღებული კონფლიქტების პროვოცირებისგან. **"რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები მოვუწოდებთ ქართველ კოლეგებს, უფრო რეალურად და მეტი პასუხისმგებლობით შეაფასონ შექმნილი ვითარება. არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთის კონფლიქტები რუს სამშვიდობოებს არ გაუჩაღებიათ, პირიქით, მათ ეს კონფლიქტები ჩააქრეს,"** - განაცხადა გრიზლოვმა.

კიდევ უფრო შორს - სოხუმში წავიდა მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი.

სოხუმში ლუჟკოვი მოსკოვის კულტურულ-საქმიანი ცენტრის მშენებლობის გახსნაზე ჩავიდა და ბარემ აფხაზეთის დამოუკიდებლობაც აღიარა. თუ ოფიციალური კრემლი ამას ღიად ვერ ახერხებს, მოსკოვის ხელისუფალმა თავად გადაწყვიტა აფხაზეთთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, საგარეო ურთიერთობების დამყარება. **"ჩვენ არ გვაშინებს ის განცხადებები, რომლებიც მუდმივად ისმის თბილისიდან. ჩვენ ყოველგვარი შიშებისა და ეჭვების გარეშე ვითანამშრომლებთ აფხაზეთთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან... რუსი სამშვიდობოები აქედან მაშინ წავლენ, როცა თქვენ მოგინდებათ,"** - განსაზღვრა საკუთარი პოლიტიკური კურსი მოსკოვის მერმა, რომელიც მთელი თავის მქუხარე გამოსვლის განმავლობაში აფხაზეთს დემონსტრაციულად მოიხსენიებდა "სახელმწიფოდ".

ლუჟკოვის საქციელი გუშინ რუსულ პრესასაც კი გაუკვირდა. **"ლუჟკოვის ვიზიტი აფხაზეთში და ყველაფერი, რაც მან სოხუმში თქვა და გააკეთა, აშკარა გამოწვევაა საქართველოს მიმართ. მოსკოვის მერმა აშკარად გადააჭარბა საკუთარ უფლებამოსილებას. მას დაავიწყდა, რომ საკუთარი თანამდებობა არ აძლევს რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრის უფლებას,"** - წერს "გაზეტა. რუ".

ლუჟკოვის გამო თავის მართლება მოუხდა რუსეთის საგარეო უწყებასაც. **"ეს ლუჟკოვის პირადი პოზიციაა... რუსეთის საგარეო უწყება აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას,"** - აღნიშნულია გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სოხუმში რუსეთის მაღალი თანამდებობის პირების ქართულ მხარესთან შეუთანხმებელ ვიზიტს აპროტესტებს და აცხადებს, რომ რუსეთის მხარე საქართველოს კანონიერი მოთხოვნების იგნორირებას განაგრძობს. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ქართულმა მხარემ არაერთხელ გააფრთხილა რუსი კოლეგები, რომ ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები შეასრულოს.

# ახლო აღმოსავლეთის კრიზისი

პირველი გვერდიდან

**როცა ისრაელი ჩვენზე შურისძიებას ასეთი სასტიკი მეთოდით ცდილობს?!"** -თქვა ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ფუად სინიორამ უცხოელ ელჩებთან შეხვედრაზე.

ისრაელის მხარე კი ამტკიცებს, რომ "ჰეზბოლა"-ს ბოევიკებმა ისრაელის ტერიტორიაზე იერიში 150 რაკეტით მიიტანეს.

ლიბანის დედაქალაქში მთელი დღის განმავლობაში ისმის აფეთქებების ხმა. ისრაელის ოფიციალურ პირთა განცხადებით, დედაქალაქის სამხრეთ ნაწილში განთავსებული "ჰეზბოლას" ბუნკერი 23 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერებით დაიბომბა. ისრაელის სამხედრო პირების ხელთ არსებული ინფორმაციით, ბუნკერს თავს "ჰეზბოლას" ლიდერი შეიხი ჰასან ნასრალი აფარებდა, რასაც ლიბანური მხარე არ ადასტურებს. "ჰეზბოლა"-ს წარმომადგენელთა თქმით, იერიში არა ბუნკერზე, არამედ ახლომდებარე მეჩეთზე განხორციელდა.

ლიბანის მთავრობა კი ჯერ, როგორც ჩანს, საკმაოდ სუსტია იმისთვის, რათა კრიზისიდან გამოსავალი მოძებნოს. კედრების რევოლუციის შემდეგ გაჩენილი იმედების მიუხედავად, რომელმაც ბოლო მოუღო სირიის თითქმის ოცდაათწლიან კონტროლს, მთავრობა კვლავ პოლიტიკურად მოტივირებული რელიგიური დაჯგუფებებისგან შემდგარ მყიფე სტრუქტურად რჩება.

გაერო-ში ამერიკელთა მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლითაც მათ ისრაელს, ფაქტობრივად, ნება დართეს განაგრძონ ლიბანის დაბომბვა მანამდე, ვიდრე არ დასუსტდება "ჰეზბოლა"-ს სამხედრო ხელისუფლება, ფრანგების მიერ შემუშავებულ წინადადებებს ეწინააღმდეგება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ვაშინგტონში ოფიციალურ პირთა მიერ გაკეთებული განცხადებებით, სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი აზიური ტურნეს დაწყებამდე 23 ივლისს, შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთში ჩავიდეს, მაგრამ ჯერჯერობით ეს გეგმა საბოლოოდ არ შეთანხმებულა. ერთი რამ კი უდავოა, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ვიზიტამდე კონდოლიზა რაისი აუცილებლად შეხვდება გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს და განიხილავს ცეცხლის შეწყვეტის შემთხვევაში მოვლენათა განვითარების მოსალოდნელ ვარიანტს. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი და კოფი ანანი მოლაპარაკებებისას ისრაელის მოთხოვნას განიხილავენ ლიბანის სამხრეთ ნაწილში 12 მილის ბუფერული ზონის შექმნის შესახებ და ასევე სირიიდან და ირანიდან რაკეტების იმპორტის შეწყვეტის თემაზეც იმსჯელებენ.

ისრაელის მხარის განცხადებით, სამხედრო ოპერაციები "წერტილოვანი დარტყმებით" ხორციელდება და მიზნად მხოლოდ რადიკალური დაჯგუფებების ინფრასტრუქტურის განადგურებას ითვალისწინებს.

იმ რვა დღის მონაცემებით კი, რომლის დროსაც სამხედრო ოპერაციები განხორციელდა, 300-ზე მეტი ლიბანელი და 29 ისრაელელი დაიღუპა, მათ შორის 15 მშვიდობიანი მოქალაქე იყო. გაერო-ს ჰუმანიტარული პროგრამის კოორდინატორის იან ეგელანის განცხადებით, ლიბანში მდგომარეობა დღითი დღე უარესდება, თანაც მსხვერპლნი უმეტესწილად მშვიდობიანი მოქალაქეები ხდებიან. არც ისრაელის და არც ლიბანური მხარე არ ცდილობს მშვიდობიანი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვას. სამხედრო ოპერაციების დროს რიგითი მოქალაქეების გარდა მასმედიის წარმომადგენლებიც ზარალდებიან. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, მსუბუქად დაშავდნენ ტელეკომპანიის "ალ ჯაზირა" წარმომადგენლები, როდესაც ისინი რეპორტაჟზე მუშაობდნენ.

რამდენიმე დღეში გაერო გამოაქვეყნებს მიმართვას საერთაშორისო დონორებისადმი ლიბანის დასახმარებლად საგანგებო ფონდის შექმნის თხოვნით.




# ბარიერი ნატო-ში შესვლის გზაზე

აშშ-სა და ევროკავშირს შორის არსებული უთანხმოება საქართველოს, ხორვატიას, მაკედონიასა და ალბანეთს ნატო-ში შესვლის გზაზე ბარიერს უქმნის.

ამის შესახებ გავლენიანი ამერიკული გამოცემა "ნიუ-იორკ თაიმსი" იუწყება. სტატიის ავტორის თქმით, ამ სახელმწიფოებს იმედი ჰქონდათ, რომ ლატვიაში მიმდინარე წლის ნოემბერში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე, მათ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის კონკრეტულ ვადებს დაუსახლებდნენ. თუმცა, როგორც გაზეთი "ნიუ-იორკ თაიმსი" იუწყება, სერიოზული დავა ამ საკითხზე თავად ალიანსის შიგნით გაჩნდა. დავა, კერძოდ, გამოიწვია საკითხმა, თუ რამდენად სწრაფად უნდა გაფართოვდეს ალიანსი.

გერმანია, საფრანგეთი და კანადა საქართველოს ხარჯზე ორგანიზაციის გაფართოების აუცილებლობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებენ. ამგვარი ეჭვი იმ ფაქტით არის გამოწვეული, რომ ქვეყნის შიგნით არ არის დარეგულირებული საზღვრებთან დაკავშირებული საკითხი (იგულისხმება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემა).

ევროპული ქვეყნები და კანადა ასევე არ არიან დარწმუნებულნი, რომ ნატო, უახლოეს მომავალში შეძლებს ბალკანეთის ქვეყნების მიღებას. როგორც გამოცემაშია ხაზგასმული, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ასევე არ იზიარებენ აშშ-ს სწრაფვას უკრაინის ნატო-ში მიღების თაობაზე.

*ინტერპრესნიუსი*

# დნესტრისპირეთის მომავალი

## რეფერენდუმი, რომელსაც მხოლოდ რუსეთი დაუჭერს მხარს

*დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, სადაც დაზუსტებულია კონკრეტულად რა კითხვებს უნდა უპასუხოს დნესტრისპირეთის მოსახლეობამ 17 სექტემბერს დანიშნულ რესპუბლიკურ რეფერენდუმზე. რეფერენდუმის დედააზრი იმთავითვე ცნობილი იყო: არაღიარებული რესპუბლიკის მოსახლეობას უნდა გაერკვია, რა ფორმით სურს ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან და მოლდოვასთან.*

სოფო ბუკია

კითხვების საბოლოო ვარიანტი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა:

1.მხარს უჭერთ თუ არა დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობას და შემდგომ მის თავისუფალ მიერთებას რუსეთის ფედერაციასთან?

2. მიიჩნევთ თუ არა, რომ შესაძლებელია უარის თქმა დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობაზე და შემდგომ მისი მიერთება მოლდოვის რესპუბლიკასთან? - სწორედ ამ ორი კითხვიდან ერთ-ერთი უნდა შემოხაზოს რეფერენდუმზე მისულმა მოქალაქემ.

უმაღლესი საბჭოს საგარეო პოლიტიკის კომისიის ხელმძღვანელმა სერგეი ჩაბანმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული სარეფერენდუმო კითხვები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოებისა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეკომენდაციების შესწავლისა და შეჯერების შემდეგ ჩამოყალიბდა.

დნესტრისპირეთის პარლამენტის თავმჯდომარე ევგენი შევჩუკი რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობას შემდეგი გარემოებებით ხსნის: **"რეფერენდუმი იქნება პასუხი იმ ნეგატიურ პოზიციაზე, რომელიც დნესტრისპირეთთან მიმართებაში მოლდოვამ გამოავლინა. ამ პოზიციას შეუერთდა უკრაინაც და ევროკავშირიც. მაშინ, როდესაც მოლდოვა ცდილობს, გადაწყვიტოს დნესტრისპირეთის ბედი თავად დნესტრისპირელების მონაწილეობის გარეშე, ერთადერთი გამოსავალი დაგვრჩენია - ჩავატაროთ რეფერენდუმი და ხალხმა თავად გადაწყვიტოს, რა უნდა,"** - განაცხადა შევჩუკმა.

მისი თქმით, - **"უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დნესტრისპირეთი მოლდოვას მხრიდან ეკონომიკურ ომს იგერიებს. და რაც ყველაზე მთავარია, უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ნათელი ხდება მოლდოვას სურვილი შევიდეს რუმინეთის შემადგენლობაში. რუმინეთის პრეზიდენტმა უკვე შესთავაზა მოლდოვას გაერთიანება და ევროკავშირში ერთიან სახელმწიფოდ შესვლა,"** - აღნიშნავს შევჩუკი, რომლისთვისაც მიუღებელია მოლდოვას რუმინეთთან გაერთიანება. **"ისტორიულად რუმინეთი და მოლდოვა არასოდეს ყოფილა ერთი სახელმწიფო."** - აცხადებს შევჩუკი, რომელიც რეფერენდუმში პირველი კითხვის შემოხაზვას აპირებს.

მოლდოვას პრეზიდენტი ვლადიმერ ვორონინი აცხადებს, რომ **"ამ რეფერენდუმს არანაირი იურიდიული ძალა და შედეგები არ ექნება."** თუმცა, ვორონინი დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ რეფერენდუმს შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს მოლაპარაკებათა პროცესზე. **"ეჭვის ქვეშ დგება დნესტრისპირეთის მხარის კონსტრუქციული მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარების მიზნით გამართულ მოლაპარაკებათა პროცესში. დნესტრისპირეთის ხელისუფლება ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ პროცესში. ისინი იქ მართავენ რეფერენდუმებს და ამიტომ რაც არ უნდა შევთავაზოთ, არაფერზე წამოვლენ. დნესტრისპირეთის უმაღლესი საბჭოს წევრები შეიძლება მოვიწვიოთ მოლაპარაკებათა პროცესზე, მაგრამ მხოლოდ ვეტოს უფლების გარეშე,"** - აცხადებს ვორონინი.

მოლდოვას პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ დნესტრისპირეთის სტატუსთან დაკავშირებული საკითხი მოლდოვას კანონების მიხედვით უნდა იხილებოდეს. პრეზიდენტი ვორონინი აპელირებს მოლდოვას პარლამენტის მიერ მიღებულ სპეციალურ კანონზე "რეგიონის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ". **"მხოლოდ ამ კანონის საფუძველზეა შესაძლებელი ყველანაირი მოლაპარაკება სტატუსის გარშემო,"** - აღნიშნა ვორონინმა.

დნესტრისპირეთში დაგეგმილი რეფერენდუმის ლეგიტიმურობას მსოფლიო თანამეგობრობა ეჭვის ქვეშ აყენებს.

რეფერენდუმის ლეგიტიმურობას არ აღიარებენ არა მხოლოდ მოლდოვასა და რუმინეთში, არამედ ეუთოს, ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების წარმომადგენლებიც. ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა მოლდოვაში ადრიან იაკობოვიჩ დე სეგედმა გაზეთ "კომერსანტთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართალი არ ცნობს დნესტრისპირეთის ინიციატივას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. **"დნესტრისპირეთის გამოყოფა მოლდოვას შემადგენლობიდან მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მიღწეული იქნება შეთანხმება მოლდოვასთან,"** - აღნიშნა ევროკავშირის წარმომადგენელმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებულ, "არასტანდარტულ" პოლიტიკურ აზროვნებას ამჟღავნებს რუსეთი.

რუსეთი, რომელსაც უახლოეს წარსულში რეფერენდუმების ჩატარების დიდი გამოცდილება აქვს, დნესტრისპირულ რეფერენდუმის იდეით აღტაცებულია. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი კონსტანტინ კოსაჩოვი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დნესტრისპირეთში რეფერენდუმი გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდება, მაშინ მისი ლეგიტიმურობის ეჭვს ქვეშ დაყენება დაუშვებელია.

**"მე მივესალმები ამგვარი რეფერენდუმის ჩატარებას საერთაშორისო დამკვირვებლების მონაწილეობით. ეს რეფერენდუმი შეიძლება კონფლიქტის მოგვარების გასაღებად იქცეს,"** - აცხადებს კოსაჩოვი. მისი თქმით, თუ რუსეთის მხარეს ამ რეფერენდუმზე მონიტორინგის ჩასატარებლად მიიწვევენ, რუსი პარლამენტარები დამკვირვებელთა მისიას სიამოვნებით შეასრულებენ.

# საქართველოს სამივე მოქალაქემ ლიბანის ტერიტორია მშვიდობიანად დატოვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია ლიბანში მყოფი საქართველოს სამი მოქალაქის - ლევან აბულაძის, ნიკოლოზ სარდლიშვილისა და მაია კარიაულის შესახებ. სამივე მათგანმა ლიბანის ტერიტორია დატოვა.

სამინისტროს განცხადებით, ახლო აღმოსავლეთში, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო, საქართველოს ხელისუფლებას მჭიდრო კონტაქტი აქვს სამივე მოქალაქესთან და სამშობლოში დასაბრუნებლად საჭირო დახმარებას ახორციელებს.

ნიკოლოზ სარდლიშვილი ამჟამად დამასკოში, ანტიოქიის საპატრიარქოში იმყოფება და დღეს საქართველოში დაბრუნდება.

საქართველოს საელჩომ მაია კარიაულს არაერთხელ შესთავაზა დახმარება ბეირუთის უსაფრთხოდ დასატოვებლად. საქართველოს ელჩმა ლიბანში აშშ-ის საელჩოსაც მიმართა, რომელიც მზად იყო დახმარებოდა საქართველოს მოქალაქეს ბეირუთიდან გასავლში, თუმცა კარიაულმა, სამინისტროს ინფორმაციით, უარი განაცხადა. მან ლიბანის ტერიტორია რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებთან ერთად გუშინ დატოვა და ამჟამად დამასკოში იმყოფება.

რაც შეეხება ლევან აბულაძეს, იგი 16 ივლისს, საღამოს საქართველოს საელჩოს მიერ დაქირავებული ავტომანქანით და საელჩოს ზედამხედველობის ქვეშ სირიაში გადავიდა. გუშინ მას იორდანია-სირიის საზღვარზე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში, ლიბანის რესპუბლიკაში, საუდის არაბეთში, ქუვეითსა და გაერთიანებულ არაბთა ემირატებში ეკატერინე მიქაძე დახვდა და იორდანიაში გადაიყვანა.

*ინტერპრესნიუსი*

მოკლედ

## ბათუმის სასამართლო დეპუტატების საქმეს განიხილავს

ბათუმის საქალაქო სასამართლო აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების - მურმან დუმბაძისა და მალხაზ კალანდაძის ინციდენტს განიხილავს. გუშინწინ პირველი სხდომა გაიმართა, რომელსაც უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის წევრი მალხაზ კალანდაძე არ დაესწრო. შეგახსენებთ, რომ ინციდენტი უმაღლეს საბჭოში გასული წლის 19 ოქტომბერს მოხდა, რომლის შედეგადაც დაზარალებულმა, "რესპუბლიკური" პარტიის წევრმა, მურმან დუმბაძემ ტვინის შერყევა მიიღო და მას ცხვირის ოპერაციის გაკეთება მოუხდა. მურმან დუმბაძის განცხადებით, მას მალხაზ კალანდაძე სხდომის მიმდინარეობის დროს თავს დაესხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 120-ე მუხლით. კალანდაძეს დუმბაძის ცემა ედება ბრალად. მოსარჩელე მურმან დუმბაძე დარწმუნებულია, რომ პროცესი მის სასარგებლოდ დასრულდება. "საგამოძიებო მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ სასამართლო აუცილებლად გამოიტანს კალანდაძის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს. მომხდარ ფაქტს თავიანთ ჩვენებებში უმრავლესობის წარმომადგენლებიც ადასტურებენ. თავად კალანდაძეც აღიარებს, რომ ჩაიდინა დანაშაული დამამძიმებელი ფორმით, რის გამოც, იძულებული გავხდი, ოპერაცია გამეკეთებინა. კალანდაძეს, მინიმუმ, უმაღლესი საბჭოს შემადგენლობიდან დათხოვნა ემუქრება", - აცხადებს მურმან დუმბაძე. *24 საათი*

## მოსკოვში საქართველოს ხუთი მოქალაქე დააკავეს

რუსეთის შსს-ს ოპერატიულ-სამძებრო ბიუროს ინფორმაციით, მოსკოვში დამნაშავეთა ექვსკაციანი ჯგუფი დააკავეს, რომელთაგანაც ხუთი - საქართველოს, ერთი კი მოლდავეთის მკვიდრია. გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ბინების ყაჩაღობა-გაქურდვით იყვნენ დაკავებულნი. ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ჯგუფის ყველა წევრის ყალბი პასპორტი. დაკავებულთაგან ყველაზე ახალგაზრდა, 25 წლის "კანონიერი ქურდი", მონოლაძე კრიმინალურ წრეებში ცნობილია, როგორც "ბეკა". რუსეთის შსს-ს ოპერატიულ-სამძებრო ბიუროს ხელმძღვანელის იური კარასევის განცხადებით, ის წელიწადნახევრის წინ კრასნოდარში ე.წ. ქურდული შეკრების დროს "აკურთხეს". კარასევისვე ინფორმაციით, ჯგუფის წევრები დანაშაულის ფაქტზე მოსკოვში, ბაიკალის ქუჩაზე დააკავეს. ყაჩაღები ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში იარაღის მუქარით შეცვივდნენ. ოჯახის წევრებს წაართვეს ფული - 125 ათასი რუბლის ოდენობით და საიუველირო ნაწარმი. გარეთ დამნაშავეებს ავტომობილი "ნივა" ელოდებოდათ. თუმცა, მათ გაქცევა ვერ მოახერხეს - ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა ისინი ადგილზე აიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულები ეჭვმიტანილები არიან მხოლოდ რუსეთის დედაქალაქში განხორციელებულ 10-ზე მეტ ყაჩაღურ თავდასხმაში. მათ 30-ზე მეტი ბინის გაქურდვა ბრალდებათ. **24 საათი**

## მკვლელობა მერვე პოლკის დასახლებაში

გუშინწინ, გვიან ღამით თბილისში, მერვე პოლკის დასახლებაში 44 წლის ბიზნესმენი დავით გიუნაშვილი მოკლეს. წინასწარი ინფორმაციით, მას კერძო ბიზნესი ჰქონდა. თვითმხილველების განცხადებით, მათ სროლის ხმა მაშინ მოესმათ, როდესაც გიუნაშვილმა კუთვნილი ავტომანქანა სახლთან ახლოს მდებარე ავტოსადგომზე გააჩერა. ბიზნესმენს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროდნენ. შემთხვევის ადგილიდან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სპორტული ჩანთა ამოიღეს, რომელშიც "კალაშნიკოვის" სისტემის ერთი ავტომატი იდო. შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკური სამსახურის თანამშრომლებმა უკვე დაკითხეს ავტოსადგომის დარაჯი, რომელიც მკვლელობას შეესწრო. როგორც დარაჯი იხსენებს, გვიან ღამით გიუნაშვილმა ავტოსადგომზე საკუთარი MLL-ის ჯიპი დააყენა და ავტოსადგომის ტერიტორიიდან გავიდა. მახლობლად ბუჩქებში ჩასაფრებული იყო, სავარაუდოდ, ორი პირი, რომლებმაც ბიზნესმენი ავტომატის ჯერით ჩაცხრილეს და გაიქცნენ. გამომძიებლები მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. **ინტერპრესნიუსი**

## მორიგი თავდასხმა თაგილონში

შეიარაღებული თავდასხმა მოხდა გუშინწინ, გვიან ღამით, გალის რაიონის სოფელ თაგილონში, სადაც ოთხი ნიღბიანი შეიარაღებული პირი თავს დაესხა ბაჩანა დამენიას ოჯახს. ბაჩანა დამენიამ თავდამსხმელებს სანადირო თოფიდან იმ დროს გაუხსნა ცეცხლი, როცა შეიარაღებული პირები მძევლად მისი შვილის აყვანას აპირებდნენ. ყაჩაღებიდან არავინ დაჭრილა. თავდამსხმელების მხრიდან გახსნილი საპასუხო სროლის შედეგად ბაჩანა დამენიამ მიიღო მძიმე ჭრილობა. ის ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ამ შემთხვევის შესახებ გუშინ ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე იმსჯელეს, თუმცა აფხაზური მხარე აცხადებს, რომ მათ არ გააჩნიათ არანაირი ინფორმაცია გალის რაიონის სოფელ თაგილონში და სხვა დაბალი ზონის სოფლებში მომხდარ კრიმინალურ თავდასხმებზე. **ინტერპრესნიუსი**

## დაკავება თაღლითობის ფაქტზე

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიების სამმართველომ მოქალაქე შოთა გელაშვილი დააკავა, რომელიც, გამოძიების ინფორმაციით, ფინანსური პოლიციის სახელით თაღლითობდა. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, გელაშვილი ს/ს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოს დაუკავშირდა, თავი ფინანსური პოლიციის თანამშრომლად გაასაღა და სააგენტოს ხელმძღვანელობას დიზელის საწვავი სთხოვა. "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობა ფინანსურ პოლიციას დაუკავშირდა და აღნიშნულის შესახებ შეატყობინა. ფინანსურმა პოლიციამ გელაშვილი თაღლითობის ფაქტზე დააკავა. მან დაკითხვისას დანაშაული აღიარა. გელაშვილი წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი. გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით დაიწყო, რაც "თაღლითობას" გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

# კიდევ ერთი განაჩენი ცარიელ დარბაზში

პირველი გვერდიდან

მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას დარბაზში ხმაური მოჰყვა. სასამართლო სხდომა პროტესტის ნიშნად დამსწრეებმა დატოვეს.

გუშინ სასამართლო სხდომის დარბაზი დაატოვებინეს პატრულის მიერ მოკლულ ამირან რობაქიძის მამას და რობაქიძეების ოჯახის ახლობელსაც. მათი პროტესტი მოწმედ დაკითხული ვიდეოპატრულის თანამშრომლის, გურამ დონაძის ქვეშევრდომის ჩვენებამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც, შემთხვევის ადგილზე მისული გადამლები ჯგუფის წევრებმა ამირან რობაქიძის მეგობრის ავტომანქანაზე დალაგებული ნახეს საბრძოლო იარაღი.

როგორც მოწმეების დაკითხვის შემდეგ ადვოკატმა ალექსანდრე ალადაშვილმა განაცხადა, მათ არ მოუთხოვიათ სასამართლოზე გამოცხადებული მოწმეების გოჩა მუკბანიანის და ოპერატორის ზურაბ ვაწაძის დაკითხვა, მათი მოთხოვნა იყო სასამართლო პროცესზე გამოცხადებულიყო მხოლოდ ის გადამლები ჯგუფი, რომლებიც განსასჯელ ბაშალეიშვილთან ერთად ისხდნენ საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში და შემთხვევის ადგილს პირველივე წუთებიდან იღებდნენ.

**"ეს მოწმეები გურამ დონაძის თანამშრომლები არიან და მის საწინააღმდეგო ჩვენებას არ მისცემენ სასამართლოს, ისინი დაწერილ, წინასწარ შეთხზულ ჩვენებებს იძლევიან. ვიდეოკასეტა, რომელზეც რეალური სიტუაციაა ასახული, არსებობს და ის გურამ დონაძის ხელშია. ამ ვიდეომასალით ის ვანო მერაბიშვილს ერთგულებას უმტკიცებს. ეს მოწმეები კი დონაძის მონები არიან და სიმართლეს არ იტყვიან",** - ამ განცხადების გამო დაატოვებინა სასამართლო სხდომა მოსამართლემ ამირან რობაქიძის მამას.

ამირან რობაქიძის ოჯახის წევრები, ახლობლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, რომლებიც სასამართლო პროცესის მონიტორინგს აწარმოებენ, მართლსაჯულებას უნდობლობას უცხადებენ.

**"მოსამართლე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ შსს-ს მაღალჩინოსნებს ხელს აფარებს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მათ პასუხისმგებლობა აცილოს, სასამართლო დაკვეთას ასრულებს",** - ასეთი გახლავთ ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის სასამართლო გამოძიების შეფასება.

იურისტი თინა ხიდაშელი იუსტიციის საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს და საქალქო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი შავლიაშვილს მოუწოდებს ყველა პირობა შექმნან იმისთვის, რომ ამირან რობაქიძის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი კანონიერად წარიმართოს. თინა ხიდაშელი, გამოძიებას, გურამ დონაძის დაპატიმრებას კატეგორიულად თხოვს.

**"დონაძეს 19 წლის ამირან რობაქიძის სიკვდილში ხელი აქვს გასვრილი. ის არის შემოქმედი, ორგანიზატორი და თანამოაზრე ამ საზარელი დანაშაულისა, მან დადგა სპექტაკლი რობაქიძის ყაჩაღური ბანდის წევრობის შესახებ. კანონის მიხედვით, ის უნდა მოიწვიონ სასამართლოში, დაკითხონ და დარბაზშივე დააპატიმრონ,"** - აცხადებს თინა ხიდაშელი.

*24 საათი*

# საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა - სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" სარჩელი და განხილვამდე შეაჩერა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 მუხლის მე-7 ნაწილის მოქმედება, რომლის მიხედვითაც, მოსამართლის მიერ სასამართლო პროცესზე გამოტანილი განკარგულება პირის დაპატიმრების შესახებ არ საჩივრდებოდა.

გარდა ამისა, სასამართლომ წარმოებაში მიიღო ადვოკატ ონისე მებონიას და მოქალაქე ვახტანგ მასურაშვილის საკონსტიტუციო სარჩელები, რომელთა ინტერესებსაც იცავენ ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია".

მოსარჩელე მხარეები მოითხოვენ არაკონსტიტუციურად ცნონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მეექვსე და მეშვიდე პუნქტები, რადგან ხსენებული ნორმის საფუძველზე უხეშად ირღვევა არა მარტო ადვოკატების, არამედ ნებისმიერი მოქალაქის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გუშინ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ნებისმიერ პირს შესაძლებლობა ეძლევა გაასაჩივროს მისი დაპატიმრების თაობაზე მოსამართლის მიერ გამოცემული განკარგულება. იმ შემთხვევაში კი, თუ დადასტურდება, რომ პირი მოსამართლის მიერ უკანონოდ იყო დაპატიმრებული, მას შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია.

ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" აპირებს დაიცვას ამ მუხლის საფუძველზე დაპატიმრებულ პირთა ინტერესები და მოსამართლის განკარგულება მათი პატიმრობის შესახებ გაასაჩივროს ზემდგომ ინსტანციაში.

ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" და "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრთა ადვოკატები დღეს კოტე კუბლაშვილის სახელზე საჩივარს შეიტანენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ეკა ტყეშელაშვილის მიერ გამოცემული განკარგულების გადასინჯვის და უკანონოდ ცნობის მოთხოვნით. რადგანაც, სწორედ ტყეშელაშვილის განკარგულებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე დააპატიმრეს "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები.

**"საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალიან მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას, რომ პრეცედენტული. ეს არის საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება საქმის საბოლოო განხილვამდე სადავო მუხლის შეჩერების თაობაზე. ამ მუხლის შეჩერებით, მოსამართლეს ერთმევა საშუალება, მიკერძოებულად და უკანონოდ გამოიტანოს პირის დაპატიმრების შესახებ განკარგულება, რადგან შესაძლოა, დადგეს თავად მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. ეს ნამდვილად მიღწევაა, საკონსტიტუციო სასამართლომ დღეს დაამტკიცა, რომ იგი ნამდვილად არის კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანო და შესწევს უნარი შეაჩეროს პარლამენტის მიერ მიღებული უკანონო ნორმატიული აქტის მოქმედება",** - აცხადებს ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარე მანანა კობახიძე.

სასარჩელო განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული მუხლი საფრთხეს უქმნის დაცვის ინსტიტუტის არსებობასაც და იგი რეპრესიული ნორმაა, რადგან მოსამართლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ადვოკატის ან პროცესის მონაწილე მხარის ნებისმიერი ქცევა შეაფასონ სასამართლოსადმი შეურაცხმყოფელად და გამოსცენ განკარგულება მათი დაპატიმრების შესახებ.

სწორედ ამ მუხლის მსხვერპლი გახდა ადვოკატი ონისე მებონია, რომელიც სიღნაღის რაიონის სასამართლოში იცავდა განსასჯელებს. სასამართლო პროცესის მსვლელობისას მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილმა არაერთხელ უხეშად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა, აშკარად გამოხატა მიკერძოებულობა ბრალდების მხარის მიმართ, რის გამოც ადვოკატმა ეთიკური ნორმების ფარგლებში გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება მოსამართლის ქცევის მიმართ, თუმცა მისი ეს ქმედება მოსამართლე კიკილაშვილმა სასამართლოსადმი უპატივცემულობად, წესრიგის დარღვევად მიიჩნია და გამოსცა ადვოკატის დაპატიმრების განკარგულება. ადვოკატი ონისე მებონია დააპატიმრეს 10 დღით.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა მცხეთის საქალაქო სასამართლოში. ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატმა თამარ გაბისონიამ მოსამართლე ნინო ჭალიძეს სთხოვა რეაგირება მოეხდინა მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელ ქმედებებზე. ეს მოთხოვნა მოსამართლისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და მეორე მხარის ნაცვლად, ადვოკატ გაბისონიას მისცა გაფრთხილება და მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში დაპატიმრებით დაემუქრა.

208-ე მუხლის საფუძველზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მალხაზ გურულმა დაცვის უფლება ჩამოართვა ადვოკატ ეკა ბესელიას. მოსამართლემ მართლმსაჯულების შეურაცხყოფად მიიჩნია ადვოკატის მოთხოვნა, განსასჯელის შუამდგომლობის ოქმში შეტანის თაობაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, კურიოზი მოხდა თელავის სასამართლოში - მოსამართლემ ადვოკატი მხოლოდ იმ მოტივით დააპატიმრა 30 დღით, რომ ადვოკატმა აზერბაიჯანულ ენაზე მოლაპარაკე მოწმის ჩვენების სათარგმნელად თარჯიმანი მოითხოვა. **24 საათი**

## განცხადება ჩატარებული ტენდერის შესახებ

2006 წლის 29 ივნისს სს "ახალციხის რაიონულ საავადმყოფოში" ჩატარდა ტენდერი "მედიკამენტების, რეაქტივებისა და ერთჯერადი მოხმარების სამედიცინო მასალის შესყიდვაზე". სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლენილი იქნა ორი პრეტენდენტი:

1. შპს "პსპ-რიხტერი" შემდეგ ლოტებში და დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 12.07. 2006 წ.:

ლოტი 2. სპეცკონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები
ლოტი 3. ანტიბიოტიკები, ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული საშუალებები
ლოტი 4. გადასასხმელები (ელექტროლიტები)
ლოტი 6. ანალგეზიურ-სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები
ლოტი 7. ჰორმონალური საშუალებები
ლოტი 8. ადრენომიმეტიკები
ლოტი 9. მიორელაქსანტები
ლოტი 10. ვიტამინები
ლოტი 11. დიარეის საწინააღმდეგო საშუალებები
ლოტი 12. დიურეზული საშუალებები
ლოტი 13. ამოსახველებელი საშუალებები
ლოტი 14. ანტიკოაგულანტები
ლოტი 15. ადგილობრივი ანესთეზიის საშუალებები
ლოტი 16. ანტიჰისტამინური საშუალებები
ლოტი 17. საგულე საშუალებები
ლოტი 18. ნოოტროპიული საშუალებები
ლოტი 19. ანტიჰიპერტენზიული საშუალებები
ლოტი 20. სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტები
ლოტი 23. სამედიცინო დანიშნულების საგნები
ლოტი 24. საოპერაციო საკერი მასალა
ლოტი 25. სადიაგნოსტიკო საშუალებები
ლოტი 26. სადეზინფექციო საშუალებები

2. შპს "ავერსი-ახალციხე" შემდეგ ლოტებში და დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 5.07.2006 წ.:

ლოტი 5. პლაზმური ხსნარები
ლოტი 22. შესახვევი მასალები.

სატენდერო კომისია

## ცვლილება ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახურის განცხადებაში

ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახურის მიერ 12 ივლისის გაზეთ "აჭარაში" გამოქვეყნებული განცხადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ტერმინები "ავტობუსი" და "მიკროავტობუსი" შეიცვალოს ტერმინით "სატრანსპორტო ერთეული". ამასთანავე, განცხადების მე-3 პუნქტში ტერმინი "დეპარტამენტი" შეიცვალოს ტერმინით "ინსპექცია".

ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების გადამზიდავთა კომისია.



# პროფესიული განათლება - დასაქმებისთვის

## წინასიტყვაობა კანონპროექტისთვის "პროფესიული განათლების შესახებ"



*ალექსანდრე ლომაია,*
*განათლებისა და მეცნიერების მინისტრი*

"პროფესიული განათლების შესახებ" კანონპროექტის შემუშავებითა და საზოგადოების წინაშე წარდგენით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ძირითადად, ასრულებს განათლების სისტემის რეფორმის კონცეფტუალური და საკანონმდებლო ბაზის შექმნას. პირველ რიგში, კანონპროექტი ეფუძნება "პროფესიული განათლების კონცეფციას", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 აგვისტოს NN150 დადგენილებით. ამასთან ერთად, ხაზგასასმელია ის საერთო ხედვა, რომელიც წარმოდგენილ კანონპროექტს აკავშირებს "უმაღლესი განათლების შესახებ" (2004) და "ზოგადი განათლების შესახებ" (2005) საქართველოს კანონებთან. ეს გამჭოლი ხედვაა ***სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში -*** თანამედროვე განვითარებული სამყაროს სტრატეგიული მიზნის, ***ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის*** მშენებლობის ფუძემდებლური პრინციპი. სასწავლო პროცესის კრედიტ-საათებით დაგეგმვა, სხვადასხვა დონის სასწავლო პროგრამების მიზნებისა და შინაარსის თავსებადობა და ურთიერთკავშირი, სწავლების შეფასება შედეგების შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევების და არა სასწავლო პროცესის ფორმალური მიმდინარეობის მიხედვით - ეს ის საერთო მიდგომებია, რომელთა გამოყენებითაც უნდა გადაიჭრას აღნიშნული კანონებით დასახული ამოცანები.

საბჭოთა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში, როდესაც სამუშაო ადგილებს არა ბაზრის მოთხოვნა, არამედ საგეგმო კომიტეტი განსაზღვრავდა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები არსებითად დამსჯელ დაწესებულებებად გადაიქცნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაბალი აკადემიური მაჩვენებლების მქონე მოსწავლეებისათვის. ასეთ სასწავლებელში მოხვედრილი ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში განწირული იყო მისთვის ხშირად საძულველი მძიმე ფიზიკური შრომისათვის. პროფსასწავლებელი იყო ერთგვარი საგანმანათლებლო ჩიხი, რომლის კურსდამთავრებული პრაქტიკულად მოკლებული იყო პირადი კარიერის მნიშვნელოვანი ზრდის შანსს, შემდგომი პროფესიული განვითარების, წინსვლის და, შესაბამისად, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

შემდგომშიც, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის დასაწყისში, სახელმწიფომ პრიორიტეტულად არ მიიჩნია პროფესიული განათლება. სხვა მრავალ პრობლემებთან ერთად, მოსამზადებელი პროფესიების სტრუქტურისა და სწავლების შინაარსის არშეცვლამ, საბჭოთა დროის ნორმატიული ბაზის განუახლებლობამ, დამანგრეველად იმოქმედა სწავლების პროცესსა და სწავლის ხარისხზე, რასაც მოყვა კიდეც ამ სასწავლებლების რეპუტაციის კიდევ უფრო დაკნინება.

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, ნებისმიერი პროფესიული მომზადების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი საბაზო განათლების (9 კლასი) მიღების შემდეგ. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა მოითხოვს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომელთა საკვალიფიკაციო ბაზას, სპეციალურ-პროფესიულ ცოდნასთან ერთად, ისეთი კომპეტენციებიც განსაზღვრავენ, როგორიცაა კომუნიკაციის, პრობლემათა გადაწყვეტის, ანალიზისა და სინთეზის უნარები. ამგვარი პროფესიული თვისებების შეძენა მხოლოდ პიროვნების ზოგადკულტურული განვითარების საფუძველზეა შესაძლებელი. აღნიშნული მიდგომა ნიშნავს დაბალკვალიფიციური მუშახელის მასობრივი მომზადების საბჭოთა პრაქტიკის შეგნებულ უარყოფას.

იმავე მიზნებს ემსახურება ზოგადი და პროფესიული სწავლების შემოთავაზებული ინსტიტუციური გამიჯვნა. კანონპროექტის თანახმად, პროფესიული სასწავლებლების პროგრამებში არ მონაწილეობს ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტი. მიგვაჩნია, რომ ამით დაცული იქნება ზოგადი განათლების შესაბამის, კვალიფიციურ გარემოში მიღების მოთხოვნა, რაც უდაოდ წაადგება მის ხარისხიანობას. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში ახალი კანონპროექტი უშვებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შეთავსებას პროფესიულ განათლების მიღებასთან, ე.წ. პროფესიული სწავლების ცენტრების მეშვეობით.

ერთ სასწავლო პროგრამაში ზოგადი და პროფესიული განათლების აღრევის პრაქტიკამ ბოლო წლებში განსაკუთრებით მახინჯი ფორმა მიიღო ე.წ. "კოლეჯებში", რომელთაც ცოტა რამ ჰქონდათ საერთო კოლეჯის, როგორც უმაღლესი განათლების საერთაშორისოდ დამკვიდრებულ ფორმასთან. "კოლეჯების" დიდი ნაწილი იქცა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში "შემოვლითი" გზით, პრაქტიკულად უგამოცდოდ ჩარიცხვის და უმაღლესში სწავლის პერიოდის ხელოვნურად შემცირების საშუალებად. მოქმედებდა შემდეგი სქემა: 9 კლასდამთავრებული მოსწავლეები სწავლას "კოლეჯში" აგრძელებდნენ, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის სრულ კურსს, ორი წლის ნაცვლად, ერთი წლის განმავლობაში, "კოლეჯის" პირველ კურსზე ასრულებდნენ. დარჩენილ ერთ-ორ წელიწადში ისინი "კოლეჯსაც" ამთავრებდნენ, შემდეგ კი მისაღები გამოცდებისა და I-II კურსის პროგრამის გაუვლელად, ირიცხებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების მესამე (!) კურსზე. ასაკით მათ თანატოლებს კი ამ დროისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხოლოდ I კურსზე ჩაბარება უწევდათ. პრესტიჟულ სპეციალობებზე (სამედიცინო, იურიდიული) ამგვარი ფაქტები იქცა კორუფციის, ცოდნის დაბალი ხარისხის და, ზოგადად, პროფესიული განათლების იდეის საბოლოო დისკრედიტაციის გამომწვევ მიზეზად.

ვფიქრობთ, რომ ახალი კანონპროექტის ერთ-ერთი მთავარი ღირსება მისი თანადროულობაა - იგი, ჩვენი აზრით, პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებსაც საგანმანათლებლო სისტემის წინაშე ქვეყანაში შექმნილი ახალი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აყენებს. უპირველეს ყოვლისა, აქ მოიაზრება ის როლი, რომელიც პროფესიულმა განათლებამ, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე მოქმედი ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის აშენებისა და მოსახლეობის დასაქმების პროცესში, გლობალიზაციის შესაძლებლობების სრულად გამოყენებისათვის უნდა შეასრულოს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში მკვეთრად გაუარესდა ეკონომიკური და სოციალური ვითარება და გაძლიერდა მიგრაციული პროცესები, პროფესიული განათლება, ბოლო დრომდე, მაინც არ განიხილებოდა უმუშევრობის, სიღარიბის დაძლევის, მოსახლეობის დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების ფაქტორად. თუ 1991 წელს, საქართველოს 170 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში 15000 მოსწავლე სწავლობდა, 2003 წლისათვის მათი რიცხვი 6000-მდე შემცირდა. დღეს პროფესიულ სასწავლებლებში სწავლას განაგრძობს მოსწავლე-ახალგაზრდობის 3,5-4 %, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია ევროპის განვითარებულ ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით - გერმანიაში, ავსტრიასა და სკანდინავიის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 70 %-ს აღწევს.

დღეს ჩვენ გვჭირდება ახალი ტიპის პროფესიული განათლება - სახელობოც და პროფესიული უმაღლესიც - ახალი ინფრასტრუქტურით, სწავლების მაღალი ხარისხით, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე კარგად მოწყობილი სასწავლო-საწარმოო პარტნიორობითა და შრომის ბაზარზე ორიენტაციით. განათლების ეს სახე სიცოცხლის ნებისმიერ ეტაპზე უნდა შეეხოს თითოეულ ადამიანს, ზრდასრულსა თუ ახალგაზრდას, და ხელი შეუწყოს მის დასაქმებას.

კანონპროექტში პროფესიული განათლების ამოცანებს შორის დასახელებულია მოსწავლისათვის საკუთარი ბიზნესის შექმნისა და გაძღოლის შესაძლებლობების გაცნობა. მოველით, რომ ეს დებულება სავალდებულოს გახდის სათანადო სასწავლო მოდულების შეტანას ყველა დონის სასწავლო პროგრამებში. სწავლების მიზნებისა და შინაარსის შრომის ბაზრის მოლოდინებთან დაკავშირება, ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციების გაცნობა და შესაბამისად გამოყენება კანონპროექტის კიდევ ერთი მოთხოვნაა. ამგვარი კავშირის უზრუნველსაყოფად კანონპროექტში ჩადებულია სასწავლო-საწარმოო პარტნიორობის განვითარების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულების, დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების, საზოგადოების სხვა დაინტერესებული წრეების ფართო ჩართვას პროფესიული განათლების დაგეგმვის, წარმართვისა და შედეგების შეფასების პროცესებში.

სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა პროფესიული განათლების სფეროში განიხილება, როგორც მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შექმნის მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურების კავშირს ეკონომიკასთან, განსაზღვრავს კვალიფიკაციებზე, კომპეტენციებსა და უნარ-ჩვევებზე შრომის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსს. სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის ფარგლებში დამსაქმებლები და მათი ორგანიზაციები მონაწილეობენ: პროფესიული განათლების ეროვნული პოლიტიკის შექმნასა და ამ სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაში; საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებაში; სამუშაო ადგილზე სწავლების პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში; საგანმანათლებლო პროგრამების შედგენასა და სასწავლებლების მართვაში. ასეთი საქმიანობა უპირველესად, მათ ინტერესებშიც შედის, რამდენადაც გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია სწორედ საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისი სამუშაო ძალის გამოყენებით უნდა იქმნებოდეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტისათვის - საქართველოს მთავრობის 2005 წლის 27 მაისის N30 დადგენილებით შექმნილია პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის სამთავრობო კომისია.

ეკონომიკური განვითარების სულ უფრო მზარდი საერთაშორისო ხასიათი მოითხოვს, რომ კანონპროექტში გათვალისწინებული იყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პროფესიული მომზადების პროცესისა და შინაარსის შესაბამისობა გარკვეულ საერთაშორისო ნორმებთან, პირველ რიგში კი ევროპულ მოთხოვნებთან. სწორედ შედარებადობისა და თავსებადობის მიმართულებით ვითარდება დღეს საგანმანათლებლო პროცესები ევროპაში. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომელსაც სახელმწიფოს დინამიკური ეკონომიკური განვითარების ამოცანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის წინაშე აყენებს. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მუშა-ხელის არსებობა ინვესტორის მოზიდვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაც არის. გარდა ამისა, იმედი გვაქვს, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროფესიული კომპეტენციების განვითარებით შესაძლებელი გახდება "სამუშაოს მოზიდვა" ისეთ თანამედროვე სფეროებში, როგორიცაა ელექტრონული ვაჭრობა, დისტანციური დაპროექტება და დისტანციური მომსახურება, ფინანსური ანალიზი და სხვა. დღეს პოსტსოციალისტური ქვეყნები სულ უფრო მეტ დასავლურ ინვესტიციას იზიდავენ ამგვარი ბიზნესისთვის. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ბულგარეთსა და რუმინეთში მსხვილი საერთაშორისო სატელეფონო ცენტრების ფუნქციონირება ან ესტონეთში შექმნილი საკომუნიკაციო ტექნოლოგია Skype. ეროვნული ეკონომიკის ზრდაში მონაწილეობასთან ერთად, ეს ბიზნესები ხელს შეუწყობენ მაღალკვალიფიციური მუშახელის დასაქმებას ქვეყნის შიგნით.

კანონპროექტი პროფესიული მომზადების მიმართულებებს და დონეებს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს: ***სახელობო პროფესიულ განათლებად*** და ***პროფესიულ უმაღლეს განათლებად.***

სახელობო პროფესიული განათლების დანიშნულებაა კვალიფიციური სპეციალისტ-პრაქტიკოსების ჩამოყალიბება პროფესიათა ფართო სპექტრში. ამგვარი პროფესიული მომზადების მიღება შეიძლება საბაზო ზოგადი განათლების საფუძველზე და დასტურდება კურსდამთავრებულისათვის ***პროფესიული სერთიფიკატის*** გადაცემით, რომელიც მისი კვალიფიკაციის აღიარების მოწმობაცაა.

პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებში ჩართვის გზა გადის ერთიანი ეროვნული გამოცდების დადგენილი მინიმუმის წარმატებით ჩაბარებაზე, ხოლო ამ გამოცდებზე, როგორც ცნობილია, დაიშვებიან მხოლოდ სრული ზოგადი განათლების (ამჟამად 11 წელი, 2008/2009 სასწავლო წლიდან კი - 12 წელი) მქონე აბიტურიენტები. პროფესიული უმაღლესი პროგრამის კურსდამთავრებულს გადაეცემა ***პროფესიული უმაღლესი განათლების დიპლომი.***

წარმოდგენილი კანონპროექტის სათანადო დებულებებით და ცვლილებებით კანონში "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოში საფუძველი ეყრება უმაღლესი განათლების ორი პარალელური შტოს - აკადემიურისა და პროფესიულის დიფერენცირებას, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას. სწორედ არასაუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების დაწესებულებები - "სათემო" და "უმცროსი" კოლეჯები, ტექნოლოგიური ინსტიტუტები და ა.შ. - უზრუნველყოფენ იმას, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში უმაღლესი განათლების მიღება პრივილეგიიდან მოქალაქეთა ***საყოველთაო უფლებად*** გადაიქცა.

პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებით დღეს პროფესიათა ფართო სპექტრისთვის ამზადებენ სტუდენტებს. მათ შორისაა როგორც ტრადიციული სპეციალობები: "ბიზნესის ადმინისტრირება", "საინჟინრო საქმე", "ტექნოლოგიები და წარმოების მართვა", ასევე ჩვენთვის შედარებით ახალი "სამართალდამცველის ასისტენტი", "ოფისის სისტემების მენეჯერი" და ა.შ. ხაზგასასმელია, რომ პროფესიული უმაღლესი განათლების დიპლომზე მომზადების პროგრამების დიდი ნაწილი ჯანდაცვის სფეროსთან არის დაკავშირებული. ესენია "ჯანდაცვის ინფორმაციული მენეჯერი", "კბილის ტექნიკოსი", "სხივური თერაპიის ტექნიკოსი", "ფიზიოთერაპევტი" და ა.შ.

კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიული განათლების ორივე ჯგუფის შიგნით სხვადასხვა საკვალიფიკაციო დონეების გამოყოფასაც, რომელთა რანჟირება სპეციალისტის მიერ ათვისებული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით მოხდება. კანონპროექტის შესაბამისი დებულებები გზას უხსნის ეროვნული საკვალიფიკაციო სისტემის ჩამოყალიბებას სათანადო ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის მეშვეობით. ესენია პროფესიათა ეროვნული სააგენტო და პროფესიული ასოციაციები. მათი საერთო ამოცანაა საკვალიფიკაციო მოთხოვნათა შემუშავება და სტანდარტიზაცია პრაქტიკაში არსებულ პროფესიათა მთელ სპექტრში, ეროვნული პროფესიული სტანდარტების შეჯერება საერთაშორისო ნორმებთან, პირველ რიგში კი ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი, შესაბამისი სასწავლო პროგრამების გავლის გარდა, სპეციალისტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ალტერნატიულ შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. მასში პირველად შემოდის ***არაფორმალური განათლების*** ცნება და გათვალისწინებულია მისი მეშვეობით შეძენილი კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმი. არაფორმალური პროფესიული განათლება გულისხმობს პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების დაუფლებას სპეციალური სასწავლო დაწესებულების და სტრუქტურირებული სწავლების მიღმა. ასეთი მომზადების საუკეთესო ნიმუშია ჩვენთვის ტრადიციული ოსტატ-შეგირდობის ინსტიტუტი. დღეს, ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების სწრაფი განვითარების პირობებში, ზოგიერთ პროფესიებში სპეციალისტის მომზადება შეიძლება მოხდეს ისეთი არატრადიციული გზებითაც, როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. ელექტრონული ან დისტანციური სწავლება, ანუ სწავლება კომპიუტერული ინფორმაციული ქსელების მეშვეობით. ამიტომ, კანონპროექტი ითვალისწინებს ***ატესტაციის განმახორციელებელი ორგანოების*** შექმნას, რომლებიც თითოეულ მაძიებელს, მიუხედავად იმისა, გაიარა თუ არა მან შესაბამისი ფორმალური სწავლების პროგრამა, მიანიჭებენ სასურველ კვალიფიკაციას. რასაკვირველია, ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაძიებელი პირი თავს წარმატებით გაართმევს სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შემაფასებელ ტესტირებას.

აქ კანონპროექტს გარკვეული შეზღუდვაც შემოაქვს. მსგავსად "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის შესაბამისი მოთხოვნისა, იგი ითვალისწინებს სახელობო კვალიფიკაციებში ***რეგულირებადი პროფესიების*** გამოყოფას, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებისა და პიროვნებისათვის განსაკუთრებულ რისკებთან. ასეთების მაგალითებია ამწის მემანქანე, ელექტრომონტიორი, სხვადასხვა კატეგორიის შემდუღებლები (ელექტროაირშემდუღებელი, ლაზერული დანადგარებით შემდუღებელი და სხვა), საავიაციო ტექნიკის ამწყობი და შემკეთებელი ზეინკლები, საზღვაო პროფესიები - მეზღვაური, დოკერი, გემის მემანქანე, ბოცმანი და სხვა. ამ შემთხვევაში, შესაბამისი კვალიფიკაციის აღიარება ორი პირობის ერთდროული დაცვის შემთხვევაში მოხდება, როგორიცაა ფორმალური პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის გავლა და სათანადო ტესტირების წარმატებით ჩაბარება.

ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ კანონპროექტში დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს შრომითი რესურსების კვალიფიკაციათა განსაზღვრის საკითხს. იგი ითვალისწინებს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ***ეროვნული პროფესიული სააგენტოს*** შექმნას, რომლის ფუნქციათა შორის უპირველესი იქნება ***ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს*** ჩამოყალიბება. ჩარჩოში აღწერილი იქნება მოცემული მომენტისთვის ქვეყანაში აღიარებული ყველა პროფესია, შესაბამისი უნარ-ჩვევების, კომპეტენციებისა და საკვალიფიკაციო დონეების ჩვენებით. ბუნებრივია, რომ სახელმწიფო ინვესტიციებს გამოყოფს სპეციალისტების მომზადებისათვის მხოლოდ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შეტანილ პროფესიებში, თუმცა, კერძო ინიციატივების დონეზე, დასაშვები იქნება სწავლება იმ პროფესიებშიც, რომლებიც არ არიან, ან ჯერ არ არიან შეტანილი საკვალიფიკაციო ჩარჩოში. ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, უფლება აქვს მიმართოს ეროვნულ პროფესიულ სააგენტოს კვალიფიკაციათა ჩარჩოში ახალი პროფესიების ჩართვის ინიციატივით.

სააგენტოს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციაა ***პროფესიული სტანდარტების*** დამუშავება ან/და დამტკიცება კვალიფიკაციათა ჩარჩოში შეტანილი ყველა პროფესიისათვის. პროფესიული სტანდარტი წარმოადგენს საკმარისად დეტალიზებულ მოთხოვნებს სპეციალისტის პროფესიული იერ-სახის მიმართ, რათა მის საფუძველზე აიგოს შესაბამისი ***სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა,*** რაც, არსებითად, მოცემული პროფესიისათვის მომზადების სტანდარტულ კურიკულუმს წარმოადგენს. Aამ პროგრამებს დაამუშავებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ახლად დაფუძნებული ცენტრი, ხოლო დაამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

კანონპროექტი ცნობს ალტერნატიული სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების მექანიზმსაც. ამისათვის, პროგრამის ავტორებმა უნდა მიმართონ ***ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს,*** რომლის მიერ დადებითი დასკვნის, ანუ პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში - პროგრამას დაამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. აღნიშნული ალტერნატიული მექანიზმი გზას გაუხსნის ასეთი პროგრამის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებას სახელმწიფო დაფინანსებისაკენ, ხოლო მის კურსდამთავრებულებს - მათი კვალიფიკაციის ფორმალური აღიარებისაკენ.

სახელობო მომზადების ხარისხი, ისევე, როგორც სწავლების ნებისმიერი სხვა ფორმის ხარისხი, დიდად არის დამოკიდებული მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე. კანონპროექტი დეტალურად განმარტავს, თუ ვის და რა პირობებში შეიძლება მიეცეს მასწავლებლობისა და ინსტრუქტორობის უფლება სახელობო მომზადების სისტემაში. ამისათვის აუცილებელია ორი პირობის დაკმაყოფილება - შესაბამისი განათლება და/ან კვალიფიკაცია და სპეციალური პედაგოგიური მომზადება, კანონპროექტით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების ფარგლებში.

კანონპროექტის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული სწავლების ცენტრები, ინსტიტუციურ აკრედიტაციას გაივლიან. აკრედიტაციის მიზანია, დაწესებულების რესურსული შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან. მოველით, რომ ასეთი აკრედიტაცია უფრო ადვილად ადმინისტრირებადი პროცესი იქნება, ვიდრე პროგრამული აკრედიტაცია, რომელიც სწავლების ხარისხის შეფასების ძირითად ინსტრუმენტად გვევლინება უმაღლესი განათლების სისტემაში. ამიტომ შესაძლებელი იქნება სახელობო პროფესიული სწავლების ხარისხის შედარებით ხშირი შეფასება, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს იმ სწრაფ და ღრმა, ძირითადად ტექნოლოგიური ხასიათის ცვლილებებს, რომლებიც დღეს ესოდენ დამახასიათებელია პრაქტიკული საქმიანობის უკლებლივ ყველა სფეროსთვის. (ასე მაგალითად, თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარების უმრავლესობაში ჯერ მიკროპროცესორული, შემდეგ კი ინტერაქტიური კომპიუტერული მართვის პრინციპების გამოყენებამ ძირეულად შეცვალა როგორც ამ დანადგარებზე მომუშავე ოპერატორებისადმი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე მათი მომსახურე პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების შინაარსი და ხასიათი).

მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონპროექტი ძირითადად სახელობო მომზადებას აღწერს, ხოლო ***პროფესიული უმაღლესი განათლების*** თაობაზე მასში სულ რამდენიმე დამაზუსტებელი დეტალია მოცემული, გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით, რათა საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ ფრიად საგულისხმო საერთაშორისო ტენდენციას, რომელიც უმაღლესი განათლების ტიპების გამრავალფეროვნებას, და, მათ შორის, პროფესიულ უმაღლესისაგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობისა და მათში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდას ეხება. ყველა იმ ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემებს შიგნით, რომელთა ეკონომიკები წარმატებით ვითარდება, იზრდება მრავალფეროვნება სასწავლებელთა ტიპების, სასწავლო პროგრამების დანიშნულებისა და შინაარსის მიხედვით.

უკანასკნელ წლებში, უმაღლესი განათლების ცნება საკმარისად გაფართოვდა. მასში აღარ მოიაზრება მხოლოდ ტრადიციული საუნივერსიტეტო ციკლები: ბაკალავრი-მაგისტრი-დოქტორი, რომელთა შესაბამისი, ე.წ. აკადემიური მომზადების პროგრამები, უპირველეს ყოვლისა, მკვლევარებისა და მომავალი პროფესურის, აგრეთვე სათანადო დარგების საშუალო და უმაღლესი რგოლის მენეჯერების აღზრდაზე არიან ორიენტირებულები. იმ საზოგადოებებში, რომლებშიც ცოდნა უშუალო მწარმოებელ ძალად გადაიქცა, სულ უფრო მზარდი რაოდენობით ხდება საჭირო სპეციალისტების მომზადება, რომელთა საკვალიფიკაციო დონე უმაღლესი განათლებისათვის მიღებულ მაჩვენებლებს შეესაბამება, ხოლო სამოქმედო ასპარეზი კი არასაუნივერსიტეტო, არაკვლევითი და არაადმინისტრაციული... ამმართველობითი ხასიათის პროფესიული პრაქტიკაა.

ბუნებრივია, რომ ეს გარემოება სათანადოდ აისახება სასწავლო პროგრამებს შორის განსხვავებებშიც. ასე მაგალითად, ამერიკელ ინჟინერ-მშენებელთა საბაკალავრო და პროფესიულიი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ტექნოლოგიური საგნების რაოდენობა და შინაარსი პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტურია, მაგრამ მშენებელ-ბაკალავრთა მოსამზადებელი პროგრამა შეიცავს რიგ ისეთ პროგრამებს, როგორიცაა "ადამიანური რესურსების მართვა", "მარკეტინგის ძირითადი ცნებები და პრაქტიკა", "მშენებლობის დაგეგმვა და მართვა" და ა.შ., რომლებიც არ არიან წარმოდგენილი დიპლომირებული მშენებლის მოსამზადებელ პროგრამაში. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ამ პროგრამის წინაშე დგას განსხვავებული ამოცანა: მომზადდეს ისეთი ინჟინერ-მშენებელი, რომლის კვალიფიკაცია საკმარისია სათანადო ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველსაყოფად და რომელიც შეძლებს ობიექტის აშენების მსვლელობაში პირველი რგოლის მენეჯერის ან სამუშაოთა მწარმოებლის ფუნქციის შესრულებას.

ზემოაღნიშნული ტენდენციის საილუსტრაციოდ საინტერესოა დავაკვირდეთ იმ სახელმწიფოების საგანმანათლებლო სისტემებს, რომლებიც ვითარდებიან ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მიმართულებით. მაგალითად, 1980-1998 წლებში ირლანდიაში უმაღლეს განათლებაში, მათ შორის პროფესიულ უმაღლეს განათლებაში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი გაიზარდა 2,7-ჯერ, ფინეთში - 2,8-ჯერ, სინგაპურში ამ მაჩვენებლის ზრდამ 5-ს გადააჭარბა (C.Dahlman, Challenges of the Knowledge Economy, 2002). სამხრეთ კორეაში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შორის მათი ფარდობითი რიცხვი, ვინც სწავლა განაგრძო უმაღლეს სასწავლებლებში, გაიზარდა 26,9%-დან 1970 წელს, 79,7%-მდე 2003 წელს. ნიშანდობლივია, რომ იგივე წლებში სრული ეროვნული შემოსავალი, მოსული ერთ სულ მოსახლეზე, კორეაში გაიზარდა თითქმის 100-ჯერ: 110-დან 12 646 აშშ დოლარამდე! (Il-Yong Cheong, 2006).

ამდენად, უმაღლესი განათლების ამ ახალი ტიპის შემოღებით, განათლების და მეცნიერების სამინისტრო ადასტურებს, რომ მის მიზანს წარმოადგენს აკადემიურ და პროფესიულ უმაღლეს განათლებაში სტუდენტთა რაოდენობის ზრდა, ვინაიდან მხოლოდ მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტებს შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ "ცოდნის მუშაკების" - ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ძირითადი აგენტების ფუნქცია.

საქართველოს მთავრობის მიზანდასახული ძალისხმევა, მკვეთრად გაიზარდოს უმაღლესი განათლების ხარისხი, ლოგიკურად გამოიხატა ისეთი ღონისძიების გატარებაში, როგორიცაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია, აბიტურიენტთა ღირსებების ობიექტურ შეფასებაზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება, სახელმწიფო უნივერსიტეტებში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია და გამჭვირვალე კონკურსების ჩატარება, მეცნიერული კვლევების დაფინანსების კონკურენტული, საგრანტო ფორმის შემოღება. ამ ნაბიჯებმა უკვე გამოიღო პირველი შედეგები: თუ 2004 წლის შემოდგომაზე, პირველი აკრედიტაციის დაწყებამდე, სახელმწიფოში 247 ლიცენზირებული დაწესებულება მოქმედებდა, 2006 წელს, აკრედიტაციის მეორე ეტაპში მონაწილეობის მისაღებად ამჟამად დაშვებულია მხოლოდ 45 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და არსებობს დასაბუთებული მოლოდინი, რომ აკრედიტაციის მაძიებელთა ერთი ნაწილი ამ შემოწმებას ვერ გაივლის. შედარებისათვის, ესტონეთში 33 აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ლიტვაში - 45, ლატვიაში - 30 (UNESCO, 2005). ამ პროცესების შედეგად, გაძლიერდებიან ის უნივერსიტეტები, რომლებსაც მართლაც გააჩნიათ სწავლების აკადემიური პროგრამებისათვის სრულიად აუცილებელი წინაპირობა - ძლიერი კვლევითი პოტენციალი, სათანადო მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები, რაც, საბოლოო ჯამში, სწორედ ჩვენი სტრატეგიული მიზნის მიღწევას - განათლების ხარისხის ზრდას შეუწყობს ხელს.

პარალელურად, შეიქმნება პროფესიული უმაღლესი განათლების ახალი, გამოყენებითი დანიშნულების პროგრამები. მათი განხორციელება მოხდება როგორც ამჟამად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე უმაღლესი განათლების ახალ დაწესებულებებში - სათემო (ადგილობრივ) კოლეჯებში.

აქ უპრიანიად გვეჩვენება მოვიყვანოთ ცნებების "უნივერსიტეტი", "ინსტიტუტი", "კოლეჯი", ახალი დეფინიციები, რათა მოწესრიგდეს სასწავლო დაწესებულებების შინაარსისა და სახელწოდების შესატყვისობის მნიშვნელოვანი საკითხი. კანონპროექტის თანახმად, კოლეჯი არის ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას ან/და უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის პროგრამას; ინსტიტუტი არის ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა; ხოლო უნივერსიტეტი არის ის უმაღლესი საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

აბიტურიენტების ახალ თაობებს უკვე არჩევანის გაკეთების საშუალება მიეცემათ - ისწავლონ ოთხწლიან საბაკალავრო პროგრამებზე და ამითვე დაიწყონ მომზადება მომავალი სამეცნიერო-აკადემიური კარიერისათვის, თუ გაიარონ სწავლება პროფესიულ უმაღლეს დიპლომზე და შედარებით მოკლევადიანი (ძირითადად 2, ზოგიერთი კვალიფიკაციისთვის, 3 წელი) პროგრამის დასრულების შემდეგ მიაშურონ შრომის ბაზარს, როგორც უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებმა.

აქვე დავძენთ, რომ პროფესიული უმაღლესი განათლების დიპლომი სრულ შესაძლებლობას უტოვებს პიროვნებას, შეცვალოს საკუთარი გადაწყვეტილება როგორც სწავლის პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდეგ. მას ექნება უფლება გადავიდეს საბაკალავრო პროგრამიდან პროფესიულ უმაღლეს (სადიპლომო) საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან პირიქით. ნებისმიერი ასეთი გადასვლის შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს სასწავლო "ტრაექტორიის" იმ წერტილიდან, რომელშიც აღმოჩნდება უკვე შეძენილი ცოდნის საფუძველზე, ანუ კრედიტების იმ ჯამით, რომელიც მას დაუგროვდა წინა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მეშვეობით, რაც შესაძლებელი გახდება კრედიტების ტრანსფერის სისტემის ამოქმედებით.

დასასრულ, გვინდა მადლობა მოვახსენოთ, ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობდა კანონპროექტის მომზადებაში: ევროკომისიის მიერ "საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმირების სტრატეგიული და იურიდიული ჩარჩოს შემუშავების დახმარების პროექტის" ფარგლებში მომუშავე ექსპერტებს, პროექტის ხელმძღვანელს ბ-ნ იანის სოფიანოპულოსს, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბ-ნ გიგი თევზაძეს, არასამთავრობო ორგანიზაციებს - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას, გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კანონპროექტის საჯარო განხილვებში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებს; და ბოლოს, ჩამონათვალით, და არა მნიშვნელობით, კანონპროექტრის შექმნაში მონაწილე სამინისტროს ყველა თანამშრომელს, სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს, ხელმძღვანელი ქ-ნი ჩიორა თათაქიშვილი და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტს, ხელმძღვანელი ბ-ნი არჩილ სამადაშვილი, გამორჩეული ხედვის, თანამშრომლობისა და დაუღალავი შრომისათვის.

**გაგრძელება A6 გვერდზე**

# საქართველოს კანონი
# *პროექტი*
# პროფესიული განათლების შესახებ

A5 გვერდიდან

## თავი 1. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა და ამ კანონის მოქმედების სფერო**

1. პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ამ კანონს, "უმაღლესი განათლების შესახებ", "ზოგადი განათლების შესახებ", "საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს.
2. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს და წესს, ადგენს პროფესიული განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, აკრედიტაციის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა
ა) აკრედიტაცია - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ სტანდარტთან, სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამასთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება;
ბ) ატესტაცია - უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად არაფორმალური გზით მიღებული სახელობო განათლების კვალიფიკაციის მინიჭება და დადასტურება, სხვა ქვეყანაში მიღებული სახელობო კვალიფიკაციის აღიარება, საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული კვალიფიკაციის შეფასება;
გ) არაფორმალური განათლება - პროფესიული განათლება, რომელიც მიღებულია პირის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად ან არააკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამით;
დ) დიპლომირებული სპეციალისტი - პირი, რომელმაც აითვისა პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, მიიღო შესაბამისი კვალიფიკაცია და რომელსაც შეუძლია სწავლის პროცესში ათვისებული მეთოდების, აგრეთვე პროფესიულ ვითარებებში მის მიერ შემუშავებული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით გადაწყვიტოს პროფესიული ამოცანები ცნობილ და უცნობ გარემოებებში;
ე) ეროვნული პროფესიული სააგენტო - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიმუშავებს პროფესიულ სტანდარტებს და ასრულებს ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს პროფესიული განათლების რეგულირების მიზნით;
ვ) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო - დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული სახელობო და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი ყველა პროფესია, კვალიფიკაცია და კვალიფიკაციათა დონე;
ზ) ვაუჩერი - სახელმწიფოს მიერ პროფესიული სტუდენტისათვის გადაცემული, მიზნობრივი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტების მიერ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისების დასაფინანსებლად;
თ) ინსტრუქტორი - პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული სფეროს მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და რომელიც ახორციელებს სწავლებას პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;
ი) კვალიფიკაცია - კონკრეტული შრომით საქმიანობაში პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების და კომპეტენციების ფლობის დონე;
კ) კოლეჯი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებს;
ლ) კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად განხორციელებული სამუშაოს მოცულობას;
მ) მასწავლებლის/ინსტრუქტორის სერტიფიცირება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის შესაბამისი უფლების მინიჭება ან/და განახლება;
ნ) მასწავლებელი - პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში, გავლილი აქვს აკრედიტირებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებას;
ო) პროფესია - ცოდნის, უნარ-ჩვევების და კომპეტენციების ნაკრები, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის და რომლითაც შეიძლება შესაბამისი ცოდნის მიღება სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად;
პ) პროფესიული ასოციაცია - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, წევრობაზე დაფუძნებული, დამოუკიდებელი არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე პროფესიის წარმომადგენლებისაგან და მიზნად ისახავს პროფესიის განვითარებას, წევრთა ერთობლივი ინტერესების დაცვას, პროფესიული ეთიკის დაცვაზე ზრუნვას;
ჟ) პროფესიული განათლება - სახელობო ან/და პროფესიული უმაღლესი განათლება, რომელიც მიზნად ისახავს პირის მომზადებას პროფესიული საქმიანობისათვის;
რ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;
ს) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების და მისი შექმნის წესსა და პირობებს;
ტ) პროფესიული სტანდარტი - ეროვნული პროფესიული სააგენტოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც ადგენს თუ რა კომპეტენციას, უნარ-ჩვევებსა და ცოდნას ფლობს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელი;
უ) პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც სწავლობს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამით;
ფ) პროფესიული სწავლების ცენტრი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს;
ქ) რეგულირებადი პროფესია - საქმიანობა, რომლის განხორციელებისათვის პირი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური განათლების გარდა უნდა გაიაროს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა;
ღ) საატესტაციო ორგანო - საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულია, როგორც არაფორმალური განათლების ატესტაციის ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანო;
ყ) სასწავლო პრაქტიკა - სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება პრაქტიკული სწავლებისათვის სპეციალურად შექმნილ გარემოში ვიწრო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან სხვა გარემოში;
შ) სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა - სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების, კომპეტენტური საჯარო სამართლის იურიდიული პირების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარების მიზნით;
ჩ) საწარმოო პრაქტიკა - პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება დამსაქმებელთან და მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას;
ც) სახელობო განათლება - პროფესიული განათლების სახე, რომლის მიღებაც შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ და მიზნად ისახავს სერტიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას;
ძ) სერტიფიცირებული სპეციალისტი - პირი, რომელმაც აითვისა სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა და რომელსაც მიღებული ცოდნის საფუძველზე აქვს უნარი განახორციელოს პროფესიული მოქმედებები როგორც ცნობილ, ისე უცნობ პირობებში და მიეცა შესაბამისი კვალიფიკაცია;
წ) სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა - დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტანდარტში მოყვანილი ცოდნის მიღებისა და უნარ-ჩვევების განვითარებისათვის აუცილებელ საგანმანათლებლო კურსებს, მათ შინაარსს და განაწილებას დროში.

**მუხლი 3. პროფესიული განათლების მიზნები და ამოცანები**

1. საქართველოში პროფესიული განათლების ძირითადი მიზნებია:
ა) მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პიროვნების პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის ჩამოყალიბებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;
ბ) ეკონომიკის უზრუნველყოფა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით, სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების მიმართ განათლების სისტემის მისადაგება;
გ) დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით;
დ) ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა მათ მიერ საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების გზით;
ე) პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა მობილობის წახალისება;
ვ) პროფესიული განვითარების პირობების და დასაქმების პირობების შექმნა პირებისათვის, რომლებიც საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ იმყოფებიან;
ზ) უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება;
თ) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად პროფესიული განათლების ამოცანებია:
ა) საქართველოში ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება სწავლების უწყვეტობის, მრავალსაფეხურიანობის, მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
ბ) საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შემდგომი ინტეგრაცია;
გ) პროფესიული განათლების დაკავშირება ადგილობრივ მოთხოვნებთან; პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის შექმნა რეგიონული განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინებით;
დ) პროფესიული სწავლების ცენტრების და კოლეჯების შექმნა სახელობო და პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციისათვის;
ე) პროფესიული განათლების ყველა საფეხურზე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო მუშაობის დაგეგმვისა და შეფასების ერთიანი საკრედიტო სისტემის დანერგვა;
ვ) მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადების ახალი პრაქტიკის გავრცელება, კონკრეტული პროფესიის განვითარების საფუძველზე, პროფესიული პედაგოგიკის და ანდრაგოგიკის მიღწევების გამოყენებით;
ზ) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავება და სრულყოფა;
თ) თითოეული პროფესიისათვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება;
ი) სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათი შემდგომი განახლება და განვითარება;
კ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სისტემის შექმნა;
ლ) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული ორიენტაციის სისტემის შექმნა და განვითარება, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი ბიზნესის შექმნისა და გაძღოლის შესაძლებლობის გაცნობა.

**მუხლი 4. პროფესიული განათლების მიღების უფლება**

1. ყველას აქვს პროფესიული განათლების მიღების უფლება, რათა შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული კარიერის ჩამოყალიბებისათვის.
2. პროფესიული განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის პროფესიული განათლების სისტემას, რომელიც ეყრდნობა პროფესიული სწავლების ცენტრებსა და კოლეჯებს.
3. პროფესიული განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს თითოეული ადამიანის პროფესიული განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობები მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. პროფესიული განათლების მიღება შეიძლება არაფორმალური გზით. პროფესიული განათლების სისტემა უზრუნველყოფს არაფორმალური გზით შეძენილი უნარ-ჩვევების, ცოდნისა და კომპეტენციების ატესტაციით დადასტურების და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების ან/და აღიარების შესაძლებლობის არსებობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. 5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და/ან არაფორმალური განათლების ატესტაციის განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პირის სამართლიანი შეფასება.
6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სწავლისა და სასწავლო პრაქტიკის დროს დაწესებულების ტერიტორიაზე.
7. პროფესიული სტუდენტის უფლებები საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს დაცულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
8. პროფესიული განათლების უფლების სრულყოფილი განხორციელების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ პროფესიულ ორიენტაციას, რაც მიზნად ისახავს აბიტურიენტების, პროფესიული სტუდენტებისა და სტუდენტების კონსულტაციას მათი მომავალი პროფესიული საქმიანობასა და შრომით პირობებთან დაკავშირებით. პროფესიული ორიენტაციის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ამყარებენ კავშირს დამსაქმებლებთან.

## თავი 2. პროფესიული განათლების სახეები

**მუხლი 5. პროფესიული განათლების სახეები და ადგილი განათლების სისტემაში**

1. განათლების სისტემა საქართველოში უზრუნველყოფს ზოგადი განათლების, პროფესიული განათლების და უმაღლესი აკადემიური განათლების ურთიერთკავშირს.
2. პროფესიული განათლება შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური.
3. ფორმალური პროფესიული განათლება ხორციელდება პროფესიული სწავლებისათვის შექმნილ აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სტრუქტურირებულ გარემოში და სრულდება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით ან შეცვლით და შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემით.
4. არაფორმალური განათლება არის განათლება, რომელიც არ არის მიღებული აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად და არ ითვალისწინებს აკრედიტებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებას. არაფორმალური განათლება შეიძლება მიღებულ იქნეს დამოუკიდებელი, არაინსტიტუციური ან არასტრუქტურირებული მუშაობის ფორმითაც.
5. საქართველოში ფორმალური პროფესიული განათლების სახეებია: სახელობო განათლება და პროფესიული უმაღლესი განათლება.
6. სახელობო განათლების მიღება შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე, ხოლო პროფესიული უმაღლესი განათლების - სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე.
7. პროფესიული უმაღლესი განათლება რეგულირდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით.

**მუხლი 6. ფორმალური და არაფორმალური განათლება**

1. არაფორმალური განათლება მიზნად ისახავს პროფესიის ათვისებას, პროფესიულ გადამზადებას ან/და კვალიფიკაციის ამაღლებას. არაფორმალური განათლების გზით მიღებული კვალიფიკაციის სახელმწიფო აღიარება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ატესტაციის გავლის შედეგად.
2. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება განხორციელდნენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტრუქტურირებულ გარემოში. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამები არ ექვემდებარებიან აკრედიტაციას.
3. არაფორმალური განათლების გზით მიღებული კვალიფიკაციის ატესტაციას ახორციელებენ საატესტაციო ორგანოები. საატესტაციო ორგანო შეიძლება იყოს იურიდიული პირი, განურჩევლად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, რომელიც მოიპოვებს აღიარებას როგორც საატესტაციო ორგანო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ატესტაცია მიზნად ისახავს:
ა) არაფორმალური პროფესიული განათლების მქონე პირის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებას და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას ან შეცვლას;
ბ) უცხო ქვეყანაში მიღებული პროფესიული განათლების და კვალიფიკაციის აღიარებას;
გ) საქართველოში მიღებული ფორმალური განათლების შეფასებას და შესაბამისი კვალიფიკაციის დამოწმებას.
5. საატესტაციო ორგანოს თითოეული პროფესიისა და კვალიფიკაციისათვის ადგენს ეროვნული პროფესიული სააგენტო. ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს მიერ შეიძლება განისაზღვროს საატესტაციო ორგანოს დადგენის წესი.
6. ატესტაციის წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნული პროფესიული სააგენტოს წარდგინებით.

**მუხლი 7. ფორმალური პროფესიული განათლება**

1. ფორმალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავენ თეორიულ სწავლებას, სასწავლო პრაქტიკას ან/და საწარმოო პრაქტიკას.
2. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
3. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 წელს.
4. სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც მოიცავს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს და რომლის შედეგადაც პირს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია, ექვემდებარება ლიცენზირებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების სახელმწიფო აღიარებისათვის სავალდებულოა დაწესებულების აკრედიტაცია. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისების შედეგად გაიცემა სახელობო განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის სერტიფიკატი.
6. პროფესიული უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით. პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაიცემა პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის დიპლომი.
7. სახელობო განათლება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შორის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმაში კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება დაექვემდებაროს შესაბამის სახელობო განათლების აკრედიტაციას.
8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები კანონმდებლობით დადგენილი წესით, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე. ამ შემთხვევაში მასზე ვრცელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სწავლების ცენტრის მიმართ დადგენილი ლიცენზირების, აკრედიტაციის, დაფინანსებისა და მასწავლებლის შრომის ანაზღაურების წესი და პირობები.

**მუხლი 8. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო**

1. საქართველოში არსებული პროფესიების და შესაბამისი კვალიფიკაციების განსაზღვრის მიზნით სახელმწიფოში იქმნება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელსაც პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს და ამტკიცებს ეროვნული პროფესიული სააგენტო.
2. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ახდენს საქართველოში არსებული სახელობო და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი ყველა პროფესიის, კვალიფიკაციისა და კვალიფიკაციათა დონის სიტემატიზაციას. ყველა ამ პროფესიისა და კვალიფიკაციისათვის ეროვნული პროფესიული სააგენტო ქმნის პროფესიულ სტანდარტს. სახელმწიფო უზრუნველყოფს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებული ყველა პროფესიის შესაბამისი კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ფორმალური განათლების აკრედიტაციას და არაფორმალური გზით შეძენილი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ატესტაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში კონკრეტული კვალიფიკაციის არარსებობა არ ზღუდავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას, მაგრამ გამორიცხავს მის სახელმწიფო აღიარებას.

**მუხლი 9. რეგულირებადი პროფესიები**

1. მაღალი რისკის შემცველ პროფესიებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ადამიანის ჯანმრთელობასთან, პიროვნების განვითარებასთან და მაღალ საზოგადოებრივ ინტერესთან, სახელმწიფო გამოყოფს რეგულირებადი პროფესიის სახით. რეგულირებადი პროფესიით საქმიანობისათვის აუცილებელია როგორც ფორმალური განათლება, ისე შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. რეგულირებადი პროფესიების ნუსხას, რომლებსაც შეესაბამება სახელობო ან/და პროფესიული უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, აგრეთვე ამ რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის უფლების მინიჭებისათვის აუცილებელ პირობებსა და წესს ეროვნული პროფესიული სააგენტოს წარდგინებით და/ან მისი სავალდებულო დასკვნის გათვალისწინებით ადგენს საქართველოს მთავრობა.

## თავი 3. პროფესიული განათლების სისტემის მართვა

**მუხლი 10. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები**

1. პროფესიული განათლების სისტემის მართვის კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:
ა) საქართველოს მთავრობა;
ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
დ) აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები;
ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული პროფესიული სააგენტო;
ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი;
თ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
ი) საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
2. პროფესიული განათლების სისტემის მართვის კომპეტენტური ორგანოები პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობას ახორციელებენ სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის პრინციპზე დაყრდნობით.

**მუხლი 11. საქართველოს მთავრობა**

1. საქართველოს მთავრობა პროფესიული განათლების სფეროში:
ა) განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას;
ბ) ადგენს რეგულირებადი პროფესიების ნუსხას, რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელ პირობებს და პირობების შესრულების წესს;
გ) განსაზღვრავს რეგულირებადი პროფესიებისათვის შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩამტარებელ ორგანოს;
დ) ადგენს პროფესიული განათლების დაფინანსების წესს;
ე) ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ეროვნულ პროფესიულ სააგენტოს, ამტკიცებს მის წესდებას.
2. საქართველოს პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისულებს ეროვნული პროფესიული სააგენტოს თავმჯდომარეს.

**მუხლი 12. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:
ა) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას;
ბ) აფუძნებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ პროფესიული სწავლების ცენტრებს, ამტკიცებს მათ წესდებებს, ახორციელებს მათზე სახელმწიფო კონტროლს, მათ რეორგანიზაცია-ლიკვიდაციას, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პროფესიული სწავლების ცენტრების დირექტორებს;.
გ) აფუძნებს კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირ პროფესიული სწავლების ცენტრებს;
დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის დებულებას, რომელიც განსაზღვრავს აკრედიტაციის კრიტერიუმებსა და აკრედიტაციის ჩატარების წესს;
ე) შეიმუშავებს პროფესიული განათლების სისტემის ინდიკატორების ამსახველ ძირითად დოკუმენტს;
ვ) ადგენს უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების წესსა და პირობებს;
ზ) ეროვნული პროფესიული სააგენტოს წარდგინებით ადგენს არაფორმალური განათლების ატესტაციის წესსა და პირობებს;
თ) თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხარისხის შემოწმებისა და უზრუნველყოფის სფეროში;
ი) შეიმუშავებს პროგრამებს პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით;
კ) ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირების ლიცენზირებას;
ლ) ნიშნავს თავის წარმომადგენელს ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიულ საბჭოში;
მ) ამტკიცებს აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სახელობო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ნიმუშს;
ნ) ამტკიცებს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარდგინებით;
ო) ამტკიცებს სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ან სხვა პირის წარდგინებით სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად;
პ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს სახელობო განათლების მასწავლებლის და ინსტრუქტორის პროფესიულ სტანდარტებს, მასწავლებლის ეთიკის კოდექსის შემუშავების წესს, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევების შემთხვევაში მასწავლებლის მიმართ განსახორციელებელი დისციპლინური წარმოების წესს;
ჟ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს სახელობო განათლების მასწავლებლობის და ინსტრუქტორის სერტიფიცირების წესს;
რ) ამტკიცებს სახელობო განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის კრიტერიუმებს;
ს) ადგენს პროფესიული განათლების კრედიტების გაანგარიშების წესს;
ტ) ადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას;
უ) ადგენს სახელობო განათლების მასწავლებელს/ინსტრუქტორს და დირექტორის შორის ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს;
ფ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 13. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:
ა) ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული პროფესიული სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს;
ბ) ნიშნავს თავის წარმომადგენელს ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიულ საბჭოში;
გ) წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ეროვნული პროფესიული სააგენტოს თავმჯდომარის კანდიდატურას.

**მუხლი 14. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები**

აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროები ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე პროფესიული განათლების სფეროში ქმნიან პროფესიული სწავლების ცენტრებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 15. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები პროფესიული განათლების სფეროში:
ა) ხელს უწყობენ პროფესიული სწავლების ცენტრების მოქმედებას, უფლებამოსილნი არიან განახორციელონ პროფესიული სწავლების ცენტრების დაფინანსება;
ბ) მონაწილეობენ პროფესიული სწავლების ცენტრების მართვაში წესდებით განსაზღვრული წესით;
გ) ქმნიან კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირ პროფესიული სწავლების ცენტრებს;
დ) ახორციელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 16. ეროვნული პროფესიული სააგენტო**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული პროფესიული სააგენტო იქმნება საქართველოს მთავრობის მიერ.
2. ეროვნული პროფესიული სააგენტო წარმოადგენს ორგანოს, რომლის მართვა ხორციელდება სააგენტოს თავმჯდომარისა და პროფესიული საბჭოს მიერ.
3. ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიულ საბჭოში წარმოდგენილნი არიან:
ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 1 წარმომადგენელი;
ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 1 წარმომადგენელი;
გ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 1 წარმომადგენელი;
დ) პროფესიული კავშირების 1 წარმომადგენელი;
ე) დამსაქმებელთა კავშირების 1 წარმომადგენელი;

გაგრძელება A7 გვერდზე

# საქართველოს კანონი
## პროექტი
# პროფესიული განათლების შესახებ

A6 გვერდიდან

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირთა (მათი გაერთიანებების/კავშირების) 1 წარმომადგენელი.

4. ეროვნული პროფესიული სააგენტო თავის კომპეტენციებს ახორციელებს პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კონკრეტულ სფეროში მათი არსებობის შემთხვევაში.

5. ეროვნული პროფესიული სააგენტო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და საატესტაციო ორგანოს დადგენის წესს, რაც მტკიცდება პროფესიული საბჭოს დადგენილებით "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

ბ) ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებული ყველა პროფესიისა და კვალიფიკაციისათვის შეიმუშავებს პროფესიულ სტანდარტს, რომელიც მტკიცდება პროფესიული საბჭოს დადგენილებით, "ნორმატიული აქტების" შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

გ) ახორციელებს არაფორმალური და ფორმალური განათლების საატესტაციო ორგანოთა აღიარებას, ადგენს საატესტაციო ორგანოთა აღიარების წესს, ადგენს არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული ცოდნის აღიარების წესს;

დ) შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოს მთავრობისათვის პროფესიული განათლების სფეროში პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით;

ე) აწარმოებს პროფესიათა სახელმწიფო ბანკს;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქმნის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს;

ზ) იკვლევს შრომის ბაზარს;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. ეროვნულ პროფესიულ სააგენტოზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

**მუხლი 17. პროფესიული ასოციაციები**

1. პროფესიული ასოციაციები ხელს უწყობენ კონკრეტული პროფესიების განვითარებას.

2. პროფესიული ასოციაციები:

ა) შეიმუშავებენ წინადადებებს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში კვალიფიკაციის ან/და პროფესიის დამატების, ამოღების და ცვლილების, აგრეთვე პროფესიული სტანდარტის შესახებ და წარუდგენენ ეროვნულ პროფესიულ სააგენტოს;

ბ) შეიმუშავებენ წინადადებებს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის შესახებ და წარუდგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

გ) შეიმუშავებენ სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას და წარუდგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) ხელს უწყობენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში; ხელს უწყობენ შრომის ბაზრის მოთხოვნების და საგანმანათლებლო პროგრამების დაკავშირებას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ატარებენ შესაბამის პროფესიაში სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდას;

ვ) უფლებამოსილნი არიან შექმნან სარეკომენდაციო პროფესიული სტანდარტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და განახორციელონ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია საკუთარი სტანდარტებისა და აკრედიტაციის პირობების შესაბამისად;

ზ) ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 18. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახორციელებს სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორისათვის განსაზღვრული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსის პროგრამულ აკრედიტაციას.

**მუხლი 19. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი შეიმუშავებს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტს და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად შეიმუშავებს სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო სხვა პირის მიერ სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავების შემთხვევაში - ადგენს პროექტის შესაბამისობას სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტთან და გასცემს შესაბამის დასკვნას.

**მუხლი 20. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი შეიმუშავებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს:

ა) სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის პროფესიულ სტანდარტს;

ბ) სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ეთიკის კოდექსს;

გ) სახელობო განათლების ინსტრუქტორთა/მასწავლებელთა სერტიფიცირების წესს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს სახელობო განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა სერტიფიცირებას, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევების შემთხვევაში მასწავლებლის ან/და ინსტრუქტორის მიმართ დისციპლინურ წარმოებას.

**თავი 4. პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინსტრუქტორი და პროფესიული სტუდენტი**

**მუხლი 21 მასწავლებელი და ინსტრუქტორი**

1. პროფესიული სწავლების ცენტრის მასწავლებელი შეიძლება იყოს შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების მოცულობით და დადგენილი წესით სერტიფიცირებულია, როგორც სახელობო განათლების მასწავლებლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ.

2. სახელობო მასწავლებლის საგანმანათლებლო კურსი ექვემდებარება პროგრამულ აკრედიტაციას. სახელობო მასწავლებლის საგანმანათლებლო კურსის აკრედიტაციის პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით.

3. ინსტრუქტორი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ახორციელებს სწავლებას პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. ინსტრუქტორს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების მოცულობით და დადგენილი წესით სერტიფიცირებულია, როგორც სახელობო განათლების ინსქტრუქტორი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის გავლა სავალდებულო არ არის იმ პირებისათვის, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული აქვთ ზოგადი განათლების მასწავლებლის უფლება.

5. პროფესიული სწავლების ცენტრის მასწავლებლის ანაზღაურება სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურის მინიმალურ ანაზღაურებაზე ნაკლები.

6. მასწავლებელს და ინსტრუქტორს უფლება აქვთ მოსთხოვონ დაწესებულებას მუშაობისათვის აუცილებელი, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების შექმნა.

7. სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის სერტიფიცირება მოიცავს პედაგოგიური საქმიანობის უფლების განახლებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესისა და პერიოდულობის შესაბამისად.

**მუხლი 22. პროფესიული სტუდენტი**

1. პროფესიული სტუდენტის უფლებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შრომითი სასწავლო საქმიანობისას განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსით.

2. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოება სასწავლო პრაქტიკის დროს.

## თავი 5. პროფესიული განათლების რეგულირება

**მუხლი 23. პროფესიული სტანდარტი**

1. პროფესიული სტანდარტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს კონკრეტული პროფესიით საქმიანობისთვის რა უნარ-ჩვევებს, ცოდნასა და კომპეტენციას უნდა ფლობდეს პირი კონკრეტული პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის.

2. პროფესიულ სტანდარტს შეიმუშავებს ეროვნული პროფესიული სააგენტო და ამტკიცებს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. პროფესიულ სტანდარტი წარმოადგენს სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველს.

**მუხლი 24. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი**

1. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადგენს სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელ მოთხოვნებს და მისი შექმნის წესს. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტში მოყვანილი პირობებისა და წესის შესრულება სავალდებულოა სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისათვის.

2. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტს შეიმუშავებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

**მუხლი 25. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა**

1. პროფესიული სტანდარტის შესრულების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამტკიცებს სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების აკრედიტაციისათვის. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილ უნდა იქნეს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად.

2. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას ყოველი პროფესიული სტანდარტისათვის შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

3. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ინიციატორი, მე-2 პუნქტით გათლისწინებულის გარდა, შეიძლება აგრეთვე იყოს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი. სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს, რომელიც ადგენს პროექტის შესაბამისობას სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტთან. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი შედგენილია სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად, კერძო პირი პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

**მუხლი 26. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაცია**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, ექვემდებარება აკრედიტაციას.

2. აკრედიტაცია ადგენს დაწესებულების მიერ განხორციელებული პროგრამების, პროგრამის ფარგლებში დაწესებულებაში ან დაწესებულების გარეთ განხორციელებული სასწავლო პრაქტიკის და მთლიანად დაწესებულებაში არსებული რესურსების შესაბამისობას სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამასთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ აკრედიტაციის ნორმატივებთან.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ჩატარების წესი და პირობები წესრიგდება აკრედიტაციის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

## თავი 6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

**მუხლი 27. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი.

2. კერძო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე "პროფესიული სწავლების ცენტრის" ან სხვა სახელწოდებით.

3. იურიდიული პირი სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭიროებს ლიცენზირებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მის მიერ მიწოდებული განათლების სახელმწიფო აღიარებისა და დაფინანსებისათვის საჭიროებს აკრედიტაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება თავის საქმიანობას ახორციელებს ავტონომიის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი 7. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპები. პროფესიული სწავლების ცენტრის მართვა

**მუხლი 28. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს:

ა) გადაწყვეტილებების საჯაროობის, გამჭვირვალობისა და დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპების განხორციელებას;

ბ) პროფესიულ სტუდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვა;

გ) დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

დ) პროფესიულ სტუდენტთა პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

ე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას დაწესებულების ავტონომიურობის პრინციპზე დაყრდნობით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

**მუხლი 29. პროფესიული სწავლების ცენტრის მართვის ორგანოები**

პროფესიული სწავლების ცენტრის მართვას ახორციელებენ პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო წესდებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

**მუხლი 30. პროფესიული სწავლების ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო**

1. პროფესიული სწავლების ცენტრის უმაღლეს მართვის ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დამსაქმებლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე პროფესიული სტუდენტების მშობელთა და მასწავლებელთა წარმომადგენლები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაკომპლექტების წესი განისაზღვრება პროფესიული სტუდენტების ცენტრის წესდებით.

2. სამეთვალყურეო საბჭო:

ა) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტს, აგრეთვე ამტკიცებს დირექტორის მიერ მომზადებულ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას;

ბ) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სწავლების ცენტრის საშტატო განრიგს და შინაგანაწესს. პროფესიული სწავლების ცენტრის შინაგანაწესი სხვა საკითხებთან ერთად უნდა განსაზღვრავდეს დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა მიღების წესებს;

გ) აკონტროლებს დირექტორის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;

დ) ითანხმებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ პროფესიული სწავლების ცენტრის წესდების პროექტს;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 31. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი**

1. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი:

ა) ახორციელებს პროფესიული სწავლების ცენტრის მართვას;

ბ) წარმოადგენს პროფესიული სწავლების ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობებში;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული სწავლების ცენტრის შინაგანაწესს და ბიუჯეტს;

დ) შეიმუშავებს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული სწავლების ცენტრის საშტატო განრიგს;

ე) უზრუნველყოფს მასწავლებლებთან, ინსტრუქტორებთან და პროფესიული სწავლების ცენტრის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას;

ვ) უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს და ინსტრუქტორს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან პედაგოგიური საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის შემთხვევაში;

ზ) წესდებით განსაზღვრულ ვადაში აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს პროფესიული სწავლების ცენტრის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;

თ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, მათ შორის პროფესიული სწავლების ცენტრის ქონების შესახებ, გარდა იმ გარიგებებისა, რომელთათვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა;

ი) წარმართავს და ზედამხედველობს პროფესიული სწავლების ცენტრში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს და სასწავლო პრაქტიკას;

კ) შეიმუშავებს პროფესიული სწავლების ცენტრის წესდების პროექტს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს შესათანხმებლად, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებულ პროექტს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად;

ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

## თავი 8. პროფესიული განათლების დაფინანსება და ქონება

**მუხლი 32. პროფესიული განათლების დაფინანსებაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება**

1. პროფესიული განათლების დაფინანსებას ახორციელებენ სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოები უფლებამოსილნი არიან დააფინანსონ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოები უფლებამოსილნი არიან დააფინანსონ პროფესიული სწავლების ცენტრები მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების წესით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. პროფესიულ სწავლების ცენტრს აქვს უფლება მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის მიიღოს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით, თუ ეს საქმიანობა არ არის სახიფათო ჯანმრთელობისათვის და არ ახდენს მავნე ზეგავლენას პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობაზე. მიღებული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ პროფესიული სწავლების ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

4. პროფესიული სწავლების ცენტრის შემოსავალი და ხარჯები აისახება მის ბიუჯეტში, მას აქვს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში და ბეჭედი.

**მუხლი 33. პროფესიული სწავლების ცენტრის ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა**

1. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით.

2. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია გადაუდებელი აუცილებლობისას, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე გადაანაცვლოს ბიუჯეტის ერთი მუხლის სახსრების არა უმეტეს 10%-ისა მეორე მუხლში. ამ ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს მასწავლებელთა ხელფასების შემცირება. პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში დირექტორი უფლებამოსილია ყოველთვიურად გასცეს თანხები არა უმეტეს გასული წლის ბიუჯეტის 1/12-ის ოდენობით.

3. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა აუცილებელია ისეთი გარიგების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტის 5%-ს.

4. პროფესიული სწავლების ცენტრი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტებს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 34. პროფესიული სწავლების ცენტრის ქონება**

1. პროფესიული სწავლების ცენტრის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობანი და მისი შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და ცენტრს გადაეცემა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პროფესიული სწავლების ცენტრი მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებას განკარგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

## თავი 9. პროფესიული სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლი, რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია

**მუხლი 35. პროფესიული სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლი**

1. პროფესიული სწავლების ცენტრზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს პროფესიული სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 36. პროფესიული სწავლების ცენტრის რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია**

პროფესიული სწავლების ცენტრის რეორგანიზაცია-ლიკვიდაციას ახორციელებს მისი დამფუძნებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი 10. გარდამავალი დებულებანი

**მუხლი 37. დაწყებითი პროფესიული და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები**

1. "განათლების შესახებ", "დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ" და "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად გაცემული დაწყებითი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი გათანაბრებულია სახელობო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან (სპეციალისტის სერტიფიკატი), ხოლო საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი - პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან (სპეციალისტის დიპლომი), გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ კანონის ძალაში შესვლამდე დაფუძნებული საჯარო და ლიცენზირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩაითვალონ ამ კანონის შესაბამისად დაფუძნებულ სახელობო სწავლების ცენტრებად და სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მქონედ. პირები, რომლებიც ამ კანონის ძალაში შესვლამდე ჩაირიცხნენ დაწყებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, შესაბამისი პროგრამის ათვისების შედეგად მიიღებენ სახელობო განათლების სერტიფიკატს.

3. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან არაუგვიანეს 2008-2009 სასწავლო წლის დასაწყისისა მიმართონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელობო საგანმანათლებლო ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად.

4. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე უფლებამოსილია დაასრულოს საშუალო პროფესიული პროგრამებით სწავლება იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ჩაირიცხნენ ამ კანონის ძალაში შესვლამდე. პირებზე, რომლებიც ამ კანონის ძალაში შესვლამდე ჩაირიცხნენ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს დაასრულებენ 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე, გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გათანაბრებულია პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. 2006-2007 სასწავლო წელს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ მოსწავლეებზე, რომლებიც 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულებენ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამასტურებელი დიპლომი. საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი, რომელიც ამ პირებზე გაიცემა ისეთი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპეციალობების შესაბამისად ხორციელდება, გათანაბრებულია:

ა) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ბაზაზე - სახელობო განათლების სერტიფიკატთან;

ბ) სრული ზოგადი განათლების ბაზაზე - პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან.

6. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ეროვნული პროფესიული სააგენტოს შექმნა ამ კანონის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

7. ეროვნულმა პროფესიულმა სააგენტომ უზრუნველყოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცება შექმნიდან 6 თვის ვადაში.

8. 2013 წლის დასასრულამდე სახელობო განათლების მასწავლებელი და ინსტრუქტორი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არ აქვს გავლილი სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი და არ არის სერტიფიცირებული კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ვადამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა სერტიფიცირების პროცესის განხორციელება.

9. ამ კანონით გათვალისწინებულის გარდა, სახელობო განათლების მასწავლებელის სერტიფიცირებას ექვემდებარება საშუალო პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელმაც 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე აითვისა ზოგადი განათლების მესამე საფეხურისა და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა საერთო ხანგრძლივობა არის არანაკლებ 4 წლისა.

10. ეროვნული პროფესიული სააგენტოს მიერ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და შესაბამისი პროფესიული სტანდარტების დამტკიცებამდე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დაამტკიცოს დროებითი პროფესიული სტანდარტები და შესაბამისი სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები.

11. ამ კანონის მე-12 მუხლის "გ" ქვეპუნქტი და მე-15 მუხლის "გ" ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისიდან.

12. 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისამდე საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს ვაუჩერის ოდენობა/ოდენობები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი პროფესიული სწავლების ცენტრების მიერ დაწესებული სწავლის საფასურები.

## თავი 11. დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 37. კანონის ძალაში შესვლა და ძალადაკარგული ნორმატიული აქტები**

1. ეს კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს "დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1998 წელი - ?N7) და "განათლების შესახებ" (საქართველოს პარლამენტის უწყებანი N33, 1997 წელი) საქართველოს კანონები.

**საქართველოს პრეზიდენტი**
**მიხეილ სააკაშვილი**

ნინია კაკაბაძის სვეტი

# საქართველო - ჩვენი მონაპოვარი!

**პოზიცია**. რამდენიმე ხნის წინ იყო - თუ ხმამაღლა არ განაცხადებდი, რომ გმობ ქურდულ სამყაროს, უმალ ქურდული სამყაროს და კანონიერი ქურდების მხარდამჭერად ან მათ "კოლეგა ქურდად" მოგნათლავდნენ ჩვენი ხელისუფლება და მისი ღირსშესანიშნავი წარმომადგენლები. ახლა ის ჟამი დგას - თუ ხმამაღლა არ განვაცხადებთ, რომ გვიხარია რუსული ჯარის საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის პროცესში ნებისმიერი წინგადადგმული ნაბიჯი, უმალ რუსეთის ჯაშუშად ან რუსოფილად გამოგვაცხადებენ. ამიტომ, ვიდრე წერას დავიწყებ, ვიტყვი, რომ მახარებს ყველა განცხადება, დეკლარაცია, დადგენილება, რეპლიკა, სტატია და სხვა, რომელიც რეალურად დააჩქარებს რუსეთის ოკუპაციური ჯარების გასვლას საქართველოდან. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ გაცილებით უფრო გამეხარდება, როდესაც დავინახავ, რომ საქართველოს ხელისუფლება უფრო დიპლომატიურ და აშკარა ნაბიჯებს გადადგამს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ და აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში არა მხოლოდ ტერიტორიას, არამედ ადამიანებსაც დაინახავს. ასე რომ, ვგულშემატკივრობ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთის ჯარების გაყვანის პროცესს და ვაღიარებ მხოლოდ მშვიდობიან, არაძალადობრივ გზებს! გვიყვარდეს არა მხოლოდ დაკარგული მიწა-წყალი, არამედ დაკარგული ადამიანები, რომელთა სიყვარულისა და ნდობის მოპოვება ყველაზე რთული პროცესია და ამ მიმართულებით ჩვენი ხელისუფლების მხრიდან, პრაქტიკულად, ჯერ ნაბიჯი არ გადადგმულა (რამდენიმე ინდივიდუალური გამონაკლისის გარდა).

**საერთო პოლიტიკური სურათი.** ის, რომ ოპოზიციური პარტიები 24-საათიან რეჟიმში ხელისუფლების სხვადასხვა ქმედებებს აკრიტიკებენ და გმობენ, ეს ძალიან ბუნებრივია. ოპოზიციის ერთ-ერთი დანიშნულებაა იყოს ჩასაფრებული და ამხილოს აღმასრულებელი ხელისუფლება შეცდომებში. ვინც არ უნდა იყოს კრიტიკოსის როლში - ჯონდი ბაღათურია იქნება ეს თუ დათო უსუფაშვილი, როგორც ხელისუფლებამ, ისე საზოგადოებამ ეს უნდა მოისმინოს. შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ, ვინ არის კორექტული, კონსტრუქციული ან, უბრალოდ, მართალი თუ მტყუანი. მაგრამ ხელისუფლების ვალდებულება არ არის, მუდმივად ციტირება მოახდინოს მისი ოპონენტების და პრაქტიკულად მხოლოდ იმით იყოს დაკავებული, "იმან ასე თქვა, ამან ასე გააკეთა, ის ასეთია" და ა.შ. მათი ერთ-ერთი უკანასკნელი ბრიფინგი სწორედ იმას ეძღვნებოდა, რომ გვარწმუნებდნენ, დავით ბერძენიშვილი და სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები რუსეთის ჯაშუშები, თანამოაზრეები, მათი ინტერესების გამტარებლები არიან. ეს იაფფასიანი ილეთები უკვე ძალიან მოძველდა და მოსაბეზრებელი გახდა. ამაზე ყურადღების გამახვილებაც კი დამღლელია. ამიტომ პოლიტიკოსთა საერთო პოლიტიკური სურათი ძალიან ძველი, ნაცნობი და, რბილად რომ ვთქვათ, ტოქსიკურია.

**ოპოზიცია.** არის ასეთი ოპოზიციური პოლიტიკოსი და არა პარტია (სამწუხაროდ, პარტია ჯერ არ შედგა), სახე, რომელიც მოცემულ სურათში ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. მას ხან პარიზელობას უწუნებენ, ხან სნობიზმში ადანაშაულებენ, ხან არაადეკვატურობაში სდებენ ბრალს. ბუნებრივია, შეცდომებს მის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში აუცილებლად აღმოვაჩენთ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დღეისთვის ყველაზე კონსტრუქციულად, დიპლომატიურად სწორედ სალომე ზურაბიშვილი გამოიყურება. შესაძლოა, საზოგადოების აპათიურმა მდგომარეობამ გამოიწვია ამ შემთხვევაში ეს "პოლიტიკური სნობიზმი", მაგრამ გასაგები, დასაბუთებული, კორექტული და ამავე დროს მკაცრი კრიტიკა მეტად მისაღებია. მისაღებია ისიც, რომ ზურაბიშვილი კირთაძესთან, ბაღათურიასთან და გუგავასთან ერთად, ერთ ხმაში არ ყვირის. და ეს არა მხოლოდ ჩვენს მიერ ხსენებული "პოლიტიკური სნობიზმია", ეს არის ამ ზემოხსენებულთა და კიდევ მრავალი მათგანის პოლიტიკური მატიანე, რომელიც არცთუ ისე სახარბიელოდ გამოიყურება. მაგრამ საბოლოო დასკვნებს ალბათ მაშინ გავაკეთებთ, როდესაც არჩევნების შედეგებს შევიტყობთ. და გავითვალისწინებთ, გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ აშკარად კორექტულ სალომე ზურაბიშვილს ყველაზე დიდი აღიარება მაშინ ჰქონდა, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და ქაჯებს ქაჯები უწოდა. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ შედეგებს და ვნახოთ, როგორ მოსწონს საზოგადოებას კონსტრუქციული, გაწონასწორებული, სამართლიანი კრიტიკოსი და კრიტიკა.

**საზოგადოება.** ვინც საკუთარ თავს საზოგადოების წარმომადგენლად თვლის, ის არ არის საზოგადოება. საზოგადოება არის უბრალო გლეხი, რომელმაც არ შეისწავლა კანტი და ჰეგელი, არ გამოჩნდა ტელევიზორში, არ დაწერა არაფერი... მას მხოლოდ იმის უნარი აქვს, დაინახოს და ყველაზე ზუსტად შეაფასოს უსამართლობა. იმედი მაქვს, რომ ასეთი საზოგადოება ჩვენს ქვეყანაში არის. ახლა რაც შეეხება საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც თავს ელიტად მიიჩნევს. ზოგი ხმამაღლა აღიარებს ამას, ზოგი მორცხვად იფერებს და ზოგიც მისკენ მიილტვის.

რამდენიმე დღის წინ სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" გაიმართა ჟურნალის პრეზენტაცია, რომელსაც მხოლოდ ნაცნობი სახეები, ე.წ. "ფეისები", ე.წ. ნაღები საზოგადოება ესწრებოდა. ერთ-ერთი წევრი კი გურამ დონაძე იყო. რასაკვირველია, აღმაშფოთებელია, რომ დონაძე მსგავს წვეულებებზე სიარულს არ თაკილობს, მაგრამ გაცილებით უფრო საგანგაშოა (და დონაძის საქციელი პირდაპირ კავშირშია მასთან) ის, რომ საზოგადოებას მხოლოდ ჩუმად, სამზარეულოში გაუჩნდა პროტესტი. ჩვენ იქ ჯილდოები და ალაფურშეტი გველოდა, პროტესტის გამოთქმა კი ამ "ტკბილეულობის" შემდეგაც შეიძლება.

ჩვენი დანაშაულია ის, რომ ვიღებთ დამნაშავეებს, ამგვარი დამოკიდებულებით კი ვმფარველობთ მათ. ჩვენ ვშობთ და შემდეგ ვზრდით ამ დამნაშავეებს. მერე გული გვწყდება, როდესაც გვკლავენ. ამ ბოლო დროს ხშირად ისმის სიტყვა "საზოგადოება", "საზოგადოებრივი აზრი". ამ სიტყვებს მიღმა კი საზოგადოების იმ ნაწილს ვგულისხმობთ, ვინც წერს, მღერის, ფილმს იღებს, სპექტაკლს დგამს, ცეკვავს, აკრიტიკებს მდარე ხელოვნებას თუ მდარე პოლიტიკოსებს, ე.წ. ინტელიგენცია თუ მოაზროვნეები, რაც ძველი და ახალი სახეებისგან შედგება. ეს ადამიანები არაოფიციალურად ქვეყნის ყველაზე მაღალჩინოსნები არიან. სინამდვილეში ეს მოსახლეობის ყველაზე გახრწნილი, ამორალური, უზნეო ფენაა, რომელიც მუდმივად დიდაქტიკოსის ამპლუაშია. პრეზენტაციაზე შეკრებილი 1000-მდე ადამიანიდან არავინ დატოვა დაჯილდოების ცერემონიალი. მხოლოდ თითო-ოროლამ თქვა უარი გურამ დონაძესთან ერთად მუქთა ჭამაზე.

ასე რომ, დღეს ჩვენს წინაშეა ის კრიმინალური ხელისუფლება, რომელსაც ჩვენ ვიმსახურებთ. სწორედ ჩვენ ვახდენთ მათ ლეგალიზებას. ეს ჩვენი მონაპოვარია!

---

მეუღლე თინათინ ოსეფაშვილი, შვილები: გიორგი, დავითი, დალი და ლალი თევდორაშვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი ესტატეს ძე თევდორაშვილი**

პანაშვიდი: 21 ივლისს, 17 საათზე
გამოსვენება 22 ივლისს, შაბათს, 14 საათზე.
ყვარლის რაიონის სოფელ შილდის ღვთისმშობლის ეკლესიიდან

---

# მიკი სპილეინი



ამერიკაში, საკუთარ სახლში, 89 წლის ასაკში გარდაიცვალა პოპულარული დეტექტივების ავტორი მიკი სპილეინი. მან დაწერა ოცი რომანი, რომელთა საერთო ტირაჟმა 140 მილიონს ეგზემპლარს გადააჭარბა.

მიკი სპილეინი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი იყო ფრენკ მორისონი, დაიბადა 1918 წელს ბრუკლინში, ნიუ იორკში. მწერლის კარიერა კომიკური ტექსტებით დაიწყო. პირველი რომანი "სასამართლო - მე ვარ" სპილეინმა გამოაქვეყნა 1946 წელს. ამ და კიდევ თერთმეტი წიგნის გმირი გახდა დეტექტივი მაიკ ჰამერი. სპილეინის რომანებს იღებდნენ კინოში და ტელევიზიებში.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სპილეინს წარმატება მოუტანა ეროტიკულმა სცენებმა, უხეშმა ენამ და მკაცრამა პერსონაჟებმა. სხვა პოპულარული დეტექტივების ავტორი რეიმონდ ჩენდლერი მის წიგნებს პირდაპირ უწოდებდა "ძალადობას და დაუფარავ პორნოგრაფიას." თავად სპილეინს ნაკლებად აღელვებდა კრიტიკა: ის არასდროს მალავდა, რომ ფულისთვის წერდა. ამტკიცებდა, რომ "ბევრ მწერალს არ შეუძლია შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ ხიზილალასთან შედარებით ხალხი მარილიან თხილს ანიჭებს უპირატესობას."

---

# ცნობილი "კოლიადის თეატრი"

ეკატერინბურგში მიმდინარეობს დავა იმ ადგილის გამო, რომელიც "კოლიადის თეატრს" ეკავა. რამდენიმე დღის წინ უცნობი პირები შეიჭრნენ სარდაფში ლენინის ქუჩაზე, რომელიც ნიკოლ კოლიადის ცნობილ თეატრს ეკავა. მათ დაამტვრიეს აპარატურა, დაჭრეს კოსტიუმები, ფოიე და ფანჯრები თეთრი საღებავით დასვარეს, დაამტვრიეს სცენის მოწყობილობები.

როგორც ჟურნალისტებს თავად ნიკოლ კოლიადიმ განუცხადა, თეატრი ოფიციალურად დაიხურება. "როცა სამსახურში მოვედი, კარი დაკეტილი იყო, აფიშები - დახეული. ჩვენ, მსახიობები, ფანჯრიდან შემოვედით. იმან, რაც აქ ვნახეთ, შოკში ჩაგვაგდო. ახლა გვეუბნებიან, თითქოს ჩვენ მოვაწყვეთ ეს ყველაფერი. ვფიქრობ, ეს უსინდისო ბრალდებაა. ჩვენ ვერც კი გავაცნობიერეთ - რა დავკარგეთ და რა შეიძლება გადავარჩინოთ. თეატრმა დაკარგა ფუნქციონირების საშუალება. მე შენობაში არ მიშვებენ. მხოლოდ აპარატურის შეკეთების საშუალება მომცეს. ამასთან, მეუბნებიან - სადაც გინდა, იქ წადიო. სეზონს ვერ ვიწყებთ, ყველაფერი გვეკრძალება", - აღნიშნა კოლიადიმ.

ადგილის გამო დავა გასულ წელს დაიწყო. პირველი ნაბიჯები შენობიდან თეატრის გამოსაყვანად პოეზიის ცენტრის წარმომადგენლებმა გადადგეს, რომლებიც ადგილის მფლობელნი არიან. კერძოდ, ცენტრის ხელმძღვანელმა ლუბა მაკაროვამ, რომლისგანაც თეატრს არაერთი წინააღმდეგობა შეხვდა, თუმცა თეატრი მუშაობას მაინც განაგრძობდა. როგორც ნიკოლ კოლიადიმ აღნიშნა, ორი სეზონის განმავლობაში აჩვენეს 16 პრემიერა ბავშვებისა და მოზრდილებისთვის. სულ ახლახან კი თეატრს წარმატებული გასტროლები ჰქონდა მოსკოვში, სადაც მსახიობები საკუთარი ხარჯით წავიდნენ.




როგორც ახალგაზრდული პოეზიის ცენტრის დირექტორი ლუბა მაკაროვა აღნიშნავს, თეატრი თავიდანვე უშლიდათ ხელს. "მათ გააუქმეს ახალგაზრდული პოეზიის ცენტრი და პოეტური თეატრი "ჩვენ". მიუხედავად ამისა, მივეცით ორი სეზონის გამართვის საშუალება, მაგრამ სულ ვეუბნებოდით, მოძებნეთ ადგილი, რომ გადახვიდეთ. წადით, მოგვეცით ადამიანებს ნორმალურად ცხოვრებისა და მუშაობის საშუალება. დამთავრდა მეორე სეზონი და ყველაფერი ისევ ისეა. ვფიქრობ, ახლა გაირკვევა მდგომარეობა. ჩვენ ვიწყებთ რემონტს და ფუნქციონირებას."

თუმცა ამავე დროს კოლიადი ამბობს, რომ მათ თეატრის კი არა, რესტორნის მოწყობა სურთ. თავადვე აღნიშნეს ერთ-ერთ ინტერვიუში: "ჩვენ გვექნება ღამის კლუბი, მაგრამ ჩუმი, მხოლოდ გიტარის თანხლებით. თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რას ნიშნავს ეს სიჩუმე და მხოლოდ გიტარა", - აღნიშნავს კოლიადი.

ამავე დროს, როგორც ადვოკატმა აღნიშნა, ცენტრს არავითარი რესტორანი არ ექნება. იქ განთავსდება თეატრი, როგორც ეს სასამართლომ დაამტკიცა.

კოლიადიმ პირდაპირ ქუჩაში გამართა შეხვედრა ჟურნალისტებთან. უამრავი ადამიანი მივიდა - ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის მსახიობები, რომლებიც ტიროდნენ. კოლიადის თქმით, ის უკვე დაიღალა მიმოწერით ჩინოვნიკებთან. დროა გადაწყდეს მისი თეატრის ბედი. მართალია, არავინ უკრძალავს, მაგრამ უკვე ერთი წელია ჰპირდებიან დახმარებას, ან სთავაზობენ ადგილს ქალაქის გარეუბანში.

სვერდლოვსკის ოლქის კულტურის მინისტრი ნატალია ვეტროვა აღნიშნავს, რომ თეატრის საკითხი უკვე განიხილება: "არავინ აპირებს თეატრის ქუჩაში დატოვებას, მაგრამ ყველაფერი კანონიერად უნდა გადაწყდეს."

---

# Arctic Monkeys



ბრიტანული როკ-ჯგუფი Arctic Monkeys, რომლის დებიუტიც 2005 წელს შედგა, აღიარებულია მუსიკალური პრემიის Mercury Music Prize-ის ფავორიტად. ნომინანტთა მცირერიცხოვან სიაში ლონდონელი ბუკმეიკერები იღებენ ფსონებს Arctic Monkeys-ზე 7\2-თან. Mercury Prize-ის ლაურეატი 2006 წლის 5 სექტემბერს დასახელდება.

Arctic Monkeys-ის ალბომი Whatever People Say I Am, That's What I'm Not, რომელიც 2006 წლის 23 იანვარს გამოვიდა მაღაზიებში, გახდა ყველაზე სწრაფად გაყიდვადი სადებიუტო ფირფიტა ბრიტანული ჩანაწერების ისტორიაში. Mercury-ის ჟიურიმ დისკი დაასახელა "მნიშვნელოვან" ფაქტად, რომელიც შეიცავს "არაჩვეულებრივად შესრულებულ სიმღერებს". Arctic Monkeys-თან ერთად ნომინაციებში მოხვდნენ აგრეთვე ჯგუფი Muze და Editors, აგრეთვე ჯგუფ "რედიოჰედის" ლიდერი ტომ იორკი, რომელმაც 2006 წლის 10 ივლისს გამოსცა თავისი სოლო ალბომი The Eraser.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ნომინანტების სიაში ვერ მოხვდა ბევრი საინტერესო მუსიკოსი, რომელთა ალბომები საზოგადოებამ და კრიტიკოსებმა თბილად მიიღეს. მაგალითად, ელექტრონული დუეტი Goldfrapp, მომღერალი - დებიუტანტი ლილი ალენი, ცნობილი კეიტ ბუში და მორისი.

Mercury Music Prize - ეს ის პრემიაა, რომელიც ყოველწლიურად აჯილდოებს დიდ ბრიტანეთში ან ირლანდიაში ჩაწერილი საუკეთესო ალბომის ავტორებს. ამ პრემიის ჟიური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ალტერნატიული სცენის წარმომადგენლებს. სხვადასხვა წლებში ამ პრემიის ლაურეატები ხდებოდნენ ჯგუფები Primal Scream, Pulp, Franz Ferdinand, პი ჯეი ჰარვი. 2005 წელს კი ამ პრიზის ლაურეატი გახდა ჯგუფი Antony and the Johnsons.

---

## განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს მცხეთის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

- სასამართლოს მანდატური - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 250 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა (დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად), ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლოს მანდატურად არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 50 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

მანდატურის თანამდებობაზე:

- "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" და "საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონების, "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა.

კონკურსს ატარებს მცხეთის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა (დიპლომი);
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. ცნობა ნასამართლობის შესახებ;
5. ორი ფოტოსურათი 3x4;
6. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საბუთები მიიღება საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი ჩატარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა გასაუბრების ფორმით.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიების სამდივნოებს შემდეგ მისამართებზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17, მცხეთის რაიონული სასამართლო.

საჯარო სამსახურის ბიურო

---

TV5MONDE

## 20 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV-5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV-5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** მელოდიები მეშახტეთა ქალაქში. უკრაინა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ბიგუდი. სერიალი.**12.15** ფანტასტიკის საზღვართან. დოკ.ფილმი. **14.05** ცისფერი ოკეანე. პაპა ტაკაკე. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 20. სერიალი. **16.25** ღამით საკეთებელი საქმე. მხ ფილმი. რეჟისორი ანრი ვერნეი. 1960 . **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ბიჭი და გოგო. ტელეთამაში. **19.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 20.სერიალი. **20.30** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **23.00** ბედნიერი შემთხვევა. მხ.ფილმი. რეჟისორი ლორენცო გაბრიელე.2002. **04.40** ფრანგული ოპერა ნიუიორკში. დოკ.ფილმი.

---

## განცხადება
## 2006 წლის 8 ივლისის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2006 წლის 8 ივლისის გაზეთ 24 საათში, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში სატენდერო კომისიის მიერ შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილებები

1. განცხადების პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის .N10, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ტენდერს სართიჭალა-გარდაბნის რეაბილიტაციის სამუშაოთა შესყიდვაზე ორ ლოტად:

I ლოტი - სართიჭალა-გარდაბნის DD=500 მმ გაზსადენის 33 კმ-იანი მონაკვეთის კაპიტალური შეკეთება

II ლოტი - სართიჭალა-გარდაბნის DD=500 მმ გაზსადენზე გაზმზომი კვანძის მოწყობისთვის საჭირო მოწყობილობების მოწოდება და მისი მონტაჟი.

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. განცხადების მესამე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

სამუშაო უნდა განხორციელდეს არსებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. სამუშაო უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ობიექტზე. I ლოტზე სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 15 ნოემბერი; II ლოტზე მოწოდებისა და მონტაჟის სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 25 დეკემბერი.

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია**

---

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:**

**ლოტი N1** ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამისQთანადაფინანსებით საცხოვრებელი სახლების (ფარნავაზ მეფის ქ. N105, ლეონიძის ქ. N4, ნიჟარაძის ქ. N21, თამარის დასახლება N4, ჯ. ქათამაძის ქ. N40, მელიქიშვილის ქ. N22) სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.

**ლოტი N2** ქ. ბათუმში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამისQთანადაფინანსებით საცხოვრებელი სახლების (დ. თვადადებულის ქ. N48, ვაჟა ფშაველას ქ. N28, აკ. კომახიძის ქ. N140, ქუთაისის ქ. N3,5, მაიაკოვსკის ქ. N55/23) სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 15 ნოემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 9 აგვისტოდან 2006 წლის 10 აგვისტომდე 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან),

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 9 აგვისტოს 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6**. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია ორი გამარჯვებულის გამოვლენა.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## აბრამოვიჩი საგამომცემლო სახლს ყიდულობს

"ჩელსის" მფლობელის, რომან აბრამოვიჩის რუსულ მედიაბაზარზე დამკვიდრება შეიძლება ითქვას უკვე შედგა.

კომპანია Millhouse-მა, რომელიც რომან აბრამოვიჩის ინტერესებს წარმოადგენს, საგამომცემლო სახლ "კურიერის" საკონტროლო პაკეტი შეიძინა. კომპანიამ გამომცემლობის 60% გასულ კვირას შეისყიდა. გარიგების თანხა ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საქმე რამდენიმე ათას დოლართან გვაქვს.

გამომცემლობა "კურიერი" ალკოჰოლური თემატიკის ჟურნალებს - Whiskey, Magnum-სა და "Под градусом"- უშვებს. გამორიცხული არ არის, რომ საგამომცემლო სახლის ყიდვა კომპანია Millhouse-ს დირექტორის ევგენი შვიდლერის ინტერესებში შედის. კომპანიის დირექტორი ღვინის წარმოებით არის დაკავებული.

ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ რუსეთში სპეციალიზირებული სეგმენტის გამოცემამ ჯერ სტარტი ვერ აიღო, თუმცა მას ზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ასე, რომ "კურიერის" გაყიდვა არცთუ ისე ცნობილი გამომცემლობისთვის შესაძლოა სერიოზული ბიზნეს-პროექტიც კი აღმოჩნდეს. ჯერჯერობით აბრამოვიჩის მიერ "კომერსანტის" შესყიდვის გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა არ ჩამცხრალა, თუმცა "ჩელსის" მფლობელის რუსულ მედიაბაზარზე გამოსვლა ფაქტობრივად, შემდგარია.

ცნობილია, რომ გარიგების ერთ-ერთი მთავარი პირობა დიდი საინვესტიციო პროექტების განხორციელებაა. სავარაუდოდ, ეს პროექტები 3-5 მილიონი დოლარი დაჯდება.

"კურიერი" მედიაბაზარზე სერიოზულ მოთამაშედ ჯერ არ ითვლება. გამომცემლობის ყველაზე დიდ პროექტად ჟურნალი "КОМРАНИА" ითვლებოდა, რომელიც ბოლო პერიოდში როდიონოვმა შეიძინა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ნათელია, რომ გამომცემლობა რუსეთის ბაზარზე დიდი წარმატებებით ჯერ ვერ სარგებლობს, თუმცა ამაზე მას პრეტენზია ჯერ არც აქვს.

აბრამოვიჩის მიერ აღნიშნული საგამომცემლო სახლის შესყიდვა რომ წარმატების მომტანია, ეს უდავოდ ნათელა. ბაზრის მონაწილეები აცხადებენ, რომ სპეციალიზირებული გამოცემა, ბაზრის ამ სეგმენტზე, სადაც ჯერ კონკურენცია არცთუ ისე მაღალია, წარმატებას მალე მოიპოვებს. უნდა აღინიშნოს ის, რომ გამომცემლობის შესყიდვა უფრო მეტად Millhouse-ს დირექტორის წისქვილზე ასხამს წყალს. თუმცა ეს გარიგება არც აბრამოვიჩისთვის არის ურიგო. ის მალე რუსულ მედიაბაზარზე კიდევ უფრო გაიმყარებს პოზიციებს.

2002 წელს შვიდლერმა საფრანგეთში, დორდონის პროვინციაში სავაჭრო სახლი Chateau Thenac შეიძინა, რომელიც წელიწადში 125 ათას ბოთლ ღვინოს ყიდდა. Chateau Thenac-ის მიერ წარმოებული ღვინის ფასი 20 ევროდან იწყება. შვიდლერმა საკუთარი ბრენდის პრეზენტაცია მოსკოვში 2005 წელს მოაწყო.

უნდა ითქვას, რომ რომან აბრამოვიჩი ღვინის დიდი მოყვარულია და თავადაც აპირებს ღვინის ბიზნესის დაწყებას. ცნობილია, რომ მან ღვინის მწარმოებელ Brunello di Montalcino-ს 500 მილიონიც კი შესთავაზა, თუმცა ბრენდის მფლობელმა მას გარიგებაზე უარი უთხრა. აბრამოვიჩი ღვინის სხვა მწარმოებლებთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ასე რომ, საგამომცემლო სახლი უახლოეს მომავალში აბრამოვიჩისა და შვიდლერის ბიზნესის სამსახურში ჩადგება.

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3269 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9853 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4811 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7671 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8247 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1331 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2970 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3077 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2152 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4162 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3398 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1184 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1513 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2200 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1931 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2327 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3960 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5577 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1725 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4615 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3337 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2795 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5501 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5937 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0654 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1112 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4237 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5321 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4419 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5205 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,7966 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1107 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1499 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4430 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2394 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4165 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0779 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2208 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2273 |




# დიდი გაერთიანების დიდი პასუხისმგებლობა

დიანა ჩაჩუა

*"საქართველო აღარ არის ქვეყანა, რომელსაც ბუნებრივი აირის ღირებულების გადახდისთვის ხვეწნა სჭირდება, - ამბობს რამდენიმე თვის წინ "საქნავთობის", "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" და "ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" გაერთიანების შედეგად შექმნილი "ნავთობის და გაზის კორპორაციის" ხელმძღვანელი დავით ინგოროყვა, - უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ვალები სრულად გავისტუმრეთ. ამის ხარჯზე შემოდინებული ფინანსური ნაკადების მიმართვა უკვე ისეთ სტრატეგიულ საკითხებზე შეიძლება, როგორიცაა სისტემის გაძლიერება, საცავის, ტერმინალების, ინფრასტრუქტურის აშენება და ა.შ." ახლადშექმნილი კორპორაცია საქართველოს ნავთობის და გაზის სფეროში საქმიანობას სისტემაში დანაკარგების სამ პროცენტზე დაბალი მაჩვენებლით დაიწყებს. ამის შესახებ "24 საათს" დავით ინგოროყვამ თავად განუცხადა, რომელმაც, სხვათა შორის, ახალი კორპორაციის შექმნის შემდეგ სექტორში მოსალოდნელ და ასევე განვლილ პროცესებზე საჯაროდ ვრცლად პირველად ისაუბრა.*

- **ახალი ორგანიზაცია ძველი სახეებით**
- **ვალების და დანაკარგების გარეშე?**
- **ეს ზამთარიც ერთად გადავაგოროთ?**



B4

# ქართულ თხილს ევრობაზრის 5 პროცენტი უჭირავს

## ეს ბიზნესი წვრილი ფერმერების ხარჯზე განვითარდა

თინა შავაძე

*საქართველოში თხილის ბიზნესს დაუჯერებელი წინსვლა აქვს. ბოლო სამი წლის განმავლობაში თხილის წარმოების განვითარების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მსოფლიო ბაზარზე თხილის ფასმა 3-ჯერ მოიმატა. თუ 2003 წელს მისი ფასი 3,9 დოლარი იყო, 20005 წლის სეზონზე რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ადგილობრივმა თხილის გადამამუშავებელმა კომპანიებმა ერთი კილოგრამის რეალიზაცია 9,3 დოლარად მოახერხეს.*

- **თხილის ბაღების უმეტესობას წვრილი ფერმერები ფლობენ. თითოეული მათგანის მიწის ნაკვეთი ჰექტარ ნახევარს არ აღემატება, სადაც ტონა ნახევარ, ან ერთ ტონა თხილს ამზადებენ. ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის შემთხვევაში კი ერთ ფერმერს იგივე ფართობზე ორჯერ მეტი თხილის დაკრეფა შეუძლია.**
- **ქართველმა მეწარმემ უნდა შეძლოს დამუშავებული, ერთი კილოგრამი თხილის უფრო ძვირად გაყიდვა, ვიდრე ამას დანარჩენი თხილის მწარმოებელი ქვეყნები აკეთებენ.**



B2

# კომპიუტერები განვითარებადი ქვეყნებისთვის

## ზრდის ტემპის მხრივ, მეორე ადგილზე

გოჩა ქიმუცაძე

*გასული წლის მონაცემების მიხედვით, პერსონალური კომპიუტერების ბაზარი, რომელშიც ნოუთბუქები და ჯიბის კომპიუტერებიც შედის, 15,3 პროცენტით გაიზარდა. ანალიტიკოსთა აზრით, წელს და შემდგომში ზრდა ოდნავ უფრო დაბალი ტემპებით გაგრძელდება. კერძოდ, მიმდინარე წელს 10,5 პროცენტს, 2007-2009 წლებში კი ყოველწლიურად დაახლოებით 8 პროცენტს შეადგენს.*

*გასულ წელს პერსონალური კომპიუტერების ბაზრის ზრდის განსაკუთრებით მკვეთრი ტემპი - დაახლოებით 26 პროცენტი - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის რეგიონში აღინიშნა. ხოლო მოცულობის მიხედვით ყველაზე დიდ ბაზრად პირველად იქცა EMEA-ს რეგიონი (ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა), რომელმაც ადრინდელი ლიდერი აშშ უკან ჩამოიტოვა.*

**კომპიუტერის მწარმოებლები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ფასდაკლების ათასგვარ აქციას და პროდუქციის გაიაფების სხვადასხვა გზას ეძებენ. მათ შორის აღსანიშნავია ჩინეთში, ინდოეთში და სხვა იაფი მუშახელის ქვეყნებში წარმოების გაფართოების ტენდენცია, რაც ამ ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის მოცულობას სულ უფრო და უფრო ზრდის.**



B3

## თურქეთმა ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენის ექსპლუატაციისათვის კომპანია Botas International Limited შექმნა

თურქულმა კომპანია Botas-მა, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის პროექტის ოპერატორი იყო, კომპანია ძBTC Layihesi Mudirliyi"-ის ლიკვიდაცია მოახდინა. კომპანია ძBTC Layihesi Mudirliyi" 2000 წელს თურქეთის ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის მართვისთვის შეიქმნა. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდი" იტყობინება.

კომპანიის ლიკვიდაციის მიზეზი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დასრულება და მისი ექსპლუატაციაში შესვლა გახდა.

მილსადენის ექპლუატაციის სამუშაოებს Botas-ის მფლობელობაში მყოფი კომპანია Botas International Limited შეასრულებს.

კომპანია BTC Co-ს ხელმძღვანელად 2006 წლის 1 ივლისს რაშიდ ჯავარშირი დაინიშნა, რომელმაც ამ პოსტზე მაიკლ ტაუნშენდი შეცვალა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ქვანახშირის მოპოვების ლიცენზიაზე ერთადერთი განაცხადი კომპანია "საქინვესტმა" შეიტანა

ტყიბულის რაიონში, ტყიბული-შაორის საბადოზე ქვანახშირის მოპოვების ლიცენზია პარასკევს გაიყიდება.

30-წლიანი ლიცენზიის საწყისი ფასი 100 ათას ლარს შეადგენს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით, განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე მხოლოდ კომპანია "საქინვესტმა" შეიტანა.

გამარჯვებული კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს 200 ათასი ტონა ქვანახშირის მოპოვება პირველ წელს, შემდეგ წლებში კი არანაკლებ 350 ათასი ტონის მოპოვება წელიწადში.

ლიცენზიის მაძიებელი უნდა ფლობდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურას.

ლიცენზიაში საბოლოო თანხის გადახდა ოქმის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ენგურჰესის სრული დატვირთვით ჩართვა ივლისის ბოლოსთვის იგეგმება

"ენგურჰესი" სრული დატვირთვით საქართველოს ერთიან ენერგოსისტემას არასრული დატვირთვით შეუერთდა. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, ამ დროისთვის ჰიდროელექტროსადგურში კვლავ მიმდინარეობს 500 მეგავატიანი გადამცემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ ჰესი სრული დატვირთვისთ ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში ამუშავდება.

ამ დროისთვის "ენგურჰესი" 100-200 მეგავატიანი დატვირთვით მუშაობს.

"ენგურჰესი" სადერივაციო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოს გამო, 28 მარტს გაჩერდა. შესაბამისად, 4 თვის განმავლობაში საქართველოს ენერგოსისტემა ქვეყნის უმთავრესი ჰიდროელექტროსადგურის გარეშე მუშაობდა.

ჰიდროელექტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაო ევროპის ბანკის კრედიტით ხორციელდება, რომლის საერთო ღირებულება 37,5 მილიონი დოლარია. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

## გადამხდელთა სასარგებლოდ ჩამოწერილმა თანხამ 17, 5 მილიონი ლარი შეადგინა

2006 წლის პირველ ნახევარში ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განსახილველად იმ მეწარმეთა 1072 საჩივარი შევიდა, რომლებიც არ ეთანხმებიან საგადასახადო სამსახურების მიერ დარიცხულ თანხებს. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ამ სადავო თანხის მთლიანი მოცულობა 352 940 794 ლარია. აქედან სრულად, ან ნაწილობრივ 180 განაცხადი დაკმაყოფილდა და გადამხდელის სასარგებლოდ ჩამოწერილმა თანხამ 17 550 417 ლარი შეადგინა.

ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში 21 საჩივარი განიხილეს, რომელშიც გადამხდელები საგადასახადო სამსახურების მიერ დარიცხულ 79 956 994 ლარს ასაჩივრებდნენ. მათგან სრულად, ან ნაწილობრივ 10 საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო მეწარმეთათვის ჩამოწერილმა თანხამ 13 682 717 ლარი შეადგინა.

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტში ამავე პერიოდში განხილულია 156 საჩივარი, რომელშიც საპრეტენზიო თანხა მთლიანობაში 119 943 000 ლარს შეადგენდა. სრულად, ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 19 საჩივარი. გადამხდელთათვის ჩამოწერილმა თანხამ კი 2 508 900 ლარი შეადგინა.

ხოლო ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებში განხილულია 895 საჩივარი, რომელშიც გადამხდელები საგადასახადო სამსახურების მიერ დარიცხულ 153 040 800 ლარს ასაჩივრებდნენ. სრულად, ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია 151 საჩივარი, ხოლო მეწარმე-სუბიექტებისათვის ჩამოწერილმა თანხამ 1 358 800 ლარი შეადგინა." **ჯი-ეიჩ-ენი"**

## თბილისი-ბათუმის მიმართულებით ახალი ჩქაროსნული მატარებელი იმოძრავებს

"საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ თბილისის ცენტრალურ სადგურში ახალი ჩქაროსნული მატარებლის პრეზენტაცია გაიმართა.

"ეს არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტებული ვაგონები, რომელიც მგზავრობას უფრო კომფორტულს გახდის", - განაცხადა ეზუგბაიამ.

მისი თქმით, სამგზავრო ვაგონები უკრაინაში, დნეპროპეტროვსკის ვაგონშემკეთებელ ქარხანაშია მოდერნიზებული. სამგზავრო შემადგენლობას სრულიად ახალი ტიპის ინტერიერი, პლაზმური ტელევიზორებით აღჭურვილი კუპეები და თანამედროვე კონდიცირების სისტემა აქვს. ახალი სამგზავრო მატარებელის კუპე შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც 4-ადგილიან საძილე, ასევე 6-ადგილიან დასაჯდომ სამგზავრო კუპეებად. მოდერნიზებული მატარებელი ბათუმის მიმართულებით პირველ მარშრუტს ხვალ, დილით შეასრულებს. შემადგენლობა ხუთვაგონიანია და თბილისის ცენტრალური სადგურიდან დღეგამოშვებით გავა.

ეზუგბაიას განცხადებით, რკინიგზამ დნეპროპეტროვსკის ქარხანას 20 ვაგონის მოდერნიზება დაუკვეთა, რომლის საერთო ღირებულება 12 მილიონ ლარს აღემატება. მისი თქმით, რკინიგზამ 10 გარემონტებული ვაგონი უკვე მიიღო, თვის ბოლოსთვის კი კიდევ 10 ვაგონი შემოვა, რომელიც სრული სერვისით იქნება უზრუნველყოფილი. ყოველ ვაგონს გააჩნია სამზარეულო, ცხელი წყალი, საშხაპეები და აბაზანა. კუპეები უზრუნველყოფილია გათბობისა და გაგრილების ულტრათანამედროვე სისტემებითა და პლაზმური ტელევიზორებით. ვაგონების ინტერიერი ევროსტანდარტების შესაბამისი მასალისგანაა დამზადებული და ფერთა დახვეწილობით გამოირჩევა. მგზავრობის ღირებულება 20 ლარი იქნება.

# ქართულ თხილს ევრობაზრის 5 პროცენტი უჭირავს

პირველი გვერდიდან

ამ ეტაპზე ქვეყანაში ოთხამდე მსხვილი გადამამუშავებელი ქარხანა მოქმედებს. მაგრამ, მათ შორის, გამოკვეთილი ლიდერი შპს "თხილის ქარხანაა", რომლის მოწინავე პოზიციასაც ბევრი რამე განსაზღვრავს. საწარმოს არსებობის მანძილზე, მის მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვების 100 პროცენტი ექსპორტზე მოდის და ვაჭრობა მხოლოდ ევრობაზარზეა გამართული. კომპანიამ გასული წლის განმავლობაში დაახლოებით 2000-2500 ტონა თხილი გადაამუშავა და გაყიდვებიდან 4,5 მილიონი ევრო მიიღო. საქართველოში შპს "თხილის ქარხანა", ერთადერთი კომპანიაა, რომელიც ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატს ISO-9001-2000 ფლობს. დონორი ორგანიზაციების ექსპერტების დახმარებით, კომპანია რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებდა სრული სისტემის დანერგვას. ასეთი ხარისხის სიტემისა და სერთიფიკატის ფლობა უპირველესად უცხოელი პარტნიორების თვალში სანდო კომპანიის იმიჯს ანიჭებს.

### სად მოიპოვება ნედეული

თხილის გადამამუშავებელი კომპანიები მთლინად ორიენტირებულია ადგილობრივ ნედლეულზე. თხილის ბაღები, ძირითადად, დასავლეთ საქართველოშია გაშენებული. თუმცა ბოლო ორი წელია კახეთშიც დაიწყეს თხილის ბაღების განაშენიანება.

ადრე ყველაზე დიდი რაოდენობით თხილი აფხაზეთში (გალსა და ოჩამჩირეში) მოდიოდა. მაგრამ ახლა სამეგრელო ლიდერია და ამ ბიზნესის განვითარება გურიაშიც დაიწყო.

ბოლო ორი წლის განმავლობაში სტატისტიკა თხილის ბიზნესის განვითარების დადებით ტენდენციაზე მეტყველებს. ზრდაა როგორც ნედლეულის რაოდენობის მატების, ასევე მიღებული შემოსავლების თვალსაზრისით.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით, თხილის ბიზნესი ძალიან სწრაფად ვითარდება. მსოფლიოში თხილი მხოლოდ ექვს ქვეყანაში, თურქეთში, იტალიაში, ესპანეთში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და აშშ-ში ხარობს. თურქეთი თხილის ბიზნესში მონოპოლისტია. მას მსოფლიო ბაზარის 75 პროცენტი უჭირავს. საქართველოში 25-30 ათასი ტონა გაუტეხავი თხილი მზადდება, ეს არის მსოფლიო ბაზრის მოთხოვნის 5 პროცენტი.

### წვრილი ფერმერები თხილის ბიზნესის განვითარებას აფერხებენ

შპს "თხილის ქარხანის" აღმასრულებელი დირექტორი შოთა ბუხაიძის განმარტებით: "საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში თხილის ახალი ბაღების განაშენიანება 40 პროცენტით გაიზარდა. ამ ეტაპზე წელიწადში თხილის მოსავალი 25-30 ათას ტონას აღწევს. მაგრამ ქვეყნაში არსებობს რესურსი იმისა, რომ თხილის მოსავლის მოცულობა გაიზარდოს არა მარტო ახალი ბაღების გნაშენიანების, არამედ ძველი ბაღების ეფექტურად მოვლის ხარჯზე. დღეს ბაღების უმეტესობას წვრილი ფერმერები ფლობენ. თითოეული მათგანის მიწის ნაკვეთი ჰექტარ ნახევარს არ აღემატება, სადაც ტონა ნახევარ, ან ერთ ტონა თხილს ამზადებენ. ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის შემთხვევაში კი ერთ ფერმერს იგივე ფართობზე ორჯერ მეტი თხილის დაკრეფა შეუძლია."

როგორც ირკვევა, ქვეყანში ეს ბიზნესი წვრილი ფერმერების ხარჯზე აყვავდა. სწორედ ამ გარემოების გამო გართულდა ქვეყნაში თხილის ბიზნესში ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა. საქმე ისაა, რომ უმრავლესობა მცირე ნაკვეთს ფლობს და შესაბამისად, მოსავლის რაოდენობა ისეთი არ არის, რაც ფერმერებს დიდ შემოსვალს მოუტანს. ამის გარდა, დანაწვერებული ფართობები, ანუ ერთ ჰექტრიანი თხილის ბაღი დონორისთვის არ არის მიმზიდველი უძრავი კაპიტალი სესხის უზრუნველსაყოფად. ბუნებრივია, ამის გამო წვრილ ფერმერებს უჭირთ ამ საქმეში გრძელვადიანი ინვესტიციის ჩადება და შესაბამისად თხილის მოპოვების ეფექტურობის გაზრდა.



### როგორ უნდა განვითარდეს თხილის ინდუსტრია

არსებულ მდგომარეობაში, საინტერესოა რა მომავალი აქვს ქვეყანაში თხილის ბიზნესის ინდუსტრიის განვითარებას და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას? ბუხაიძის აზრით, საქართველო მსოფლიო ბაზარზე თხილის გაყიდვების მოცულობის თვალსაზრისით ლიდერი ვერ გახდება. ქართული თხილის ინდუსტრიის გადარჩენის შანსი ერთ რამეშია - მან უნდა შეძლოს დამუშავებული ერთი კილოგრამი თხილის უფრო ძვირად გაყიდვა, ვიდრე ამას დანარჩენი თხილის მწარმოებელი ქვეყნები აკეთებენ. ამის მიღწევას კი ხარისხის მკაცრი მოთხოვნების დაკმაყოფილება სჭირდება. ამ პრობლემის გადაჭრა მაინც ფერმერამდე მიდის, რადგან გადამუშავება ნოუ ჰაუს არ მოითხოვს. წვრილი ფერმერი კი ამას დამოუკიდებლად ვერ მოახერხებს. აუცილებელია წარმოებების, ფერმების გამსხვილება. ამ გზით ისინი შეძლებენ ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას და იმის გაგებას, თუ როგორ უნდა დახვეწონ მუშაობა რომ უფრო მეტი სარგებელი მიიღონ. ბუხაიძის თქმით, თხილის სექტორს გრძელვადიანი ინვესტირება სჭირდება. საქართველოში საკრედიტო რესურსი ძალიან ძვირია, ნდობის ფაქტორი კი საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან წვირილი ფერმერების მიმართ დაბალი. ერთი ჰექტარი მიწის გირაოში ჩადება არც ერთ ბანკს არ უნდა.

ქვეყანში უკვე არსებობს იმის პრეცედენტი, თუ როგორ შეიძლება გრძელვადიანი ინვესტირებით ბაღების გაშენება და ერთ ჰექტარზე ნაყოფიერი მოსავლის მიღება. შპს "თხილის ქარხანამ" ბანკი "რესბუბლიკისგან" აღებული კრედიტით 150 ჰექტარი მიწა შეისყიდა და თხილის ბაღები გააშენა. როგორც კომპანიაში ამბობენ, ინევესტირება მხოლოდ წარმოების თხილის უწყვეტად მომარაგების საქმეს არ ემსახურება. გადადგმული ნაბიჯით წვრილი ფერმერები დარწმუნდნენ იმაში, რომ ახალი მეთოდოლოგიის დანერგვით, ერთი ჰექტარზე ერთი ტონის ნაცვლად, 2 ტონა თხილის მიღება შეიძლება.

# Air France-ს პრეზიდენტი სკანდალში გაეხვა

ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ავიაკომპანია Air France-ს პრეზიდენტი ჟან-სირილიუ სპინეტი შესაძლოა, სასამართლოს წინაშე წარდგეს. მას კომპანიის თანხების მითვისებასა და არალეგალური სამუშაო ძალების გამოყენებაში ადანაშაულებენ.

სპინეტი სასამართლოში 2006 წლის 18 ივლისს არის დაბარებული. ის სასამართლოს გაკოტრებულ კომპანია Pretory-სთან დადებული გარიგების შესახებ მისცემს ჩვენებას.

Air France-მა და Pretory-მ უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობა 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ დაიწყო. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ, ამერიკაში განხორციელებულ საერთაშორისო რეისებზე შეიარაღებული დაცვის არსებობის აუცილებლობის შესახებ განაცხადა. 2003 წელს კი კომპანია Pretory გაკოტრდა.

ამის შემდეგ, პროკურატურამ კომპანიაში ფინანსური მაქინაციებისა და კორუფციის გამოსავლენად გამოძიება დაიწყო.

ამის მიზეზი სასამართლოს ინფორმაციის გადამუშავების ქვეგანყოფილებაში და საფრანგეთის ეკონომიკის, ფინანსთა და მრეწველობის სამინისტროების ქსელში აღმოჩენილი არაკანონიერი ფინანსური ოპერაციები გახდა. ხშირ შემთხვევაში, Trasfin-ი და Pretory-ი 10 მილიონიან ფინანსურ გარიგებებში ამხილეს. ასევე, საფრანგეთის ფინანსური დაზვერვის ორგანოებისთვის ცნობილი გახდა, რომ 16 თვის განმავლობაში, Air France-მ თავისი სუბკონტრაქტორის ხარჯზე 42,5 მილიონი ევრო მიითვისა. თანხის დიდი ნაწილი არამიზნობრივად დაიკარგა.

გამოძიების ხელთ არსებული ინფორმაციით, Pretory-მა გადასახადებისგან დაბეგვრისგან თავისუფალ ზონაში საიდუმლო სქემა შეიმუშავა. შედეგად, ეს კომპანია თანამშრომლებს სოციალურ და სადაზღვევო თანხებს არ ურიცხავდა. ასევე თავს არიდებდა გადასახადების გადახდას.

პარიზის მოსამართლე ერვე ლურო, დარწმუნებულია იმაში, რომ მსგავსი ფინანსური მაქინაციების ასე ოსტატურად განხორციელება გავლენიანი თანამზრახველების გარეშე თითქმის შეუძლებელია. მოსამართლე ირწმუნება, რომ საფრანგეთის ავიაკომპანიის ტოპმენეჯერები და კომპანიის პრეზიდენტი ერთად მოქმედებდნენ.

მოსამართლე არც მეორე საეჭვო ფაქტს გამორიცხავს - შეძლებდა თუ არა პატარა, არცთუ ისე ცნობილი კომპანია, ასეთ მოკლე დროში დამეგობრებას საფრანგეთის ინდუსტრიაში ისეთ ლედერ კომპანიასთან, როგორიც Air France-ია? საფრანგეთის სასამართლო Air France-ს პრეზიდენტს ჟოელ კატალას Pretory-ის მფარველობაშიც ადანაშაულებს. გამოძიების ინფორმაციით, კატალა პირადად იცნობდა Pretory-ის აქციონერებს.

მეორე ბრალდებული, პასკალ ჟუმელი თავიდან ბანდიტებთან მებრძოლი ორგანიზაცია BRB-ის აგენტი იყო. მოგვიანებით, მას შეირაღებული თავდასხმისთვის სასამართლომ 17 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ კაპიტალის საიდუმლოდ მოხსნის სქემის ინიციატორები - მარი-კრისტინ გარდი და ჟორჟ სალმაზო სწორედ მან მოიყვანა კომპანიაში.

კომპანიის პრეზიდენტის ადვოკატი დაჟინებით ირწმუნება, რომ ბრალდებულს კომპანიის შიდა სტრუქტურასთან და უკანონო პროცესებთან არანაირი კავშირი არ გააჩნია. მისი თქმით, სპინეტას დაცვის ამ კომპანიის ხელმძღვანელობასთან პირადი კონტაქტი არასდროს ჰქონია.

# ჩიპების მწარმოებლებს შეთქმულებაში ადანაშაულებენ

ამერიკის 34 შტატი სან-ფრანცისკოს ფედერალურ სასამართლოში ოპერატიული მეხსიერების ჩიპების უმსხვილესი მწარმოებლების წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს. კომპანიების დაჯგუფება, რომლებშიც შედიან Infineon Technologies, Hunix Semiconductor, Micron Technology, Mosel Vitelic, Nanya Technology, Elpida Memory და NEC Electronics America წარმოებულ პროდუქციაზე ფიქსირებული ფასების მიზნით კარტელურ შეთქმულებაში მონაწილეობასა და ბაზარზე წარმოებული პროდუქტების ხელოვნურ შეზღუდვაში არიან ეჭვმიტანილნი.

DRAM-ის მეხსიერების ჩიპები პერსონალურ კომპიუტერებში, სერვერებში, მობილურ ტელეფონებში, ციფრულ ვიდეო და ფოტო კამერებში და სათამაშო მოწყობილობებში გამოიყენება. კომპანია Infineon, Hynix და Micron კორეულ კომპანია Samsung-თან ერთად ჩიპების ამერიკული ბაზრის 70 პროცენტს აკონტროლებს. მათი ერთობლივი ბაზარი ექსპერტებმა 2004 წელს 5 მილარდ დოლარად შეაფასეს.

ბრალმდებლების აზრით, კომპანიები თავიანთ პროდუქციაზე 1998 წლიდან 2002 წლამდე ხელოვნურად ზრდიდნენ ფასებს. მათმა არაკეთილისინდისიერმა საბაზრო პოლიტიკამ კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელ ისეთ სერიოზულ კომპანიებზეც იმოქმედა, როგორიცაა Apple Computer, Dell, Hewlett-Packard, Compaq, Gateway და International Business Machines. ეს კომპანიები იძულებულნი გახდნენ თავიანთი პროდუქციაც გაეძვირებინათ. შედეგად კი ბაზარზე პოტენციური მყიდველის რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

კალიფორნიის შტატის გენერალური პროკურირის ბილ ლოკიერას თქმით, გამოძიება რამდენიმე მილიონ დოლარს მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ ნიუ-იორკის შტატიც უკვე აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. გუშინ, შტატის გენპროკურორმა ელიოტ სპიტცერმა სასამართლოს სამხრეთკორეული Samsung Electronics-ისა და კიდევ შვიდი მწარმოებლის წინააღმდეგ მიმართა. გენერალური პროკურორი აღნიშნავს, რომ ამ კომპანიებმა DRAM-ის მეხსიერების ჩიპების ღირებულება ერთ მილიარდ დოლარამდე გაზარდეს, რასაც თავის მხრივ კომპიუტერებისა და სხვა ელექტრო საქონლის გაძვირებაც მოჰყვა.

ჯერ კიდევ 2002 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროსა და ფედერალური დაზვერვის ბიურომ კომპანიები Samsung, Hynix, Infineon, Elpida და DRAM-ის ჩიპების სხვა მწარმოებლები შეთქმულებაში დაადანაშაულა. მათი ინფორმაციით, ეს პროცესი 1999 წლიდან 2002 წლის ივნისამდე გრძელდებოდა. მაშინ სამხრეთკორეული გიგანტი 300 მილიონი დოლარით დაჯარიმდა. დამნაშავეებს ერთობლივად კი ჯარიმის სახით 731 მილიონი დაეკისრათ.

## საქართველოში სავაჭრო დეფიციტის მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები. განსაკუთრებით მკვეთრად მომატებულია სავაჭრო დეფიციტის მაჩვენებელი, რაც ექსპორტთან შედარებით იმპორტის მაღალი ტემპით ზრდით არის გამოწვეული.

ექსპორტის ზრდაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ღვინოსა და მინერალურ წყლებზე რუსეთის მიერ დაწესებულმა დაწესებულმა ემბარგოებმა, რის გამოც ექსპორტი რუსთში თითქმის ექვსჯერ შემცირდა. თუ მარტის თვეში რუსეთში ექსპორტი 18,7 მილიონს შეადგენდა, ივნისში ეს ციფრი 3,6 მილიონამდე დაეცა. ამ ემბარგოს შედეგად საქართველოს ექსპორტს 35-40 მლნ აშშ დოლარამდე დააკლდა, რაც მთლიანი ექსპორტის 35-37 პროცენტით ზრდას უზრუნველყოფდა. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

## საინვესტიციო საქონლის იმპორტზე ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი საინვესტიციო საქონლის იმპორტზე დაფიქსირდა, თუმცა ამ საქონელს 2006 წლის იმპორტში მხოლოდ 13.8% უჭირავს.

ყველაზე ნაკლები ზრდა სამომხმარებლო საქონლისთვის დაფიქსირდა, ამ მაჩვენებელმა 54.2% შეადგინა, რომელსაც მთელი იმპორტის თითქმის 38% უჭირავს.

55.5 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტზე, რომლის მაღალი წილი საერთო იმპორტშია - 45.7%. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

## საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართა

საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართა. მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღვინისა და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებისა და სხვა ქართულ პროდუქციაზე ამ ხელშეკრულების გავრცელების პერსპექტივები, ასევე გაცვალეს მოსაზრებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედების პერსპექტვების თაობაზე. ევროპული მხრეს წარმოადგენდნენ ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოსა და სომხეთში ტორბენ ჰოლცე, ევროკომისიის ვაჭრობის გენერალური დირექტორატის წარმომადგენელი სოფია მუნოს ალბარანი და ევროკომისიის სოფლის მეურნეობის გენერალური დირექტორატის წარმომადგენელი მანუელ როდრიგეს კატალანი. ქართულ დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი ხელმძღვანელობდა.

## ქუთაისს ეკონომიკური განვითარების პროგრამა ექნება

ქუთაისის 2007-11 წლების ეკონომიკური განვითარების პროგრამაზე მუშაობა დაიწყო. პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოსთან და ურბანული ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ქალაქის ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენაში, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, 11 არასამთავრობო ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას. იმერეთის ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ხელმძღვანელის კახა გვანცელაძის განცხადებით, მათ მიერ შემუშავებული პროგრამა რამდენიმე თვეში რეკომენდაციის სახით ქუთაისის მერიას წარედგინება, რაც მომდევნო 4 წლის მანძილზე ქალაქის განვითარების ძირითადი გეგმა იქნება. ბოლო 15 წლის მანძილზე ქუთაისს ეკონომიკური განვითარების პროგრამა არ გააჩნდა. ახალი პროგრამის შედგენაში ექსპერტების სახით უცხოელი პარტნიორებიც არიან ჩართულნი. **"ინტერპრესნიუსი"**

## Volkswagen-ი ჯარიმას აღარ გადაიხდის

ევროკავშირის უზენაესმა სასამართლომ ევროკომისიის მიერ საავტომობილო კომპანია Volkswagen-ისთვის დაკისრებული ჯარიმა გააუქმა. ასე რომ, გერმანელ ავტომწარმოებლებს 30 მილონ 960 ათასი ევროს გადახდა აღარ მოუწევთ. ევროკომისიამ კომპანია Volkswagen-ი 2001 წელს დააჯარიმა. საჯარიმო სანქციების დაკისრების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა თავის დილერებს Passat-ის ავტომობილებზე ფასდაკლებას უკრძალავდა. ევროპელი ჩინოვნიკების აზრით, გერმანული კომპანიის პოლიტიკამ ავტომობილების გაძვირება და კონკურენციის დაქვეითება განაპირობა. 2003 წელს ევროპის პირველი ინსტანციის სასამართლომ კომპანიის ხელმძღვანელობასა და მის დილერებს შორის საეჭვო მოლაპარაკების ვერანაირი საბაბი ვერ ნახა, რის გამოც გერმანელ ავტომწარმოებლებს ჯარიმა ავტომატურად მოეხსნათ. სასამართლოს აზრით, კომპანია Volkswagen-ს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა არ დურღვევია. პირველი ინსტანციის განაჩენით განაწყენებულმა ევროკომისიამ აპელაცია უზენაეს სასამართლოშიც შეიტანა, თუმცა განაჩენში ცვლილებები არც მათ შეუტანიათ.

## ამერიკა და იაპონია – ყველაზე მდიდრებიდან ყველაზე ღარიბები

მსოფლიო ზესახელმწიფოები - ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია ღარიბი მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში ლიდერის პოზიციებს იმკვიდრებენ. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაცემებით, იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთა შემოსავალი საშუალო სტატისტიკურ შემოსავალზე ნაკლებია ამერიკის შეერთებულ შტატებში 13,7 პროცენტია, იაპონიაში კი 13,5%. აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეკონომიკური სიძლიერის მიუხედავად, ამერიკა და იაპონია თავისი მოქალაქეების უზრუნველყოფას მაინც ვერ ახერხებს. ეს ორი ქვეყანა სიღარიბის თვალსაზრისით პირველ და მეორე პოზიციებს იკავებს. “შედარებითი სიღარიბის ზღვარზე, მოსახლეობის ის ნაწილია, რომლებიც ქვეყნის შემოსავლიდან ნახევარზე ნაკლებს იღებს. იაპონიის პრობლემას საერთაშორისო ორგანიზაციის ეკონომისტები ცალკე მოხსენებას უძღვნიან. ექსპერტები იაპონიაში “შედარებითი სიღარიბის” რიცხვობრივი მაჩვენებლის ზრდას, დროებითი კონტრაქტებით მომუშავეთა რაოდენობის მატებასა და დაბალ ანაზღაურებებს უკავშირებენ. ეს მაჩვენებელი იაპონიაში ბოლო ათი წლის განმავლობაში 19 პროცენტიდან 30 პროცენტამდე გაიზარდა. ეკონომისტები აღნიშნულ პროცესს ეკონომიკური დეპრესიის პერიოდს უკავშირებენ.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული ზღვარის ასეთ დაშორებას იაპონიაში მოსახლეობის დაბერებით ხსნის. საპენსიო ასაკის ადამიანებს იაპონიაში მუშაობა მაინც უწევთ, მათი ანაზღაურება ახალგაზრდებთან შედარებით საკმაოდ დაბალია. ექსპერტები ფიქრობენ, რომ სიღარიბის მაჩვენებლების სამომავლო ზრდა იაპონიის ეკონომიკაზე ძალიან ცუდად იმოქმედებს.

## ევროკავშირის ონლაინ-ბაზარი 1,5-ჯერ გაიზარდა

დიდი ბრიტანეთის ონლაინ-ბაზარი ევროპაში ყველაზე დიდია, მან თავისი მოცულობით გერმანიასაც კი გაუსწრო, რომელსაც მსოფლიოში მეორე ადგილი ეჭირა. ბრიტანელებმა გასულ წელს ინტერნეტის მეშვეობით 9,79 მილიარდი ევროს ღირებულების შენაძენები გააკეთეს, მაშინ როცა გერმანიის მოსახლეობამ ამავე პერიოდში ინტერნეტ-მაღაზიებში 9,71 მილიარდი გადაიხადეს. ონლაინ-ბაზრის მომხმარებელთა შორის მესამე ადგილზე ევროპის კონტინენტიდან საფრანგეთი გავიდა. საფრანგეთის მოქალაქეებმა გლობალურ ქსელში 6,5 მილიარდი დახარჯეს. ევროკავშირის ბიუჯეტში ინტერნეტით განხორციელებული ვაჭრობიდან 40,2 მილიარდი ევრო შევიდა, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით 51 პროცენტით მეტია. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთზე, გერმანიაზე და დიდ ბრიტანეთზე საერთო ინტერნეტ-ვაჭრობის ორი მესამედი მოდის. ექსპერტები აცხადებენ, რომ 2010 წლისთვის ინტერნეტ-ვაჭრობა ევროკავშირს 115 მილიარდ ევროს მოუტანს.

# კომპიუტერები განვითარებადი ქვეყნებისთვის

პირველი გვერდიდან

2005 წელს მსოფლიო ბაზარზე გაყიდული პერსონალური კომპიუტერების 33,2 პროცენტი EMEA-ს რეგიონზე მოდის, აშშ-ში 30,7 პროცენტი გაიყიდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში რეალიზებულმა კომპიუტერებმა მთლიანი ბაზრის 19,6 პროცენტი შეადგინა, ლათინურ ამერიკასა და იაპონიაზე მსოფლიო ბაზრის 6-6 პროცენტი მოდის, ხოლო კანადაზე 3 პროცენტი.

რაც შეეხება პერსონალური კომპიუტერების ბაზრის ზრდის ტემპს, როგორც აღვნიშნეთ, საუკეთესო მაჩვენებელი, 26 პროცენტი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში დაფიქსირდა. შემდეგ EMEA-ს რეგიონი მოდის 17,1 პროცენტით, კანადური ბაზრის ზრდის ტემპმა 12,9 პროცენტი შეადგინა, იაპონურის და ამერიკულის კი 7,5-7,5 პროცენტი.



ცხადია, გასულ წელს პერსონალური კომპიუტერების ბაზარზე მომხდარი მთავარი მოვლენების სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში დაფიქსირებული ზრდის უმაღლესი ტემპი და EMEA-ს რეგიონის გალიდერება გახდა. ბოლო დროს აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარების გათვალისწინებით აქ გასაკვირი არაფერია.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ რეგიონებში ერთნაირად იმატა პერსონალური კომპიუტერების როგორც კერძო სამომხმარებლო, ასევე კორპორაციული სექტორის მიერ შეძენის ფაქტებმა.

რაც შეეხება EMEA-ს რეგიონს, გასულ წელს ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში 72,6 მილიონი ცალი პერსონალური კომპიუტერი გაიყიდა, მაშინ როცა, ადრინდელ ლიდერ აშშ-ში გაყიდული კომპიუტერების რაოდენობამ 67,2 მილიონი ცალი შეადგინა. ანალიტიკოსთა აზრით, ამის მიზეზი ის იყო, რომ აშშ-მ მოძველებული ტექნიკის განახლების პიკი 2003 და 2004 წლებში გადალახა.

აღსანიშნავია, რომ EMEA-ს რეგიონში კომპიუტერებით განსაკუთრებით აქტიური ვაჭრობა 2005 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირდა, როცა რეგიონში 20 მილიონი ცალი პერსონალური კომპიუტერი გაიყიდა, რაც 2004 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17,2 პროცენტით მეტია. თანაც, EMEA-ს რეგიონში განსაკუთრებით ბევრი კომპიუტერი კორპორაციულ სექტორში გაიყიდა.

ანალიტიკოსთა აზრით, აღნიშნული ტენდენცია მიმდინარე წელსაც გაგრძელდება. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე პერსონალური კომპიუტერების გაყიდვის მოცულობა 19,5 პროცენტით გაიზრდება, განვითარებული ქვეყნების ბაზარზე კი მხოლოდ 6,3 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს სულ უფრო იზრდება ნოუთბუქებზე მოთხოვნილება. კერძოდ, წელს მათი გაყიდვის მოცულობა შარშანდელთან შედარებით 31,4 პროცენტით გაიზრდება.

### ბაზრის გადანაწილება

გასული წლის მონაცემების მიხედვით, პერსონალური კომპიუტერების მწარმოებელთაგან ბაზრის ყველაზე დიდი ნაწილი, 16,8 პროცენტი ამერიკულმა კომპანია Dell-მა აითვისა. მეორე შედეგი ასევე ამერიკულმა Hewlett-Packard-მა აჩვენა - 14,5 პროცენტი. მესამეზე 6,9 პროცენტით ჩინური Lenovo გახლავთ, რომელმაც ამერიკული კომპიუტერული გიგანტისაგან IBM-ისაგან, რომელიც პერსონალური კომპიუტერების გამოშვებას ისედაც ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, პერსონალური კომპიუტერების ბიზნესი შეისყიდა და კარგადაც განავითარა. 4,6 პროცენტით მეოთხეზეა ტაივანური Acer, მეხუთეზე კი 3,8 პროცენტით იაპონურ-გერმანული Fujitsu-Seamens. დანარჩენი 53,3 პროცენტი უფრო წვრილ მწარმოებლებზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს შარშანწინდელთან შედარებით ძალიან, მთელი 58,1 პროცენტით, გაიზარდა ტაივანური Acer-ის გაყიდვების მოცულობა. ამ მაჩვენებლით მეორე ამერიკული Dell გახლავთ, რომლის გაყიდვების მოცულობა 18,6 პროცენტით გაიზარდა. ზრდის ერთნაირი მაჩვენებელი - 16,5 პროცენტი აქვთ Lenovo-ს და Fujitsu-Seamens-ს. რაც შეეხება განთქმულ HP-ს შარშან მის მიერ წარმოებული პერსონალური კომპიუტერების გაყიდვების მოცულობა 15,1 პროცენტით გაიზარდა.

როგორც წამყვანი კომპიუტერული ფირმების წარმომადგენლები აღნიშნავენ, მათი მთავარი პრობლემა ის არის, რომ პროდუქციის დიფერენცირება ძირითადად ფასის მიხედვით ხდება. ამასთან, მაღალი ტექნოლოგიების ათვისება, დახვეწა და დანერგვა ხშირად წინ უსწრებს მომხმარებლის მოთხოვნილებას, რომლებიც ხშირად დაბალი კლასის და იაფი მოდელების შეძენას ამჯობინებენ.

ამიტომაც, მწარმოებლები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ფასდაკლების ათასგვარ აქციას და პროდუქციის გაიაფების სხვადასხვა გზას ეძებენ. მათ შორის აღსანიშნავია ჩინეთში, ინდოეთში და სხვა იაფი მუშახელის ქვეყნებში წარმოების გაფართოების ტენდენცია, რაც ამ ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის მოცულობას სულ უფრო და უფრო ზრდის.

# “ცისფერების“ საყვარელი ავტომობილები

ლიკა ჯობაძე

ერთ-ერთმა ამერიკულმა პორტალმა სექსუალური უმცირესობის საყვარელი ავტომობილების სია გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ ამერიკელი “ცისფერები” კაბრიოლეტების ტიპის ძვირად ღირებულ ავტომობილებს უფრო მოკრძალებულ სედანსა და ჩვეულებრივ ხეჩბეკებს ამჯობინებენ. თუმცა, “ცისფერებში” გემოვნებიანი ავტომოყვარულებიც აღმოჩნდნენ. ისინი უპირატესობას ავტომობილ Satum Sky-ს ანიჭებენ. (Opel GT აღნიშნულ მოდელს სულ მალე ევროპის საავტომობილო ბაზარზე გაიტანს). “ყველაზე ცისფერი ავტომობილების” სიაში მეორე ადგილს Toyota Yaris, მესამეს კი Dodge Caliber იკავებს.



**ყველაზე “ცისფერი” ავტომობილების რეიტინგი ასე გამოიყურება:**

1. Saturn Sky
2. Toyota Yaris
3. Dodge Caliber
4. Volkswagen Jetta
5. Toyota Camry
6. Audi A3
7. Saab 9-3
8. Pontiac G6
9. Mazda MX5
10. Toyota Prius

ამერიკელებისგან განსხვავებით, ევროპელ “ცისფერებს” ბევრად უფრო კარგი გემოვნება აქვთ. ევროპელი “ცისფერების” აზრით, კაცები, რომლებსაც თავიანთი სქესის მამაკაცები ხიბლავთ, ძირითადად ძვირად ღირებულ და მოდურ ავტომობილებს ანიჭებენ უპირატესობას. ფრანგი “ცისფერები” ერთ-ერთ უძვირეს Aston Martin DB9 Volante-ზე ოცნებობენ. რეიტინგში მეორე ადგილს Alfa Romeo Brara იკავებს. მესამე და მეოთხე ადგილზე კი Nissan Mirca C+C და Citroen C6 გავიდა.

**ევროპელი “ცისფერების” საყვარელი ავტომობილების სია კი ასეთია:**

1. Aston Martin Volante
2. Alfa Romeo Brera
3. Nissan Mirca C+C
4. Citroen C6
5. Mazda MX-5
6. Buggati Veyron
7. Peugeot 407
8. Peugeot 1007
9. Porsche cayman S
10. Bentley Continental Flying Spur



## საწვავის ფასზე ცვლილებები მოსალოდნელი არ არის

"ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" თავმჯდომარის, ვანო მთვრალაშვილის, განცხადებით, მსოფლიოში ნავთობის გაძვირების მიუხედავად, საქართველოს საცალო ბაზარზე უახლოეს პერიოდში საწვავის ფასზე ცვლილებები მოსალოდენელი არ არის.

"10-16 ივლისის განმავლობაში ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ნავთობზე ფასის ზრდის ტენდენცია ფიქსირდებოდა. მან ისტორიული რეკორდიც კი დაამყარა და ბარელი ნავთობის ფასი 78 დოლარს მიუახლოვდა. ნავთობზე ფასის ზრდა ისრაელსა და ლიბანს შორის საომარი მოქმედებების დაწყებამ, ირანის გარშემო დაძაბულობის ზრდამ, ნიგერიიდან და ვენესუელიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიწოდების შეფერხებამ გამოიწვია. ყოველივე ეს მიმდინარეობდა იმ ფონზე, როცა ბოლო სამი კვირის განმავლობაში აშშ ნავთობის სტრატეგიული მარაგები მცირდებოდა"-, განაცხადა მან.

თუმცა, ექსპერტის მტკიცებით, 17 ივლისიდან ნავთობზე ფასმა კვლავ კლება დაიწყო. და დღევანდელი მდგომარეობით 1 ბარელი ნავთობის ფასი ლონდონის ბირჟაზე 73.90 დოლარს, ხოლო ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟაზე- 72.66 დოლარს შეადგენს.

"ნავთობზე ფასის კლებაზე გავლენა იქონია "დიდი რვიანის" შეხვედრამ და 7-14 ივლისს აშშ-ის სტრატეგიული მარაგების ზრდამ 0,2 მლნ ბარელიდან 335,5 მლნ ბარელამდე. თუმცა, პროგნოზირება, თუ როგორ განვითარდება მომავალში სიტუაცია, შეუძლებელია და ის მთლიანად გეოპოლიტიკურ სიტუაციებზეა დამოკიდებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ნავთობპროდუქტებზე ფასები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა", - დასძინა მან.

ექსპერტის თქმით, საქართველოს მოსახლეობას უახლოეს მომავალში გაძვირებული ბენზინის ყიდვა არ მოუწევს.

დღეისათვის საქართველოს ბაზარზე აზერბაიჯანიდან იმპორტირებული 1 ლიტრი ა-91 ბენზინის ფასი 1.42-1.50 ლარს, ხოლო ევროპიდან იმპორტირებულის კი- 1.65 ლარს შეადგენს, რაც შეეხება, ბენზინ "პრემიუმს", მისი ღირებულება 1.70- 1.80 ლარით განისაზღვრება. დიზელის საწვავის ფასი კი 1.38-1.45 ლარია. **" ჯი-ეიჩ-ენი"**

## კერძო მილიარდები ბიზნესში მიდის

ამერიკულმა კორპორაცია Blackstone-მა მსოფლიოში უმსხვილესი კერძო საინვესტიციო ფონდი შექმნა.

ახალმა საინვესტიციო ფონდმა Blackstone Capital Partners 4-მა უკვე 15,6 მილიარდი დოლარის აკუმულირება მოახერხა. კომპანიებმა შეძლეს და მსოფლიოში უმსხვილესი კერძო ფონდი დააარსეს. საფონდო ბაზრის განვითარება და ტრანსნაციონალური კორპორაციების მოგების ზრდა საინვესტიციო სფეროში კიდევ უფრო მეტი ადამიანის მოზიდვას უზრუნველყოფს. საინვესტიციო ფონდების აქტივების ღირებულება კი ერთი წლის მანძილზე 50 პროცენტით გაიზრდება.

ფინანსური ბაზრის მონაწილეებისთვის სახსრების ასეთი დიდი რაოდენობით მოზიდვა, ცოტა არ იყოს და მოულოდნელი აღმოჩნდა. ყველაზე მოკრძალებული პროგნოზებით, Blackstone-ს 14,5 მილიარდი დოლარის აკუმულირება უნდა მოეხდინა. საბოლოო რეზულტატმა კი მოსალოდნელ შედეგს ერთი მილიარდი დოლარით გადააჭარბა.

ამერიკულმა კორპორაციამ Blackstone Capital Partners 4-თან შედარებით, ფინანსისტების მოზიდვის შედეგად, ფულადი სახსრების რაოდენობა ორჯერ გაზარდა. ეს კორპორაცია 2002 წელს დაარსდა. Blackstone-ის მენეჯერების თქმით, ფონდში აკუმულირებული სახსრები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სექტორს მოხმარდება. “საინვესტიციო ფონდის რეკორდულად დიდი ინვესტიციები, ჩვენ ისეთი მასშტაბის გარიგებების დადების საშუალებებს მოგვცემს, რომელზეც წლების წინ ვერც ვიოცნებებდით.”-აცხადებს Blackstone-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სტეფან შვარცმანი. უმსხვილესი კერძო საინვესტიციო ფონდის პირველი კაპიტალდაბანდებები უკვე ცნობილია. საინვესტიციო პროგრამა ამ ეტაპზე, ჰოლანდიური კორპორაცია VNU NV-ს შეძენის ფინანსირებას გეგმავს. ასევე, სახსრები კომპანია Michaels Stores-ს, Cendant, Encore Medical, ბრიტანულ Center Parcs, ინდურ კონცერნ Emcure Pharmaceuticals of India-სა და Deutsche Telekom-საც მოხმარდება.

ანალიტიკური სააგენტო Private Equity Inteligence-ს შეფასებით, ახალი ფონდი Blackstone, კერძო საინვესტიციო ფონდების ისტორიაში ყველაზე მსხვილია. თუმცა კონკურენტებს არ სძინავთ. ანალიტიკოსების აზრით, სხვა “მეგაფონდებმა” შესაძლოა, ემერიკელი რეკორდსმენი შეავიწროონ.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ კვირას დიდ ბრიტანეთში კერძო საინვესტიციო ფონდი Permira დაარსდა. ორგანიზტორებმა საწყის ეტაპზე 12,8 მილარდი დოლარი შეაგროვეს, უახლოეს მომავალში კი ისინი სახსრებს 14 მილიარდამდე გაზრდიან. ამერიკული საინვესტიციო ბანკი Goldman Sachs-ის კერძო ფონდი ამ ეტაპზე 8,5 მილიარდს მოიცავს.

აქამდე კერძო დაბანდებების თვალსაზრისით, მესამე ადგილს კომპანიები bain Capital-ი და Warburg Pincus-ი იკავებდა. თითოეული კომპანიის კაპიტალიზაცია მხოლოდ 8 მილიარდი დოლარია.

## InterContinental-ი ევროპაში შვიდ სასტუმროს ყიდის

მსოფლიოში სასტუმროების უმსხვილესი ქსელი InterContinental-ი თავის ევროპულ Morgan Stanley Real Estate Funds-ის შვიდ სასტუმროს 440 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაყიდის. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ InterContinental-ი სასტუმროების 30-წლიან კონტრაქტებზე პასუხისმგებლობას არ იხსნის. მათი თქმით, აღნიშნულმა კნტრაქტებმა მოქმედება შესაძლოა, კიდევ 50 წელი გააგრძელოს. ორმა კომპანიამ Morgan Stenley-ის რეკონსტრუქციისა და მის ქსელში სხვა სასტუმროების ჩართვის საკითხი InterContinental-თან უკვე შეათანხმეს.

კომპანია InterContinental-ი თავის საკუთრებას მართვის უფლებების შენარჩუნების სანაცვლოდ ყიდის. აღნიშნული გარიგება საკუთრების შემცირებისა და ფრანჩაიზინგის განვითარების მიზნით დაიდო.

## "იუკოსი"-ის მმართველმა კომპანიის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღო

კომპანია "იუკოსი"-ის დროებითმა მმართველმა ედუარდ რებგუნმა მისი ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღო. რებგუნი მიიჩნევს, რომ ლიკვიდაცია კომპანიის ვალების გასტუმრების ერთადერთი საშუალებაა, ვინაიდან ვალი 17 მილიარდ დოლარს შეადგენს, თავად კომპანიის ღირებულება კი 15 მილიარდი დოლარია. კომპანიის ყოფილმა პრეზიდენტმა სტივენ ტიდმა თანამდებობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება კომპანიის კრედიტორთა შეკრებამდე რამდენიმე საათით ადრე მიიღო. იგი კომპანიის ლიკვიდაციის წინააღმდეგ გამოდიოდა. რუბგუნის გადაწყვეტილებამ უკვე იქონია გავლენა კომპანიის ინვესტორებზე. მისი აქციების ფასი 4,2 პროცენტით დაეცა. **" ჯი-ეიჩ-ენი"**

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მნიშვნელობის დაკნინებას ცდილობენ

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ამოქმედებამ მხოლოდ რუსეთის საპირისპიროდ განწყობილი სახელმწიფოები გაახარა, - წერს საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი "პოლიტმონიტორი" და დასძენს, რომ ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრება, თითქოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი მოსკოვის გეოპოლიტიკური მარცხია, რამდენიმე წლის წინათ აქტუალური იყო, დღეს კი მილსადენის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და განსაკუთრებულობაზე უწინდელივით ლაპარაკი აღარ ღირს.

"პოლიტმონიტორი" ანალიტიკოსებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის ბლოკიდან წლიურად 50 მილიონი ტონა ნავთობის მიღებას 2005 წლისთვის გეგმავდა, თუმცა, ეს პროგნოზი არ გამართლდა. მილსადენის შევსების ისეთი ხარისხის უზრუნველყოფა, რომლის შემთხვევაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი რენტაბელური გახდება, შესაძლოა, მიუწვდომელიც იყოს, რადგან ნავთობმოპოვების მაქსიმალური დონე მომავალში მხოლოდ 25 მილიონ ტონას მიაღწევს.

პრობლემა ასტანასთან ყაზახური ნავთობის გადაქაჩვის შესახებ შეთანხმებამ ნაწილობრივ გადაწყვეტა. აღნიშნული ნავთობის წილი პირველ ეტაპზე 7,5 მილიონ ტონას შეადგენს. ყაზახური ნავთობი აზერბაიჯანში კასპიის ზღვაზე ტანკერებით გადაიტვირთება. საკმაოდ პერსპექტიულად ითვლება ყაზახეთის უმსვილესი ნავთობსაბადო "თენგიზი", თუმცა ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ დღეისათვის იქ მილსადენის მთლიანად შევსებისათვის საკმარისი ნავთობის რაოდენობა არ მოიპოვება. ამას გარდა, ყაზახური ნავთობი თენგიზ-ნოვოროსიისკის კასპიის მილსადენის კონსორციუმითაც ექსპორტირდება, რომლის სიმძლავრე წელიწადში 67 მილიონ ტონა ნავთობს შეადგენს. ყაზახეთი ღიად ლაპარაკობს აგრეთვე ჩინეთში ნავთობის ექსპორტის გაზრდაზე.

"პოლიტმონიტორის" ინფორმაციით, ანალიტიკოსები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პრობლემად მილსადენის სეისმურად და პოლიტიკურად არასტაბილურ ზონაში მდებარეობას ასახელებენ.

რაც შეეხება რუსეთის ინტერესების შელახვას, მილსადენის გამო ენერგორესურსების მსოფლიო მოხმარებაში არანაირი ძვრა არ მოხდება - პროექტით გათვალისწინებული სიმძლავრით ამოქმედების შემთხვევაში კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მსოფლიო მოთხოვნილების მხოლოდ 1 პროცენტს დააკმაყოფილებს. რუსეთი კი ნავთობის მოპოვების მოცულობის მიხედვით მსოფლიოში მეორე ქვეყანაა საუდის არაბეთის შემდეგ, - იუწყება სააგენტო "რეგნუმი" "პოლიტმონიტორზე" დაყრდნობით. **მედიანიუსი**

## ენერგეტიკის სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის 33-კილომეტრიანი მონაკვეთის შეკეთების მიზნით, ენერგეტიკის სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისიაში განუცხადეს, ტენდერის ერთი ლოტი ითვალისწინებს სართიჭალა-გარდაბნის 500 მმ გაზსადენის 33 კმ-იანი მონაკვეთის კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო მეორე ლოტი გაზმზომი კვანძის მოწყობისთვის საჭირო მოწყობილობების მოწოდებას და მონტაჟს.

ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა თითოეული ლოტის მიხედვით. სატენდერო კომისიაში პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ხდება დახურულ კონვერტში. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება და შეფასებისთვის არ დაიშვება.

სატენდერო კომისიაში აცხადებენ, რომ სამუშაო უნდა განხორციელდეს არსებული ტექნიკური დავალების და გეგმა-გრაფიკის შესაბამისად და მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. I ლოტზე სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 15 ნოემბერი; II ლოტზე მოწოდებისა და მონტაჟის სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა - 25 დეკემბერი.

დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები, ენერგეტიკის სამინისტროს კანცელარიაში 3 აგვისტოს 17.00 საათამდე უნდა წარადგინონ.

## ამინდი

| | 21/07 | 22/07 | 23/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 27 | 30 | 26 |
| რიგა | 23 | 28 | 30 |
| ვილნიუსი | 25 | 27 | 29 |
| მოსკოვი | 16 | 21 | 23 |
| მინსკი | 24 | 26 | 29 |
| პარიზი | 35 | 32 | 30 |
| რომი | 35 | 35 | 36 |
| ლონდონი | 32 | 27 | 26 |
| მადრიდი | 36 | 33 | 35 |
| ბონი | 32 | 36 | 31 |
| ვარშავა | 33 | 31 | 35 |
| ათენა | 30 | 27 | 29 |
| ბერნი | 32 | 34 | 32 |
| ამსტერდამი | 29 | 30 | 26 |
| ოსლო | 25 | 28 | 26 |
| ანკარა | 30 | 28 | 32 |
| ვარნა | 29 | 28 | 30 |
| დელი | 47 | 49 | 42 |
| ტოკიო | 25 | 28 | 30 |
| კოპენჰაგენი | 27 | 23 | 26 |
| ბაქო | 32 | 31 | 30 |
| ერევანი | 39 | 40 | 38 |
| ასტანა | 22 | 24 | 17 |
| ჰელსინკი | 18 | 21 | 24 |
| დუბლინი | 21 | 20 | 20 |
| ლისაბონი | 27 | 27 | 30 |
| პრაღა | 31 | 32 | 31 |
| სოფია | 31 | 31 | 32 |
| ბუდაპეშტი | 41 | 38 | 38 |
| ბუხარესტი | 34 | 36 | 37 |

# დიდი გაერთიანების დიდი პასუხისმგებლობა

პირველი გვერდიდან

### ახალი ორგანიზაცია ძველი სახეებით

*ის ახლა ერთდროულად "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" დირექტორი და შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ხელმძღვანელიცაა. თუმცა მხოლოდ დროებით. უახლოეს თვეებში "საქნავთობის", "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" და "ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" გაერთიანების პროცესი საბოლოოდ დასრულდება და დავით ინგოროყვას უკვე გაცილებით მეტი პასუხისმგებლობის მქონე, გაცილებით დიდი ორგანიზაციის მართვა დაევალება. აი ამის შემდეგ კი, მისი თვალთახედვის მიღმა საქართველოს ნავთობის და გაზის სფეროში მომხდარი ვერც ერთი მოვლენა ვერ გაირბენს.*

**- ბატონო დავით, მაინც რატომ მოხდა ამ სამი ორგანიზაციის გაერთიანება, ამჟამად რა პროცესშია ეს საკითხი და რას მივიღებთ საბოლოოდ?**

- მიმდინარე წლის 21 მარტს, ეკონომიკის სამინისტრომ ოფიციალურად გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც "ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის", "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" და ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" აქციები ახალ კომპანიას - შპს "ნავთობის და გაზის კორპორაციას" გადაეცა. ეს გაერთიანების პირველი ეტაპი იყო. შემდგომი ეტაპი, რასაც უახლოეს პერიოდში განვახორციელებთ, ამ სამი ორგანიზაციის აქტივების ერთი ორგანიზაციის ქვეშ გაერთიანება იქნება.

ჩვენ თავიდანვე სხვადასხვა ჯგუფებთან, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლებთან სერიოზული დისკუსიები გვქონდა. მათ აინტერესებდათ რამდენად კარგად მიმდინარეობდა ეს პროცესი. ჯერ კიდევ მაშინ განვაცხადეთ, რომ ეს არ იქნებოდა ერთ ან ორ დღეში მიღებული გაერთიანება.

ამ სამი ორგანიზაციის მენეჯმენტი ფრთხილად შევისწავლეთ. მათ შორის, იურიდიული და ბუღალტრული საკითხები. უახლოეს თვეებში, გარკვეულ ეტაპზე, როცა მივიჩნევთ, რომ შერწყმისთვის მზად ვართ, მივიღებთ გაერთიანების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას. თუმცა, იურიდიულად უკვე არსებობს შპს "ნავთობის და გაზის კორპორაცია", რომელიც ამ სამივე ორგანიზაციის აქციებს ფლობს. კერძოდ, "ნავთობის და გაზის კორპორაციას" თავის საწესდებო კაპიტალში ამ სამივე ორგანიზაციიდან 110 მილიონი ლარის ღირებულების აქციები გააჩნია.

**- მაინც რა მოტივით მოხდა ამ ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღება?**

- ამ შერწყმას მრავალი მიზეზი ჰქონდა. ყველაზე მთავარი ნავთობის და გაზის სფეროს გაცილებით მობილურად და ეფექტურად რეგულირება, კონტროლი და აღსრულება იყო.

ერთ პატარა ქვეყანაში არსებობდა სამი ორგანიზაცია, რომლებიც ბევრ საკითხში ერთი და იმავე ფუნქციას ასრულებდა. მაგალითად:

მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ არსებობს "გაზის საერთაშორისო კორპორაცია", რომელიც ფლობს მაგისტრალურ გაზსადენებს და ახდენს შემოსული ბუნებრივი აირის მომხმარებლებამდე მიტანას, ასევე ტრანზიტს სომხეთში. ამ ორგანიზაციას საკუთარი გაზიც აქვს, რომელიც ტრანზიტის საფასურად რჩება და მას თავის მომხმარებლებზე ყიდის.

ამავე დროს კიდევ არსებობს "ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია". მას უახლოეს მომავალში შაჰდენიზის გაზი ექნება და მის რეალიზაციასაც მოახდენს. ამას ემატება "საქნავთობის" მიერ გაზის ადგილობრივი მოპოვება, რომელიც აგრეთვე უნდა მიეწოდოს ქართველ მომხმარებელს.

საბოლოოდ, ჩაითვალა, რომ უპრიანი იქნებოდა, თუ ამ სამი ორგანიზაციის ფუნქციებს ერთი შეითავსებდა.

კიდევ ერთი მომენტი: ჩვენ გაზის საცავი არ გვაქვს. ამიტომ, როცა ერთი მომწოდებლის ნაცვლად სამი მომწოდებელი გვეყოლება, მოწოდების რეჟიმები, გადახდის მექანიზმები და ა.შ. უმჯობესია ერთი რეგულირების ქვეშ იყოს, რითიც თავიდან ავიცილებთ გაუგებრობებს.

ამ სამივე ორგანიზაციას ძალიან მძლავრი რესურსები გააჩნია, როგორც - ფინანსური, ასევე ადამიანური. მათი გაერთიანებით ჩვენ გაცილებით კარგ და კომპაქტურ გუნდს ვქმნით.







| წელი | დანაკარგი % | საქართველო მ³ | ტრანზიტი სომხეთში მ³ | სულ მ³ |
|---|---|---|---|---|
| 2000 | 6.53 | 1,198,000,000 | 1,404,000,000 | 2,602,000,000 |
| 2001 | 4.84 | 956,000,000 | 1,403,000,000 | 2,359,000,000 |
| 2002 | 5.96 | 812,000,000 | 1,070,000,000 | 1,882,000,000 |
| 2003 | 5.98 | 1,009,000,000 | 1,200,000,000 | 2,209,000,000 |
| 2004 | 4.45 | 1,231,000,000 | 1,332,000,000 | 2,563,000,000 |
| 2005 | 3.44 | 1,440,000,000 | 1,685,000,000 | 3,125,000,000 |

### ვალების და დანაკარგების გარეშე?

*დავით ინგოროყვა აღნიშნულ კითხვას დადებითად პასუხობს. მეტიც, მისი განცხადებით, სისტემაში დატაცებების წილი ნულს გაუტოლდა, რამაც ორგანიზაციას ფინანსური სახსრების დაზოგვის საშუალება მისცა. მაინც რაში ხარჯავს "გაზის საერთაშორისო კორპორაცია" ამ "დანაზოგს?" ინგოროყვა ასე პასუხობს:*

- "გაზის საერთაშორისო კორპორაციამ" ბოლო ორ წელიწადში სისტემაში დანაკარგების მაჩვენებლის სამ პროცენტზე დაბლა ჩამოყვანა მოახერხა. აღმოფხვრილია ყველა არალეგალური მიერთება სისტემაზე, შედეგად დატაცება სისტემაში ნულის ტოლია.

მაგალითად, თუ 2003 წელს სისტემიდან დაახლოებით 4 მილიონი ლარის ბუნებრივი აირი იკარგებოდა, დღეს ეს მაჩვენებელი ნულია. დანაკარგების შემცირებამ ორგანიზაციას რამდენიმე მილიონლარიანი დანაზოგი მოუტანა.

თუ 2003 წელს "გაზექსპორტის" წინაშე არსებული დავალიანება ყოველწლიურად იზრდებოდა, და პრაქტიკულად, არც ჰქონდა ჩვენს ორგანიზაციას ამ დავალიანების გადახდის პერსპექტივა, შევძელით ის, რომ არა მარტო შეგვეჩერებინა ვალის დაგროვება, არამედ ის სრულიად გავისტუმრეთ.

ადრე მარტო ლემშვენიერში და ლელაშხში წელიწადში ოთხი მილიონი ლარის ღირებულების გაზის დატაცება ხდებოდა. თუმცა იმის გარდა, რომ არავინ იხდიდა ბუნებრივი აირის გადასახადს, სიტუაციის გაკონტროლებაც შეუძლებელი იყო. იმავე პერიოდში კი, "ყაზბეგგაზს" წელიწადში 10 მილიონი ლარის გაზი მიჰქონდა, თუმცა მოხმარებული ბუნებრივი აირისთვის ღირებულებას არავინ იხდიდა.

**- დანაკარგების შემცირებამ კიდევ რისი საშუალება მოგცათ?**

- სისტემის შენარჩუნებისთვის საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე დავიწყეთ ფიქრი. 15 წლის განმავლობაში არც ერთი თეთრი არ დახარჯულა მაგისტრალის რეაბილიტაციაზე, რაც, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. ეს არის რთული ინფრასტრუქტურის მქონე მაგისტრალი, რომელიც კავკასიონიდან 2400 მეტრზე გადმოდის. მას ყოველწლიური მოვლა, პატრონობა, შენარჩუნება და რეაბილიტაცია სჭირდება. ჩვენ უკვე გვაქვს საშუალება, რომ ნელ-ნელა მივხედოთ სისტემას.

უკვე ორი წელია, გარკვეულწილად ბიუჯეტის დახმარებით, მაგისტრალური სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

2004 წელს მაგისტრალის რეაბილიტაციისთვის გარკვეული თანხები იყო გათვალისწინებული. მაშინ, მოგეხსენებათ, აზერბაიჯანის დამაკავშირებელი მონაკვეთი აღვადგინეთ. დროზე მოვასწარით, რადგან წელს კრიზისის დროს აზერბაიჯანიდან გაზი სწორედ ამ მილსადენიდან შემოვიტანეთ.

ადგილი ჰქონდა სასწრაფო სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებას, მაგალითად ყაზბეგის ხეობაში, სადაც 1200 მმ-იანი მაგისტრალი საშიშროების ქვეშ იყო.

2006 წელს ბიუჯეტიდან დაფინანსებას აღარ ვღებულობთ.

მართალია ყოველივე ჩამოთვლილი "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" შრომის შედეგია, მაგრამ კორპორაციის ეს წარმატებები ახალი ორგანიზაციის შემდგომ წარმატებებსაც განაპირობებს.

უახლოეს პერიოდში გაზის საერთაშორისო კორპორაცია" ათასწლეულის ფონდიდან გამოყოფილი გრანტის ათვისებას დაიწყებს, რაც მაგისტრალური სისტემის ყველაზე მძიმედ დაზიანებული და საშიში მონაკვეთების აღდგენის საშუალებას მოგვცემს. ამისთვის 40 მილიონი დოლარია გამოყოფილი. ეს თანხა ამ მასშტაბის მაგისტრალური გაზსადენითვის მხოლოდ კოსმეტიკური სამუშაოებისთვის იქნება საკმარისი, ამიტომ მომავალი ორი წლის განმავლობაში, პრიორიტეტული მონაკვეთები წინასწარ იქნება შერჩეული.

### ეს ზამთარიც ერთად გადავაგოროთ?

*ცნობილი ფაქტია, რომ მზრუნველი სახელმწიფო ზამთრისთვის მზადებას ზაფხულში იწყებს. რას გვიმზადებს ჩვენი ხელისუფლება?*

- გაზაფხულის წვიმიანი სეზონის შემდეგ, მილსადენების გამორეცხვებს აქვს ადგილი. აუცილებელი ხდება ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. მაგალითად, დუშეთში და ყაზბეგში მილის გაშიშვლებას აქვს ხოლმე ადგილი, მიმდინარეობს მათი გამაგრება. იწმინდება თაროები, რათა მაგისტრალამდე მისვლა ადვილი იყოს, ხდება ახალი აპარატურების შეძენა, რომელიც მომავალში მობილურ მოქმედებაში დაგვეხმარება.

ავარიები საქართველოში საკმაოდ ხშირია. სისტემა საკმაოდ გაცვეთილია, რადგან გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ფუნქციონირებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ავარიულ გამორთვებს მოსახლეობა ვერ გებულობს.

ერთი კვირის წინ, მაგისტრალის დასავლეთ საქართველოს მიმართულება 25 საათის განმავლობაში გადაკეტილი იყო. ხაშურის ტერიტორიაზე გაჟონვა გვქონდა. თუმცა ეს მომხმარებლებს არ გაუგიათ.

ყაზბეგში გვქონდა ანალოგიური შემთხვევა. გაჟონვა იყო ჭაობში. მაშინაც დაიხურა მაგისტრალი და მისი აღდგენა ისე მოვახერხეთ, რომ ამის შესახებ არავის გაუგია.

სულ რამდენიმე თვის წინ ორივე მაგისტრალი გადავკეტეთ - 700-იანი და 1200-იანიც. 500-იანი ხაზი უნდა გადაგვეერთებინა. ანუ რუსეთიდან არც ერთი გრამი გაზი არ შემოდიოდა. გაითიშა სომხეთიც. სისტემა დილის 6 საათზე დაიკეტა და მეორე დღის დილის 7 საათზე კვლავ ამოქმედდა.

**- ზამთარში მხოლოდ რუსულ გაზზე ვიქნებით დამოკიდებულნი?**

- რუსულ გაზს უკვე წლებია რაც ვიღებთ. თუმცა, ის შეიძლება მოდიოდეს თურქმენეთიდან, ყაზახეთიდან, ეს უკვე მათი შიდა ბალანსის საქმეა.

პირველ ოქტომბერს ველით, რომ საქართველოს სისტემაში შაჰდენიზის აზერბაიჯანული გაზი შემოვა. დაახლოებით იმავე პერიოდში მივიღებთ, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც - ქართულ გაზს. (თუ ყველაფერი გეგმისამებრ განვითარდა). ეს ნინოწმინდის საბადოზე მოპოვებული გაზი იქნება. აქამდე ეს არ ხდებოდა. ოპერატორი კანარგოა. ამასწინათ მათთან ყიდვა-გაყიდვაზე ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი. უახლოეს მომავალში ნინოწმინდის საბადოდან გარდაბნის თბოელექტროსადგურამდე მაგისტრალის რეაბილიტაცია დაიწყება, რომელსაც მაქსიმუმ სამ თვეში დავასრულებთ. ბუნებრივია ძალიან მცირე რაოდენობის ქართულ გაზს მივიღებთ.

რც შეეხება შაჰდენიზის გაზს, მიმდიმარე წლის ბოლო კვარტალში აქედან 50-60 მილიონ კუბურ მეტრ გაზს, მომავალ წელს კი - 250-260 მილიონ კუბურ მეტრ გაზს მივიღებთ. ეს ჩვენი საერთო მოხმარების დაახლოებით 15 პროცენტია.

თუმცა გაითვალისწინეთ, რომ შაჰდენიზის ხელშეკრულება 1999-2000 წლებშია დადებული. შესაბამისად, საქართველოში მაშინდელი გაზის მოხმარება და ბაზარი გაცილებით პატარა იყო. 2001 წელს ჩვენ 800 მილიონი კუბური მეტრი გაზი მოვიხმარეთ, მაშინ როცა 2006 წელს განაცხადი 2 მილიარდ კუბურ მეტრზე გვაქვს გაკეთებული.

ამასთან, თუ ადრე შაჰდენიზის გაზი ჩვენთვის საკმარისი იყო, ახლა გვაქვს პრეტენზია, რომ აზერბაიჯანიდან გაცილებით მეტი გაზი შევიძინოთ. ამაზე მოლაპარაკებები ბოლო ორი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. გავითვალისწინოთ, რომ აზერბაიჯანსაც გაზის დეფიციტი აქვს, თურქეთიც ელოდება აზერბაიჯანულ გაზს. როდესაც საქმე ასეთ გიგანტურ პროექტებს ეხება, მოლაპარაკებები ბუნებრივია დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს. აგვისტოს შუა რიცხვებში ველით, რომ თურქული და აზერბაიჯანული მხარეები საბოლოოდ წარმოგვიდგენენ თავის წინადადებებს. სავარაუდოდ, პროცესი ჩვენთვის დადებითად გადაწყდება.

**- რა არის ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის სტრატეგიული მნიშვნელობა?**

- გაზი მთელს მსოფლიოში სტრატეგიული თემა გახდა. თუ ადრე რუსული გაზი 45 დოლარი ღირდა, ახალი წყაროების ძიება კი აქტუალური თემა სულაც არ იყო, წელს დავინახეთ, რომ გაზი 110 დოლარამდე გაძვირდა და მსოფლიომ გაზის რესურსების დივერსიფიკაციაზე დაიწყო ზრუნვა. ფასების ზრდის პარალელურად მოხმრებაც იზრდება.

ამასთან, კიოტოს პროტოკოლის მიხედვით, ევროპის ქვეყნები ვალდებულები არიან ატმოსფეროში სასათბურე გაზის ემისია შეამცირონ. ამიტომ ბევრი ინვესტორი, რომელიც ადრე ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის ქვანახშირს იყენებდა, დღეს ბუნებრივი აირის მოხმარებაზე გადადის.

ამიტომაც ჩვენს მეზობელ ქვეყანაში გაზის საბადოს არსებობა ჩვენთვის, თურქეთისთვის და ევროპისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი გახდა.

**- ახალი ორგანიზაციის რეგულირების სფერო ნავთობის სექტორიც უნდა იყოს...**

- ამჟამად საქართველოში სალიცენზიო ბლოკებზე კონტრაქტორები მუშაობენ, თუმცა რაიმე დიდი აღმოჩენა ნავთობის სფეროში არ გვაქვს. კანარგოს ჰქონდა წარმატებები ნორიოს სალიცენზიო ბლოკზე. იმედები არის.

საქართველოს ნავთობის ყველაზე დიდი მოპოვება 80-იან წლებში გვქონდა. შემდეგ მოპოვება შემცირდა.

საერთოდ ნავთობის მოპოვება ძალიან თავისებური დარგია. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ანუ გაბურღო თუ არა, წლებია საჭირო.

მაგალითად, შავი ზღვის შელფი პერსპექტიულ ზონადაა მიჩნეული. ახლა იქ სადაზვერვო სამუშაოებს ანადარკოს კონსორციუმი ახორციელებს. ალბათ წლის ბოლომდე ისინი კონკრეტულ წინადადებას წარმოგვიდგენენ, თუ როდის დაიწყებენ ბურღვას შავი ზღვის შელფზე.

გავითვალისწინოთ, რომ ყველაფერთან ერთად, რისკის ფაქტორს შავი ზღვის შელფის სიღრმეც ზრდის. ეს არ არის კასპიის ზღვა, სადაც ნავთობის მოპოვება 150-200 მეტრზე შეიძლება. შავი ზღვის შემთხვევაში ეს - 1200-1300 მეტრია.

კიდევ ერთი ფაქტი: აზერბაიჯანში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსაბადოს დამუშავება და მოლაპარაკებები 1994 წელს დაიწყო. ჯეიჰანში ნავთობის ჩასვლას 12 წელი დასჭირდა.

ნავთობის მოპოვება ძალიან სარისკო საქმეა. სტატისტიკურად, მსოფლიოში შვიდი ჭაბურღილიდან ერთმა თუ გაამართლა - კარგი ვარიანტია. იყო შემთხვევები, როცა 10-12 ჭაბურღილი იქნა გაბურღილი და ვერაფერი მიიღეს. ცნობილი ფაქტია ჩრდილოეთ ზღვის ისტორია. იქ 10-12 ჭაბურღილი უშედეგოდ გაბურღეს, ინვესტორები უკვე გამოდიოდნენ, როცა იმ ზონაში ისეთი რაოდენობის ნავთობი აღმოჩნდა, რომ დღეს მსოფლიოს ინტენსიურად ამარაგებს.

**- იქნებ განვმარტოთ საქართველოს ნავთობის და გაზის სფეროში "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის", ენერგეტიკის სამინისტროს და "ნავთობის და გაზის მარეგულირებელი სააგენტოს" კომპეტენციები?**

- ენერგეტიკის სამინისტროს კომპეტენცია ენერგეტიკული პოლიტიკის და სტრატეგიის განსაზღვრაში მდგომარეობს. რაც შეეხება "ნავთობის და გაზის მარეგულირებელ სააგენტოს", მათი ფუნქცია ინვესტორებთან მოლაპარაკებების წარმოება, პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების გაფორმება, ინვესტორებთან კომერციული მოლაპარაკებების წარმოებაა და ა.შ.

რაც შეეხება ჩვენს ახალ ორგანიზაციას, მისი ფუნქცია-ვალდებულება მილსადენის ოპერირების და ნავთობის ყიდვა-გაყიდვის კომერციულ ნაწილში ექსპერტიზა იქნება, ასევე ხელშეკრულებების მონიტორინგი. ანუ ეს იქნება, ორგანო, რომელიც ამ სექტორში ქვეყნის საჭიროებას განსაზღვრავს და რეალურად ახორიელებს ენერგეტიკის სამინისტროს დონეზე დგეგმილ ღონისძიებებს.

**- დაბოლოს, უკვე გაცვეთილი კითხვა: იყიდება მაგისტრალური გაზსადენი?**

- გამორიცხულია. ეს ფრაზა სალაპარაკო ლექსიკონიდან საერთოდ უნდა ამოვიღოთ. ნავთობის და გაზის დარგი იმდენად გავაძლიერეთ, რომ მაგისტრალის გაყიდვის საჭიროება აღარ არსებობს.

## დავით იმედაშვილი - კიევის "დინამოში"



C2

## დასრულდა ეს ამბავი...



C3

## "ჰონდა 007" გაფრინდა



C4

### მათე ღვინიანიძე - "მიუნხენ 1860"-ში



საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი და ყოფილი მოსკოვის ლოკომოტიველი მათე ღვინიანიძე გერმანიის მეორე ბუნდესლიგის კლუბ "მიუნხენ 1860"-ში გააგრძელებს კარიერას. 19 წლის ქართველმა მცველმა გერმანულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ღვინიანიძის დებიუტი ამ ორი თვის წინ შედგა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. მან მონაწილეობა მიიღო გერმანიის ქალაქ ალტენკირხენში გამართულ ამხანაგურ მატჩში, რომელშიც საქართველოს ნაკრები ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან 1:3 დამარცხდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, "მიუნხენ 1860"-ში ქართველ ფეხბურთელს რეკომენდაცია გაუწია ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა.

### ქარელიშვილი ევროპულ რინგს მეხუთე ადგილით დაემშვიდობა

პლოვდივში მიმდინარე მოკრივეთა XXXVI ევროპის ჩემპიონატის მეშვიდე დღეს ქართველთაგან რინგზე მხოლოდ რევაზ ქარელიშვილი გავიდა. 75 კგ წონით კატეგორიაში ორი გამარჯვების შემდეგ ქარელიშვილმა მეოთხედფინალური მატჩი 15:38 დათმო უკრაინელ ალექსანდრ უსიუკთან და ჩემპიონატი მეხუთე ადგილით დაასრულა.

### კალაძე უკვე მილანშია

საქართველოს ნაკრების კაპიტანი და იტალიური "მილანის" მცველი კახა კალაძე ერთ-ერთი პირველია, ვინც არდადეგების შემდეგ კლუბს დაუბრუნდა და სეზონისთვის მზადებას იწყებს. ქართველ მცველს იტალიელი ჟურნალისტები შეხვდნენ. კახამ მცირე კომენტარი გააკეთა იტალიაში მომხდარ საფეხბურთო სკანდალთან დაკავშირებით, რომლის გამოც "მილანი" მომავალ სეზონს 15-ქულიანი დეფიციტით დაიწყებს.

"დიდი უსამართლობა მოხდა. "მილანი" ასე მკაცრად არ უნდა დასჯილიყო. ჩვენი გუდი მაქინაციებში გარეული არ ყოფილა და არც უნდა დასჯილიყო. თუმცა, თუ "მილანის" აპელაცია არ დააკმაყოფილეს, იძულებული ვიქნებით სასჯელს შევურიგდეთ. ისე კი, ჩემპიონობაში არც ეს შეგვიშლის ხელს. პირიქით: ამ ვითარებაში ჩემპიონის ტიტულის მოგება უფრო საინტერესო და პრესტიჟულია", - განაცხადა კალაძემ.

ახლა რაც შეეხება საფეხბურთო სკანდალს. მოგეხსენებათ, 22 ივლისს პროცესი უნდა განახლდეს. ოთხი კლუბი სასჯელის შემსუბუქებას ითხოვს. "მილანის" მესვეურები სააპელაციო სასამართლოსგან სასჯელის გაუქმებას მოითხოვენ, "ლაციო" და "ფიორენტინა" - სერია A-ში დაბრუნებას, თუნდაც 15-ქულიანი დეფიციტით. ყველაზე მოკრძალებული საჩივარი კი "იუვენტუსმა" შეიტანა. ტურინული კლუბი სერია B-ში დაქვეთებას არ აპროტესტებს. "ბებერი ქალბატონის" მესვეურებს სურთ, რომ ქვედა დივიზიონში მაინც არ ჩამოაკლონ ქულები. შეგახსენებთ, რომ "იუვენტუსმა" სეზონი 30-ქულიანი დეფიციტით უნდა დაიწყოს.

თუმცა, არ იფიქროთ, რომ სასამართლო მხოლოდ ამ ოთხეულის აპელაციას განიხილავს. პირველადი განაჩენით პროკურატურაც უკმაყოფილო დარჩა. კერძოდ, პროკურორი სტეფანო პალაცი, რომელიც ამ საქმეში ბრალდების მხარეს წარმოადგენს, მიიჩნევს, რომ "მილანი" მსუბუქად დაისაჯა და სააპელაციო სასამართლოსგან მოითხოვს ამ კლუბის სერია B-ში დაქვეითებას. მოკლედ, ყველაფერი შაბათს, 22 ივლისს უნდა გადაწყდეს. სააპელაციო სხდომა იტალიის დროით დილის 9 საათზე დაიწყება.

### ასათიანი კვლავ სიმბოლურ ნაკრებშია

ოთხშაბათს გამართული ორი თამაშით დასრულდა რუსეთის ჩემპიონატის მორიგი ტური. რუსულმა სპორტულმა მედიამ ტურის შედეგები შეაჯამა და სიმბოლური ნაკრები დაასახელა. უკვე ტრადიციად იქცა, რომ მოსკოვის "ლოკომოტივის" ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი ყოველ ტურში ხვდება სიმბოლურ ნაკრებში. გამონაკლისი არც ამჯერად მომხდარა. თუმცა, თუ გასული ტურის სიმბოლურ ნაკრებში ასათიანთან ერთად დავით მუჯირიც მოხვდა, ამჯერად მალხაზი ერთადერთი ქართველია, ვინც რუსი ჟურნალისტების კეთილგანწყობა დაიმსახურა.

### კოკაი შეაჩერეს

ადრე თუ გვიან ყველაფერი კარგი სრულდება. ივლისის ბაშოზეც ასე მოხდა: ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია ასპარეზობის მე-12 დღეს ტამანოშიმასთან დამარცხდა.

ტამანოშიმა კოკაისთვის მეტად უხერხული მეტოქეა, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს. თანაც ივლისის ბაშოსთვის ტამანოშიმა განსაკუთრებულად მოემზადა. ასე რომ, კოკაის მარცხი მოულოდნელობად არ უნდა ჩაითვალოს. ამჟამად ქართველი გოლიათის ანგარიშზე 8 გამარჯვება და ოთხი მარცხია, რაც მას ბაშოს ბოლოს დადებითი ბალანსის გარანტიას აძლევს. მომავალ თვეში, როდესაც სუმოისტთა ახალი რეიტინგი (ბანძუკე) გამოცხადდება, კოკაი აუცილებლად წაიწევს წინ.

დღეს ცაგურია მორიგ ორთაბრძოლას გამართავს. მისი მეტოქე იქნება დასავლეთ დივიზიონის ძლიერი სუმოსიტი სეკივაკე კოტომისუკი, რომელსაც ამ ბაშოზე, კოკაის მსგავსად, 12 ბრძოლიდან 8 აქვს მოგებული. თუ კოკაიმ რანგით გაცილებით ძლიერი სუმოისტის დამარცხება შეძლო, ეს მას სარეიტინგო ქულებს შემატებს.

# ერთი ნაბიჯი ელიტამდე

პორტუგალიაში დასრულდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრები 20 წლამდე გუნდებს შორის. წარმატებას მიაღწია საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც ნახევარფინალის საგზური მოიპოვა და თუ ფინალსაც უწია, მომავალ ტურნირზე ელიტურ A ჯგუფში იასპარეზებს.

გუნდის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ ჩვენი გუნდისთვის ეს უკვე ღირსეული შედეგია, მაგრამ რაკი ელიტამდე ერთი ნაბიჯი რჩება, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

"სამწუხაროდ, ტურნირის წინ გარკვეული პრობლემები გვქონდა, რადგან ერთი თვით ადრე შევიკრიბეთ და მხოლოდ ვარჯიში მოვასწარით. ამხანაგური მატჩები კი ვერ გავმართეთ. ჩვენი მეტოქეები უკეთ მომზადებულნი ეწვივნენ პორტუგალიას. პირველ მატჩში ფინეთთან დავმარცხდით - 81:87. ამის შემდეგ გუნდმა თამაშს უმატა და ნახევარფინალშიც გავიდა. გადამწყვეტ მომენტამდე მივედით. საწყენი იქნება, თუ კარგად დაწყებულ საქმეს ბოლომდე ვერ მივიყვანთ. ამიტომ უაღრესად მოტივირებულნი ვართ ნახევარფინალური შეხვედრისთვის", - ამბობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი დავით უსტიაშვილი.

ფინეთთან მარცხის შემდეგ ქართველმა კალათბურთელებმა ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოიპოვეს (ისლანდიასთან, ჰოლანდიასთან, ჩეხეთთან და უკრაინასთან).

ამ გამარჯვებებით ქართველებმა ბურთების კარგი მარაგი შეიქმნეს და, მართალია, ტურის დასკვნით მატჩში პოლონეთთან დამარცხდნენ, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით სლავებს გადაასწრეს და ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს.

ჩემპიონატზე შთამბეჭდავად გამოიყურებიან გუნდის ლიდერები გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი გამყრელიძე და რევაზ დიდია. ცინცაძე და სანიკიძე ტურნირის საუკეთესო სნაიპერებს შორის მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. საუკეთესო ასისტენტების ნომინაციაში მეორეა გიორგი გამყრელიძე. მოხსნებში მეოთხე ადგილზეა ვიქტორ სანიკიძე. ცინცაძემ გუშინ პოლონეთთან მატჩში 29 ქულა შესძინა თავის გუნდს და ტურის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიგო. სანიკიძის ანგარიშზე 14 ქულაა. აღსანიშნავია, რომ დასკვნითი, მეოთხე მეოთხედის წინ ანგარიში თანაბარი იყო და ჩვენებმა მხოლოდ ბოლოს მისცეს თავს მოდუნების უფლება. იმისთვის, რომ პოლონეთს ჩვენთვის გაესწრო, მათ 16 ქულის სხვაობით უნდა მოეგოთ. ამ 16-ქულიან ზღვარს საქართველოს ნაკრები ბოლომდე აკონტროლებდა და მხოლოდ დასკვნით მეოთხედში, როცა ანგარიში საყაიმო იყო, თავს მოდუნების უფლება მისცა. საბოლოოდ საქართველოს ნაკრები - 73:85 დამარცხდა, მაგრამ სასურველ მიზანს მიაღწია.




*სანიკიძემ ლიდერობა ითავა.*

## ვიერი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს

იტალიური "სამპდორიას" ხელმძღვანელთა განცხადებით, კლუბში ახლახან გადაბარგებული კრისტიან ვიერი საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე ფიქრობს.

33 წლის იტალიელი ფორვარდი მოტივაციის არქონას უჩივის. ამჟამად ვიერი მუხლის ტრავმას მკურნალობს, რის გამოც "სკუადრა აძურასთან" ერთად ვერ გაემგზავრა გერმანიაში და, შესაბამისად, ვერც მსოფლიო ჩემპიონობა იზეიმა. გენუის "სამპდორიასთან" კრისტიან ვიერის ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

## კუიტი 20 მილიონი ღირს

ჰოლანდიელი თავდამსხმელის დირკ კუიტის აგენტმა ფეხბურთელის პოტენციურ მყიდველებს გააქტიურებისკენ მოუწოდა.

"ფეიენოორდის" ფორვარდით ინგლისური კლუბები - "ლივერპული" და "ნიუკასლ იუნაიტედი" ინტერესდებიან. თუმცა, მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზში არ შესულა, ვინაიდან ჰოლანდიელის სანაცვლოდ 20 მილიონი ევროს გადახდა არც ერთ გუნდს არ სურს.

"ფეიენოორდის" მიერ ნათხოვნი 20 მილიონი ინგლისელებს ებევრებათ. თუ ისინი ვერ შეთანხმდებიან, მაშინ ჩემი კლიენტი ჰოლანდიაში დარჩება", - განაცხადა კუიტის აგენტმა რობ იანსენმა.

## "რეალი" არ ჩერდება

მომდევნო სეზონიდან ტურინის "იუვენტუსის" მსოფლიო ჩემპიონი, მცველი ფაბიო კანავარო და ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი მადრიდის "რეალში" ითამაშებენ. ესპანური პრესის ცნობით, ორივე ფეხბურთელი "სამეფო გუნდს" 20 მილიონი ევრო დაუჯდა.

თუმცა, გუნდი ამაზე არ ჩერდება და ზაფხულის სატრანსფერო სეზონში მადრიდის "რეალი" კიდევ სამი ფეხბურთელით აპირებს გაძლიერებას.

"ჩვენი მიზანი ხუთი ახალი მოთამაშის დამატება იყო. ორი უკვე შევიძინეთ. კიდევ სამის გადაბირებას ვაპირებთ. საჩქარო არაფერია. ჯერჯერობით კონკრეტულად ვერ ვიტყვი, ვისზეა საუბარი, თუმცა სამივე მათგანი ჩვენს ახალწვეულებზე - კანავაროსა და ემერსონზე არანაკლებ გამოცდილი იქნება", - განაცხადა "სამეფო გუნდის" იტალიელმა თავკაცმა ფაბიო კაპელომ.

## სქოულზი დაბრუნდა

მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი პოლ სქოულზი ვარჯიშს დაუბრუნდა და ახალის სეზონისთვის მზადებას შეუდგა.

"ოპტიმალური ფორმისგან შორს ვარ, თუმცა მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. მიხარია, რომ დავბრუნდი. მკურნალობის პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და ამ ხნის მანძილზე ბურთს საერთოდ არ გავკარებივარ", - განაცხადა სქოულზმა.

## რუმინელთა რეკორდი

რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელი მარიუშ ნიკულაე მზად არის სამშობლოში, ბუქარესტის "დინამოში" დაბრუნდეს. ფეხბურთელის კონტრაქტი ბელგიურ "სტანდარდთან" ამოიწურა, თუმცა ბელგიელები თავდამსხმელის დატოვებას აღარ აპირებენ. ნიკულაეს განცხადებით, თუ სხვა უცხოური კლუბებიდან უფრო სარფიანი წინადადებით არ მიმართავენ, ის "დინამოს" შეუერთდება. ეს უკანასკნელი რუმინელ თავდამსხმელს ხელფასის სახით სეზონში 450 ათას დოლარს სთავაზობს, რაც რუმინეთის ჩემპიონატისთვის სარეკორდო თანხაა.

ბუქარესტის "დინამოში" ნიკულაე 1996-2001 წლების სეზონში თამაშობდა, რის შემდეგაც ლისაბონის "სპორტინგში" გადავიდა.

## ინგლისი 2018 წლისთვის იბრძვის

"როიტერის" ინფორმაციით, ინგლისი მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად იბრძვის.

დიდი ბრიტანეთის სპორტის მინისტრის რიჩარდ კერბონის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ მუნდიალი ფეხბურთის სამშობლოში ჩატარდეს. 1966 წელს ინგლისი ერთხელ უკვე მასპინძლობდა მსოფლიო პირველობას. იმ წელს მასპინძლებმა პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მოიპოვეს ოქროს მედლები.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2012 წლის ოლიმპიური თამაშები ინგლისის დედაქალაქ ლონდონში გაიმართება.

## კოული "ჩელსიშია"

ბრიტანული პრესის ცნობით, ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" მცველი ეშლი კოული უახლოეს დღეებში ოფიციალურად გააფორმებს კონტრაქტს ლონდონის "ჩელსისთან".

ინგლისელი მცველი "არისტოკრატებთან" ხუთწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. მისი წლიური ხელფასი კი 5 მილიონი ფუნტი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონში აბრამოვიჩის კლუბი "არსენალის" ფეხბურთელთან ფარული მოლაპარაკების გამო დაჯარიმდა. ამჯერად "ჩელსიმ" სკანდალისთვის თავის არიდება ამჯობინა და კოულის კონტრაქტში ხსენებულ 16 მილიონ ფუნტს სრულად გადაიხდის.

## "მილანს" დროგბა ექვირა

იტალიური "მილანის" ხელმძღვანელობა კოტ-დ`ივუარისა და ლონდონის "ჩელსის" თავდამსხმელით დიდიე დროგბათი დაინტერესდა. თავის მხრივ, "არიტოკრატები" აცხადებენ, რომ აფრიკელი ფეხბურთელი იმ შემთხვევაში გაიყიდება, თუ მასში 20 მილიონ ფუნტს გადაიხდიან.

გავრცელებული ინფორმაციით, "როსონერიმ" ამ თანხის გადახდაზე უარი თქვა და ახლა "ჩელსისთან" არგენტინელი ერნან კრესპოს თაობაზე აწარმოებს მოლაპარაკებას.

## კამერუნი ბარეზის იწვევს

კამერუნის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატად ორ იტალიელს მოიაზრებს. იტალიური პრესის ცნობით, "ლომების" გაწვრთნის წინადადებით "მილანის" ყოფილ ფეხბურთელს, ლეგენდარულ ფრანკო ბარეზისა და ანჯელო კოლომბოს მიმართეს. საბოლოო პასუხი ჯერჯერობით არც ერთ მათგანს არ უთქვამს.

გაზაფხულიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ნაკრები დატოვა პორტუგალიელმა სპეციალისტმა არტურო ჟორჟემ, კამერუნელები ახალი მწვრთნელის ძიებაში არიან.

# გიგიაძე და ბურდული "კრივბასში" დარჩნენ

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატს, უკრაინის "კრივბასის" კაპიტანსა და თვადამსხმელს, ვასილ გიგიაძეს ახალი გუნდის ძებნა აღარ მოუწევს. რამდენიმე დღის წინ "კრივბასი" ბანკროტად გამოცხადდა, ამ გუნდის მეპატრონეებმა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაში საჭირო საბანკო გარანტიები ვერ წარადგინა და ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, გუნდი პირველ ლიგაში დააქვეითეს. შესაბამისად, მისმა ფეხბურთელებმაც ახალი გუნდების მოძიება დაიწყეს. გიგიაძისთვის კლუბი თავად "კრივბასის" ხელმძღვანელობამ გამონახა - უეფას თასის შარშანდელი ნახევარფინალისტი, რუმინეთს "რაპიდი". ქართველი ფორვარდი რუმინეთში გაემგზავრა კიდეც კონტრაქტის გასაფორმებლად, მაგრამ ბოლო მომენტში "კრივბასმა" ტრანსფერზე უარი თქვა და თავისი კაპიტანი უკრაინაში გამოითხოვა. გიუგიაძესთან სატელეფონო ინტერვიუც სწორედ ამ ტრანსფერზე შეკითხვით დავიწყეთ.

**- "კრივბასიდან" გაცილებით დიდი ამბიციების, ტრადიციების და ისტორიის მქონე კლუბში გადადიოდი. რატომ აღარ გააფორმე კონტრაქტი, პირობებზე ვერ შეთანხმდით?**

- მეც ძალიან მინდოდა რუმინეთის ამ კლუბში თამაში. "რაპიდის" შემადგენლობაში ვარჯიშებიც ჩავატარე, სასინჯ თამაშსიც მივიღე მონაწილეობა და გუნდის ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გაფომრება შემომთავაზა. პირობები ჩემთვის სავსებით მისაღები იყო როგორც ფინანსური, ისე სხვა თვალსაზრისით. "რაპიდი" "კრივბასსაც" უხდიდა იმ სატრანსფერო თანხას, რომელიც თავად უკრაინულმა კლუბმა დააწესა. საბოლოოდ, უკრაინელებმა უარი თქვეს ჩემს გასხვისებაზე და გუნდში დამაბრუნეს. მიზეზი არ უთქვამთ - მითხრეს მხოლოდ, რომ "რაპიდთან" პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. ძალიან გული დამწყდა, რომ "რაპიდში" ვერ გადავედი.

**- უკვე გამოცხადებული იყო, რომ "კეივბასი" პირველ ლიგაში დააქვეითეს. როგორც ვიცი, შენს გარდა, ლადო ბურდულმაც დატოვა ეს გუნდი და კიევის "არსენალში" გადასვლას აპირებდა. დღეს რა მდგომარეობაა?**

- მართლაც, კლუბის მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ ფინანსები აღარ ჰქონდათ და გუნდის შენახვას ველარ მოახერხებდნენ. მათ მიმართეს კიდეც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას ამ განცხადებით, რის შემდეგაც "კრივბასი" პირველ ლიგაში დააქვეითეს და ჩვენ ახალი გუნდის ძიება დავიწყეთ. ეს ხუთი დღის წინ მოხდა. თუმცა, შემდეგ გაირკვა, რომ მოინახა ახალი სპონსორი, რომელმაც ფედერაციის ანგარიშზე საგარანტიო თანხა - თუ არ ვცდები, 5 მილიონი დოლარი შეიტანა. შესაბამისად, ფედერაციის აღმასკომმა მიიღო უმაღლეს ლიგაში ჩვენიო დაბრუნების გადაწყვეტილება. ყველა ფეხბურტელი დაგვაბრუნეს, მათ შორის, ლადო ბურდულიც, რომელიც კიევში იყო და ადგილობრივ "არსენალთან" კონტრაქტის გაფორმებას აპირებდა. ამ გუნდში თამაშობს კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე და ნაკრების წევრი, ჯაბა კანკავა. ჩემპიონატისთვის მზადებას განვაგრძობთ. პირველი ტური სამ დღეში გაიმართება - 23 ივლისს გასვლითი შეხვედრა გვაქვს დონეცკში, ადგილობრივ "შახტიორთან".



**- ვინ არის გუნდის ახალი მეპატრონე?**

- ეს ინფორმაცია ფეხბურთელებისთვის ჯერ არ არის ცნობილი. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ყველა დავალიანება გასტუმრებული აქვთ და ახალი ფეხბურთელებიც მოიყვანეს. რაც სეეხება ლადო ბურდულს, მას ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და მომდევნო სეზონს იგი "კრივბასში" ჩემთან ერთად გაატარებს.

**- უკრაინაში რამდენიმე საკმაოდ მაღალი კლასის გუნდი გაკეთდა. კიევის "დინამოზე" და "შახტიორზე" არც ღირს საუბარი. დონეცკის "მეტალურგში", სადაც ჩვენი დემეტრაძეც მივიდა, დიდი კაპიტალი ჩაიდო, იგივე შეიძლება ითქვას დნეპროპეტროვსკის "დნიპროზე" და კიდევ რამდენიმე გუნდზე. ამის გათვალისწინებით, რა მიზანი შეიძლება დაისახოს "კრივბასმა" მომავალ სეზონში?**

- ძნელი სათქმელია. როგორც გითხარით, ჯერ არც ვიცით, თუ ვინ არის გუნდის ახალი მეპატრონე. ჩემთვის ცნობილია, რომ ხვალ ან ზეგ გვექნება მასთან შეხვედრა, სადაც ვინაობასაც გავიგებთ და იმ მიზნებსაც დაგვისახავენ, რომლის მიღწევასაც მომავალ სეზონში შევეცდებით.. მართლაც, ბევრი გუნდი გაძლიერდა. თქვენს მიერ ჩამოთვლილების გარდა, სერიოზული შევსება მიიღეს და დიდი ამბიციები ექნებათ ხარკოვის "მეტალისტს", "ილიჩოვეცს". კონკურენცია ძალზე მაღალი იქნება, თუმცა, როგორც გითხარი, ჩვენც გავძლიერდით და მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის არ ვიბრძოლებთ.

**- ფინანსურმა პრობლემებმა მომავალი სეზონისთვის მზადებაში ხელი არ შეგიშალათ?**

- მხოლოდ იმაში, რომ უცხოური საწვრთნელი შეკრება არ გაგვივლია. თუმცა, უკრაინაში მოვემზადეთ და საკმაოდ კარგადაც. პირველი შეკრება იალტაში გავმართეთ, შემდეგ კი ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ. პრინციპში, ყველა ტესტმატჩში გავიმარჯვეთ და მხოლოდ დნეპროპეტროვსკში, ადგილობრივ "დნეპრთან" დავმარცხდით. მანამდე მოვუგეთ ჯაკობიას "მეტალისტს", "ილიჩოვეცს", "მარიუპოლს". გოლები მეც გავიტანე და ლადო ბურდულმაც.

**- რამდენად გარანტირებული გაქვთ ძირიტად შემადგენლობაში ადგილი შენ და ბურდულს?**

- ამის პრობლემა არ გვექნება, თუ, ღმერთმა დაგვიფაროს, ტრავმებმა არ შეგვიშალა ხელი. მე გუნდის კაპიტანი ვარ და გუნდის ხელმძღვანელობა ნდობას მიცხადებს, ლადოც მაღალი ავოტრიტეტით სარგებლობს და იგი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

**- უკრაინის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ითამაშა. ეს გუნდი კი საქართველოს ნაკრების მეტოქეა შესარჩევ ციკლში. როგორ შეაფასებდი შანსებს?**

- მოხვდე მსოფლიო ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდში, მართლაც უდიდესი მიღწევაა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიცაა უკრაინა. თუმცა, ალბათ დამეთანხმებით, რომ უკრაინის ნაკრებს გერმანიაში ნამდვილად არ უჩვენებია რაღაც განსაკუთრებული ფეხბურთი. ამ ქვეყნის საფეხბურთო შეფობას ისევ დიდი ამბიციები აქვს. გუშინ გამოქვეყნდა გრიგორი სურკისის ინტერვიუ, სადაც უკრაინის ფეხბურტის ფედერაციის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მისი გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე მოხდება. მე კი ვფიქრობ, რომ ამის შანსი უკრაინის ნაკრებს საქართველოსაზე მეტი ნამდვილად არ აქვს.

**- შენ ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებში გამოგიძახა და ახალი ზელანდიის წინააღმდეგ გათამაშა. რამდენად კმაყოფილი დარჩა გერმანელი მწვრტნელი და თავად გაქვს თუ არა იმედი, რომ მომავალ შესარჩევ ციკლში ითამაშებ?**

- ძნელი სათქმელია. ეროვნული ნაკრები ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავს და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ გუნდში თამაშის პატივი მხვდეს წილად. ავსტრია-გერმანიის სეკრებაზე რომ მიმიწვიეს, ტრავმირებული ვიყავი, მაგრამ მაინც გავემგზავრე და ტრავმით ვითამაშე, რის გამოც ჩემი შესაძლებლობების ნახევარიც კი ვერ გამოვავლინე. ტოპმიოლერმა ეს კარგად იცოდა და შეკრების დასრულების შემდეგ, გამომგზავრებამდე, დიდხანს მელაპარაკა. მან მითხრა, რომ მომავალ შესარჩევ ციკლში ჩემი იმედიც აქვს.

# დავით იმედაშვილი - კიევის "დინამოში"

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "ვიტ ჯორჯიას" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი დავით იმედაშვილი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში კიევის "დინამოში" ითამაშებს. ფეხბურთელმა უკრაინული საკლუბო ფეხბურთის გრანდთან გუშინ გააფორმა კონტრაქტი და გუშინვე ამ გუნდის შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა. გთავაზობთ "ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტის გურამ რუხაძის კომენტარს.

- ხელშეკრულება ორი დღის წინ გაფორმდა. კონტრაქტი ხუთწლიანია. რა თქმა უნდა, კონსპირაციას არც ამჯერად დავარღვევ. თუმცა, იმ თანხაზე უფრო სასიხარულოა, რომელიც "ვიტ ჯორჯიამ" იმედაშვილის ტრანსფერში მიიღო, ისაა, რომ ჩვენი კლუბი ადგილობრივ პირობებშიც ახერხებს ფეხბურთელების უმაღლეს დონეზე მომზადებას. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში იმედაშვილი მეორე ფეხბურთელია (ოთარ მარცვალაძის შემდეგ), ვისითაც ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი არა მხოლოდ დაინტერესდა, არამედ გრძელვადიანი კონტრაქტი გაუფორმა.

**- რამდენად შეძლებს იმედაშვილი კიევის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდებას და რამდენად მზად არის ის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ?**

- თუ რა დონეზეა იმედაშვილი მზად, ამაზე ერთი ფაქტი მეტყველებს. გუშინ კიევის "დინამოს" დუბლშემადგენლობას ამხანაგური მატჩი უნდა ჩაეტარებინა ოდესის "ჩერნომორეცთან". "დინამოს" შეფები დამიკავშირდნენ და მთხოვეს, რაც შეიძლება სწრაფად გამეგზავნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გათავისუფლების ფურცელი, რათა ფეხბურთელს ამ ოფიციალურ მატჩში მონაწილეობა



შესძლებოდა. ყველაფერი გავაკეთეთ, მოვასწარით და გუშინ იმედაშვილის დებიუტი შედგა. ვფიქრობ, ის სწრაფად შეძლებს კიევის "დინამოს" ძირითადში ადგილის მოპოვებას. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იმედაშვილი ჯერ კიდევ მაშინ იყო მზად, როცა საქართველოში თამაშობდა. სამწუხაროდ, გინდ ქართველი მწვრთნელი გვყავდეს, გინდ - უცხოელი, ჩვენთან ვითარება არ იცვლება. სანამ ფეხბურთელი კარგ უცხოურ კლუბში არ მოხდება, რაც უნდა კარგად თამაშობდეს, ეროვნულ ნაკრებში არ იწვევენ. ასე იყო მარცვალაძის შემთხვევაში. ასე მოხდა იმედაშვილის შემთხვევაშიც. ვფიქრობ, დათოსთვის ახლა მაინც გაიღება ნაკრების კარი.

**- რამდენად შეეტყობა "ვიტ ჯორჯიას" დაცვის ერთ-ერთი ლიდერის გამოკლება და რა მიზნებისთვის იბრძოლებს გუნდი მომავალ სეზონში?**

- "ვიტ ჯორჯია" ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდია. უეფას თასის პირველი მატჩი ამ ათი დღის წინ ჩავატარეთ საკმაოდ ძლიერ გუნდთან - "არტმედიასთან", რომელიც შარშან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში თამაშობდა. უპირატესობა სლოვაკი ფეხბურთელების მხარეს იყო, მაგრამ "ვიტ ჯორჯიამ" ღირსეულად ითამაშა. მართალია, 0:2 დამარცხდა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. ის მატჩი იმედაშვილის გარეშე ვითამაშეთ. ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 21 წელს არ აღემატებოდა. ეს ნიშნავს, რომ "ვიტ ჯორჯიას" არსებობის ათწლიანი ისტორიის განმავლობაში ასეთი ახალგაზრდული გუნდი ჯერ არ გვყოლია. ჩვენ 53 პროფესიონალი ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც სამ კლუბში არიან გადანაწილებულნი. ასევე გვყავს ბავშვთა გუნდები სამ ასაკობრივ ჯგუფში. ამჟამად თენგიზ სულაქველიძის აკადემიასთან ერთად ახალ პროექტს ვიწყებთ. ერთი სიტყვით, "ვიტ ჯორჯია" ადგილზე არ დგას, ვითარდება. რაც შეეხება მომავალ სეზონს, აუცილებლად მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. სულ მცირე, უეფას ზონაში უნდა მოვხვდეთ.

# ერთგული ნაგაზი

მარი ჭავახიშვილი

იტალიურ "მილანს" წინ მძიმე დღეები ელის - განახლებული სეზონიდან გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე ვერ იასპარეზებს. ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში კი კონკურენტებისთვის 15-ქულიანი ფორის მიცემით დაიწყებს თამაშს. ასეთია აპენინებზე ატეხილ კორუფციულ სკანდალში გახვეული ერთ-ერთი კლუბის ხვედრი.

ოღონდ ეგაა, ტურინის "იუვენტუსისგან" განსხვავებით, რომელიც თითქმის ყველა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, "როსონერის" გემს ჩაძირვა არ ემუქრება. ეს კი, პირველ რიგში, ალბათ "შავ-წითელთა" უპირობო ლიდერის ჯენარო გატუზოს დამსახურებაა, რომელიც სადარაჯოზე დგას და ერთგული ძაღლივით იცავს გუნდს.

მარტო იტალიურ კი არა, მსოფლიო ფეხბურთში ძნელად მოიძებნება ფეხბურთელი, რომელსაც იმდენი მეტსახელი აქვს, რამდენიც გატუზოს - "მარტორქა", "მხეცი", "ერთგული ნაგაზი"... ფეხბურთელი კი არა, ნამდვილი ოთხფეხაა.

ყველა ზემოჩამოთვლილი მეტსახელი 28 წლის იტალიელმა თამაშის იმ ზეაგრესიული მანერისთვის დაიმსახურა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი: ფლანგებზე ბრძოლა, მსაჯებთან კამათი, მეტოქეთათვის თავში უმიზეზოდ წამორტყმა, რაც ძირითადად მსაჯებისთვის შეუმჩნეველი რჩება.

მართალია, "სან სიროს" რჩეული თავისი აგრესიულობით ხშირად უქმნის "მილანს" პრობლემებს, მაგრამ მას უსიტყვოდ პატიობენ, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ როცა "ნაგაზი" ფორმაშია, მოედნის ნახევრის დაცვაზე ნერვიულობა არ ღირს - ჯენაროს ნებისმიერი გუნდის ფორვარდის შეჩერება შეუძლია.

თუ აპენინელთა ხასიათსა და ტემპერამენტს გავითვალისწინებთ, ცოტა არ იყოს, საკვირველია, საიდან აქვს უცხო ტომისთვის დამახასიათებელი მანერები კალაბრიაში დაბადებულ ბიჭს?

გავბედავ და ვიტყვი, რომ "გლაზგო რეინჯერსიდან". სწორედ იქ, შოტლანდიაში, სადაც "მარტორქა" 19 წლისა ჩავიდა, გატუზომ ერთადერთი ადამიანური მეტსახელი შეიძინა - "მამაცი გული". "პერუჯადან" "რეინჯერსში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგებულმა იტალიელმა ნახევარმცველმა უოლტერ სმიტის გუნდში ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა. შოტლანდიაშივე შეიქმნა "ნაგაზმა" ინდივიდუალური იმიჯი - წვერი, ტატუ და შორტიდან მუდმივად ამოჩეჩილი მაისურა, რომლითაც მსოფლიოს ნომერ პირველ უწესო ფეხბურთელს, ინგლისელ პოლ გესქოინს ბაძავდა. არავინ იცის, რა მოხდებოდა, თუ გატუზო მომავალშიც გააგრძელებდა გაზას მიბაძვას, მაგრამ ამ დროს საქმეში დიკ ადვოკაატი ჩაერია.



"რეინჯერსის" სათავეში მისულმა დისციპლინისა და წესრიგის მოყვარულმა ადვოკაატმა ჯენარო გატუზო სკამზე დასვა. ჰოლანდიელი სპეციალისტი არჩევანის წინაშე დადგა - მოედანზე მყოფი ორი ფეთქებადი ფეხბურთელიდან - გატუზო-გაზა - ერთი უნდა აერჩია. გა-გას დუეტიდან ადვოკატიის არჩევანი ინგლისელზე შეჩერდა.

ნისლიანი გლაზგო ისე დატოვა, რომ ერთადერთი, მაგრამ მის ცხოვრებაში ყველაზე ტკბილი მოგონება დარჩა - მონიკა, რომელიც მომავალში მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა.

ბრიტანეთიდან აპენინებზე დაბრუნებულს წინ დიდი წარმატება ელოდა - ჯერ "სალერნიტანა", მერე "მილანი", იტალიის ეროვნული ნაკრები... სკუდეტო, ქვეყნის თასი, ჩემპიონთა ლიგის თასი, მსოფლიო თასი... სამწუხაროდ, გასულ კვირას გატუზოს წარმატებულ სვლას წერტილი დაუსვა იტალიის პროკურორის გადაწყვეტილებამ, როცა ამ უკანასკნელმა "მილანს" ვერდიქტი გამოუტანა.

ბევრი ვარსკვლავისგან განსხვავებით, ჯენარო გატუზომ "სან სიროდან" წასვლას "მილანის" ერთგულება ამჯობინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "როსონერის" ბევრი არაფერი დაუკარგავს.

# დასრულდა ესე ამბავი...

## ზიდანი სამი დღე იმუშავებს, მატერაცი ორი მატჩით დაისვენებს

მაშ ასე, ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციამ "საუკუნის კონფლიქტად" წოდებულ მატერაცი-ზიდანის ისტორიას განაჩენი გამოუტანა.

არც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის გადათამაშებაზე და არც ჩემპიონებისთვის თასის ჩამორთმევაზე ფიფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე არაფერი უთქვამთ.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის 110-ე წუთზე მომხდარი სკანდალური ინციდენტის მონაწილეები უმნიშვნელოდ დაისაჯნენ. საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ექს-კაპიტანი ფიფამ სამდღიანი საზოგადოებრივი სამუშაოთი და 7,5 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა. ზიდანის მაპროვოცირებელ მარკო მატერაცის კი მიესაჯა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია თავისი ხუთიათასფრანკიანი ჯარიმით.

"იმის გამო, რომ ზინედინ ზიდანმა სანაკრებო კარიერა დაასრულა და სასჯელის სახით სამმატჩიან დისკვალიფიკაციას ვეღარ მოიხდის, დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით, ფეხბურთელი ფიფას ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში სამი დღის განმავლობაში იმუშავებს ბავშვებთან და ახალგაზრდებთან", - ნათქვამია ფიფას დისციპლინარული კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში.

9 ივლისიდან დღემდე ფრანგის საქციელი მსოფლიო პრესის ფურცლებზე ყოველდღიურად შუქდებოდა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ამბავმა თვით იტალიელთა ჩემპიონობის ამბავიც დაჩრდილა.

რატომ დაარტყა ზიდანმა მატერაცის? რა უთხრა მატერაციმ ზიდანს? - აი, კითხვები, რომელზე პასუხიც პლანეტის ყველა მცხოვრებს აინტერესებდა.

ინციდენტის მეორე დღესვე უამრავი ვერსია გაჩნდა - მატერაცის მხრიდან ზიდანის არაბული წარმოშობის ნათესავების ტერორისტებად მოხსენიებით დაწყებული, ფრანგთა კაპიტნის დისა და დედის შეგინებით დამთავრებული. ამ კითხვებს უპასუხა თავად ზიდანმა, რომელმაც ფრანგული "კანალ პლუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში საჯაროდ განაცხადა, რომ მატერაცის ოჯახის შეგინება არ აპატია.

მოგვიანებით პრესაში გავრცელდა ზეპ ბლატერის განცხადება, რომელშიც ფიფას პრეზიდენტი ზიდანს საუკეთესო ფეხბურთელის წოდების ჩამორთმევით, მატერაცის კი ჯარიმითა და დისკვალიფიკაციით ემუქრებოდა.



ზიდანი და მატერაცი დაისაჯნენ.

გასულ კვირას ავანსცენაზე გამოჩნდა ფრანგი იურისტი მეანე მუხუ, რომელმაც განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის გაუქმებას მოითხოვდა, რადგან, მისი აზრით, ფრანგების კაპიტანი უსამართლოდ გააძევეს. ამ მიზნით, მუხუ საფრანგეთის სასამართლოში სარჩელის შეტანას და ფინალური მატჩის მეოთხე მსაჯის, ესპანელი ლუის მედინა კანტალეხოს დაკითხვას მოითხოვდა. მედინა კანტალეხო სწორედ ის არბიტრია, რომელმაც მატჩის მთავარ მსაჯს ორასიო ელისონდოს მომხდარის თაობაზე აცნობა.

"სასამართლო პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ დამტკიცდება, რომ კანტალეხომ ინციდენტი საკუთარი თვალით კი არა, ვიდეოგამეორების წყალობით შენიშნა, რაც ფიფას წესებს ეწინააღმდეგება", - განუცხადეს მუხუს.

ლუის მედინა კანტალეხომ ყველაფერი საკუთარი თვალით დაინახა.

არსებობდა კიდევ ერთი ვარიანტი. იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდებოდა, რომ მატერაციმ ზიდანი რელიგიურ-ეთნიკურ საფუძველზე შეურაცხყო, იტალიის ნაკრებს სერიოზული დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა.

თუმცა, გაირკვა, რომ ზიდანის პროვოცირებისას მატერაცის ეთნიკური მხარე არ უხსენებია.

დაბოლოს, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, სარდინიაზე მონებივრე იტალიელი პროვოკატორისგან განსხვავებით, გუშინ ციურხში ჩავიდა და ფიფას შტაბბინაში 90 წუთის განმავლობაში პირადად აძლევდა ახსნა-განმარტებებს ფიფას დისციპლინარულ კომიტეტს. იქიდან გამოსული კი უკომენტაროდ გაუჩინარდა შავი "მერსედესით".

# ნახევამდის სამი კვირის შემდეგ

მარი ჭავახიშვილი

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ სამკვირიანი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადადგომა ამჯობინა. ბრაზილიელმა სპეციალისტმა ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტთან რიკარდო ტეიშეირასთან მოლაპარაკების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება.

თუმცა, პარეირას წასვლა მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. პირველი ივლისიდან მოყოლებული, როცა პენტაკამპეონები საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთან დამარცხდნენ და მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშნენ, 150 მილიონი ბრაზილიელი ნაკრების თავკაცის წინააღმდეგ აჯანყდა. გულშემატკივრისთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ ვერ უნდა მოეხერხებინა სელესაოს ჩემპიონატის ფინალში გასვლა მაშინ, როცა ნაკრები, ფაქტობრივად, უმაღლესი კლასის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. ქომაგთა აღშფოთება იმანაც გამოიწვია, რომ მათი საყვარელი გუნდი ჩემპიონის თასს მაშინ გამოეთიშა, როცა მასთან ძალიან ახლოს იყო.

მართალია, პარეირას საქმე დიდი ხნის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მწვრთნელისადმი, რომელმაც ბრაზილიას 12 წლის წინ მსოფლიო თასი მოაგებინა, დიდი პატივისცემისა და რიდის გამო, იგი არ გაათავისუფლეს. უბრალოდ, დაელოდნენ, სანამ თავად განაცხადებდა წასვლის თაობაზე.

"გადაწყვეტილება პარეირას ნაკრებიდან წასვლის თაობაზე ორივე მხარემ ერთობლივად მიიღო. სელესაოსთან ოთხწლიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ მას დასვენება ესაჭიროება. ჩვენ არ შეგვეძლო წინ აღვდგომოდით მის სურვილს", - ნათქვამია კონფედერაციის დიპლომატიურ განცხადებაში.

"ყველაფრის მიუხედავად, ეს სპეციალისტი ჩვენს უდიდეს სიყვარულსა და სიმპათიას იმსახურებს. ეს ხომ ის ადამიანია, რომელმაც 1994 წელს ბრაზილიას მეოთხედ მოუტანა მსოფლიო თასი", - დაამატა კონფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ.

კარლოს ალბერტო პარეირას შემცვლელად ორი კანდიდატი სახელდება - ვანდერლეი ლუშემბურგო და პაულო არტუორი.

პირველი 2000-02 წლებში თავკაცობდა პენტაკამპეონებს, თუმცა, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბრაზილიელთა უსახური გამოსვლის გამო პოსტი დაატოვებინეს. მაშინ ლუშემბურგო შეცვალა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, რომელმაც ბრაზილიის ეროვნული ნაკრები მარტო ფინალურ ეტაპზე კი არა გაიყვანა, მსოფლიო ჩემპიონები გახადა.



პარეირა ნაკრებიდან დაითხოვეს.

რაც შეეხება არტუორის, ის თავის დროზე პერუს ნაკრებსა და რიო დე ჟანეიროს "სან პაულუს" ედგა სათავეში. თუ ტეიშეირამ მასზე შეაჩერა არჩევანი, მაშინ პაულო არტუორის პირველად მოუწევს თავის გამოჩენა საერთაშორისო არენაზე, რადგან მანამდე ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი გახლდათ.

ერთხანს პარეირას შემცვლელად ისევ დიდი ფილი მოიაზრებოდა, თუმცა სკოლარიმ ტეიშეირასთან საუბარიც კი არ ისურვა. ბრაზილიელმა სპეციალისტმა პორტუგალიაში დარჩენა ამჯობინა.

ბრაზილიური ფეხბურთის არსებობის მანძილზე, ისტორიას ერთი შემთხვევაც არ ახსოვს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩავარდნის გამო ნაკრების რომელიმე თავკაცს პოსტი შეენარჩუნებინოს. ბრაზილიელი გულშემატკივრისთვის მუნდიალზე ვიცე-ჩემპიონობაც ჩავარდნაა. ერთადერთი გამონაკლისი ლეგენდარული ტელე სანტანა იყო, რომლის მიერ გაწვრთნილი ბრაზილიელები ესპანეთის 1982 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში "სკუადრა აძურასთან" დამარცხდნენ (იტალიელი პაოლო როსის ჰეთ-თრიქმა ბრაზილიელები მუნდიალს მიღმა დატოვა). მართალია, სანტანას ნაკრების გაწვრთნა 1986 წლის მსოფლიო პირველობისთვისაც მიანდეს, მაგრამ ისევ უშედეგოდ. მაშინ ბრაზილიის ნაკრები მეოთხედფინალიდან გამოვარდა.

# დაივიწყე წარსული!

მადრიდის "რეალი" წინასასეზონო შეკრებას ავსტრიაში მართავს. გუნდის 23 ფეხბურთელთან ერთად გრძელვადიანი უიღბლო პერიოდის შემდეგ ავსტრიაში გაემგზავრა ჯონათან ვუდგეიტიც, რომელიც მოედანს გაათმაგებული ენერგიით დაუბრუნდა.

თავის მხრივ, მადრიდის "რეალის" ახალმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ აღნიშნა, რომ გამოჯანმრთელებული ინგლისელის სახით გუნდს ძლიერი ცენტრალური მცველი ჰყავს.

ესპანელ ჟურნალისტებთან საუბრისას ტრავმამოშუშებულმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ახალ სეზონში აუცილებლად დაამტკიცებს თავის სათამაშო პოტენციალს.

**- როგორ გრძნობთ თავს, საბოლოოდ აღიდგინეთ ფორმა?**

- მადლობა ღმერთს, ტრავმა უკვე აღარ მაწუხებს და თავს 100 პროცენტით გამოჯანმრთელებულად ვგრძნობ. ყოველდღიურად მაქსიმალური დატვირთვით, შეუსვენებლად ვვარჯიშობ. მინდა, რომ განახლებულ სეზონს სრულ მზადყოფნაში შევხვდე. გასულ ორ წელიწადში ბევრი ტანჯვა გადავიტანე. როგორი ამბავია, "რეალში" თამაშობდე და გუნდის შეხვედრებს სკამიდან ადევნებდე თვალს.

**- ლიდსში გატარებული შვებულების შემდეგ მადრიდს დასვენებული დაუბრუნდით?**

- სამშობლოში მართლაც კარგად დავისვენე. მით უმეტეს, რომ გვერდით მყავდა ოჯახი, მეგობრები, ყველა ის ადამიანი, ვისთან ერთადაც თავს კარგად ვგრძნობ. მაგრამ მადრიდზე ფიქრი შვებულების დროსაც არ შემიწყვეტია. მინდოდა, რაც შეიძლება მალე დავბრუნებულიყავი და თანაგუნდელებთან ერთად ვყოფილიყავი. ჩემს ფიზიოთერაპევტს კი, რომელთანაც ჯერ კიდევ "ლიდს იუნაიტედში" თამაშის დროიდან ვმკურნალობ, ყოველდღიურად ვუკავშირდები.

**- "რეალის" შემადგენლობაში მესამე სეზონისთვის ემზადებით. წინა ორთან შედარებით, რა სხვაობაა?**

- პირველ რიგში ის, რომ ახალი იტალიელი მწვრთნელი გვყავს, რომელიც სხვებთან შედარებით აშკარად მკაცრია, თუმცა ეს კარგიცაა. თითოეულ ჩვენგან გააზრებული აქვს, რომ ფეხბურთელებს ხანდახან სიმკაცრეც გვჭირდება. მით უმეტეს, მაშინ, როცა გამარჯვება და რაც შეიძლება მეტი ტიტულის მოგების ამბიცია გაქვს.

**- კაპელოსთან მუშაობის პირველ დღეებში გასახდელში რას ამბობდით?**

- ცუდს არაფერს. მშვენიერი ატმოსფერო იყო. მით უმეტეს, დიდი ხანი იყო, რაც ერთმანეთი არ გვენახა. ფეხბურთელები ერთად ვარჯიშს მოწყურებული ვიყავით.

**- პირადად თქვენს თამაშში წინა ორი სეზონისგან განსხვავებით რას შეცვლიდით?**





- მინდა თამაშზე მაქსიმალურად გადავერთო და წარსული და ტრავმები დავივიწყო. ორი წლის განმავლობაში "რეალის" შემადგენლობაში ძალიან ცოტა მატჩი გავმართე. არ მინდა, რომ წელსაც იგივე გამეორდეს.

**- ბილბაოს "ატლეტიკთან" დებიუტი ალბათ არასოდეს გადავიწყდებათ...**

- ძალიან ბედნიერი ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ გოლის გატანის შემდეგ მწვრთნელმა მოედნიდან გამიყვანა.

**- ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. როგორ ფიქრობთ, თქვენ რომ ყოფილიყავით, მაინც ასე მოხდებოდა?**

- ამაზე ვერ გიპასუხებთ. ერიქსონის გუნდში ორი ბრწყინვალე ცენტრალური მცველი იყო. ინგლისში ყველას სჯეროდა, რომ გერმანიაში ჩემპიონები გავხდებოდით. ახლა ისლა დაგვრჩენია, ახალ მწვრთნელთან სტივ მაკლარენთან ერთად ევროპის თასისთვის ვიბრძოლოთ. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ამაში ჩემს წვლილსაც შევიტან.

**- ჩემპიონატის მიმდინარეობისას დევიდ ბექჰემს თუ ესაუბრეთ?**

- არა. მხოლოდ მესიჯებით ვეხმიანებოდით ერთმანეთს.

**- თქვენი აზრით, ბექჰემი ვაჟკაცურად მოიქცა, როცა ინგლისის ნაკრების კაპიტნობაზე უარი თქვა?**

- რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ, მისთვის ძნელი იყო, მაგრამ დევიდმა ეს ღირსეულად გააკეთა. ის დიდებული კაპიტანი იყო.

## აბონდანსიერი "ბოკადან" წავიდა

არგენტინის ეროვნული ნაკრებისა და "ბოკა ხუნიორსის" მეკარე რობერტო აბონდანსიერი ესპანურ "ხეტაფეში" გადაბარგდა. 33 წლის გოლკიპერი ცხრა სეზონის განმავლობაში იცავდა "ბოკას" ღირსებას. არგენტინელმა "ხეტაფესთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აბონდანსიერის გარდა, ესპანურ გუნდში კიდევ ერთი არგენტინელი - ლუკას მატიას ლიხტი თამაშობს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე აბონდანსიერიმ ნაკრების შემადგენლობაში ხუთი მატჩი გამართა, თუმცა მეოთხედფინალში გერმანელებთან ტრავმა მიიღო, რის გამოც ის ლეო ფრანკომ შეცვალა. არგენტინელები პენალტების სერიაში დამარცხდნენ ბუნდესნაკრებთან და გათამაშებას გამოეთიშნენ.

## კიდევ ერთი რუსი პრემიერლიგაში

ინგლისის პრემიერლიგას კიდევ ერთი "რუსული" კლუბი შეემატა. რუსი მილიარდერის არკადი გაიდამაკის შვილმა ალექსანდრ გაიდამაკმა მთლიანად შეიძინა "პორტსმუთის" აქციების პაკეტი. აქციების 50 პროცენტის მფლობელმა გაიდამაკმა დანარჩენი 50 პროცენტი სერბი მაგნატისგან მილან მანდარიჩისგან გამოისყიდა. "კლუბის კეთილდღეობისთვის გაწეული მანდარიჩის ღვაწლი შეუფასებელია. გპირდებით, რომ მის მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად გავაგრძელებ", - განაცხადა "პორტსმუთის" ახალმა მფლობელმა.

## "დუბლინი" დააქვეითეს

მას შემდეგ, რაც ირლანდიის საფეხბურთო კლუბი "დუბლინი" გათამაშებიდან მოიხსნა, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ ხელახლა შეადგინა ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი. უეფას ოფიციალური საიტის განცხადებით, სეზონის განმავლობაში "დუბლინის" მიერ დაგროვილი ქულები გაუქმებულია.

## ნედვედი არ წავიდა

ტურინული გამოცემა "ტოტოსპორტის" ინფორმაციით, "იუვენტუსის" ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ კლუბის სერია ბ-ში დაქვეითების მიუხედავად, ის სხვაგან არ მიდის. იმავე გამოცემის ცნობით, ჩეხმა ფეხბურთელმა "ბებერი ქალბატონის" ახალდანიშნულ თავკაცს დიდიე დეშამს შეტყობინა, რომ კლუბში დარჩენა და მისი დახმარება გადაწყვიტა. "ბიანკონერის" ელიტაში დასაბრუნებლად იბრძოლებენ "იუვეს" სხვა ლიდერებიც - ალესანდრო დელ პიერო და ჯანლუიჯი ბუფონი.

## "ბაიერი" მცველით გაძლიერდა

ლევერკუზენის "ბაიერმა" ფრანგული "სტრასბურისა" და ტუნისის ნაკრების მცველი კარიმ ჰაგი შეიძინა.

აფრიკელმა ფეხბურთელმა გერმანულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა ტრანსფერის თანხა უცნობია. "ბაიერში" ჰაგი ზაგრების "დინამოში" გადასული იენს ნოვოტნის შემცვლელად მოიაზრება.

22 წლის მცველით გერმანელები მათ ქვეყანაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატისას მოიხიბლნენ. კარიმ ჰაგი "სტრასბურში" ბოლო ორი სეზონის განმავლობაში თამაშობდა. 2005 წელს კლუბთან ერთად საფრანგეთის თასს დაეუფლა.

ლევერკუზენის "ბაიერი" სექტემბრიდან უეფას თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება.

## ოლირი გადააყენეს

ინგლისური "ასტონ ვილას" ხელმძღვანელობამ კლუბის მთავარი მწვრთნელი დევიდ ოლირი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ოლირისთან სამწლიანი თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზი გახდა ფეხბურთელების მიერ გამოთქმული საერთო უკმაყოფილება. "ასტონ ვილას" მოთამაშეებმა ერთ-ერთ ბირმინგემულ გაზეთში გამოაქვეყნეს ღია წერილი, რომელშიც მწვავედ გააკრიტიკეს კლუბის ხელმძღვანელობა და თავკაცი.

პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ოლირის სავარაუდო შემცვლელებად როი აიტკენი, ალან კერბიშლი და მარტინ ონილი მოიაზრებიან.

## ნისტელროოი "ბაიერნში"?

ჰოლანდიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროოიმ მიუნხენის "ბაიერნში" გადასვლაზე თანხმობა განაცხადა.

გერმანული გამოცემა "ბილდის" ცნობით, "ბაიერნის" დირექტორის კარლ-ჰაინც რუმენიგეს განცხადებით, ნისტელროოის "ალიანს არენაზე" უნდა თამაში.

მანამდე "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ უარი განუცხადა მადრიდის "რეალს" ნისტელროოის 14 მილიონ ფუნტად მიყიდვაზე. ინგლისელთა თქმით, ისინი ჰოლანდიელს 22 მილიონ ფუნტ სტერლინგზე ნაკლებად არ შეელევიან.

## "ტორინოს" ვან დერ მეიდე უნდა

სერია ა-ში აღზევებული "ტორინო" ინგლისურ "ევერტონში" მოთამაშე ედვინ ვან დერ მეიდეთია დაინტერესებული.

წარუმატებელი სეზონის მიუხედავად, "ინტერის" ყოფილმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ სიამოვნებით დარჩება ინგლისურ კლუბში. თუმცა, "ტორინოს" პრეზიდენტის ურბანო კაიროს თქმით, კონტრაქტის ხელსაყრელი პირობები და ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი ვან დერ მეიდეს აზრს შეაცვლევინებენ.

## ლუკასი "სელტაში" ითამაშებს

უეფას ოფიციალური საიტის ცნობით, ბრაზილიელმა მცველმა ჯორჯ ლუკასმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ესპანურ "სელტასთან".

22 წლის ლუკასი, რომელსაც ევროპული პასპორტის წყალობით, ლეგიონერთა ლიმიტი არ შეეხო, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბრაზილიური "გრემიოს" ღირსებას იცავდა. 2005 წელს კი იჯარის წესით "ატლეტიკო მინეიროში" გამოდიოდა.

ბრაზილიელ ფეხბურთელს დღეს ჩაუტარდება სამედიცინო შემოწმება, რის შემდეგაც შეუერთდება ახალ თანაგუნდელებს, რომლებიც საფრანგეთში გადიან შეკრებას.

ამ სეზონში ჯორჯ ლუკასი "სელტას" მეორე ახალშენაძენია. მანამდე ესპანელებმა "ვილიარეალიდან" მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე ანტონიო გუაირე დაიმატეს.

პრიმერადივიზიონის გათამაშებაში "სელტა" მეექვსე ადგილზე გავიდა და უეფას თასის პირველ წრეში თამაშის საგზური მოიპოვა.

## ძამბროტა და ტიურამი "ბარსაში"?

კატალონიური "ბარსელონა" იუვენტუსის ორი მცველის - ჯანლუკა ძამბროტასა და ლილიან ტიურამისთვის ბრძოლაში ჩაერთო. "ტურინელებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. ამიტომ რაიმეს განცხადებისგან თავს შევიკავებთ. ჩვენი მიზანია ყველა დეტალი ორშაბათამდე გავარკვიოთ", - განაცხადა კატალონიური კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა. ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯანლუკა ძამბროტას სავარაუდო ფასი 19 მილიონი ევროა, ფრანგი ლილიან ტიურამისა კი - 5 მილიონი.

## "არსენალმა" "ემირატი" დააქაშნიკა

ლონდონის "არსენალის" ფეხბურთელებმა გუშინ პირველად ივარჯიშეს ახლახან გახსნილ კლუბის ახალ, 60-ათასიან "ემირატის" სტადიონზე, რომელიც კლუბს 390 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდა. ახალ სარბიელზე "მეთოფეები" პირველ ოფიციალურ შეხვედრას 22 ივლისს გამართავენ. ლონდონის "არსენალი" დენის ბერგკამპის გამოსათხოვარ მატჩში ამსტერდამის "აიაქსს" უმასპინძლებს. "ბრწყინვალე სტადიონია და, რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ ბრყინვალე გუნდმა უნდა ითამაშოს. ჩვენ გვჯერა, რომ ბევრი შეგვიძლია. წლეულს ინგლისის ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებას ვაპირებთ", - განაცხადა ლონდონის კლუბის ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა.

## ენინ-არდენი ნაკრების ღირსებას დაიცავს

ბელგიელი ჩოგბურთელი ჟიუსტინ ენინ-არდენი Fed Cup-ის გათამაშებაზე იტალიის წინააღმდეგ ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავს. " "როიტერის" ცნობით, მატჩები 16 და 17 სექტემბერს გაიმართება.

## "ჩელსი" ისევ კარლოსზე ფიქრობს

"ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი თანახმაა მოლაპარაკებები განაახლოს მადრიდის "რეალთან" რობერტო კარლოსის თაობაზე. ბრიტანული გამოცემა "მირორის" ინფორმაციით, რუსი ოლიგარქი ამ დათმობაზე 12 წლის შვილის თხოვნით წავიდა. პატარა არკადი აბრამოვიჩი ბრაზილიელი ფეხბურთელის დიდი თაყვანისმცემელია. "არისტოკრატებს" მარცხენა ფლანგზე მოთამაშე რობერტო კარლოსის შეძენა ჯერ კიდევ მაისში უნდოდათ, თუმცა კლუბებს შორის მოლაპარაკება ძალიან მალე შეწყდა. გავრცელებული ინფორმაციით, რომან აბრამოვიჩი მზად არის 4 მილიონი ფუნტი სტერლინგი (დაახლოებით 7,5 მილიონი დოლარი) გადაიხადოს ბრაზილიელი მცველის სანაცვლოდ. თავად ფეხბურთელი საბოლოო პასუხს "სამეფო გუნდის" მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსა და სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩთან შეხვედრის შემდეგ იტყვის.

## მსაჯებს ხელფასი გაუორმაგეს

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ახალ სეზონში ჩემპიონატის მსაჯები გაორმაგებულ ხელფასებს მიიღებენ. "როიტერის" ინფორმაციით, შეხვედრის მთავარი არბიტრი ერთ მატჩში 644 დოლარს, ხოლო თანაშემწეები 450 დოლარს მიიღებენ. ამ გზით ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მსაჯობის ხარისხის ამაღლებას ფიქრობს.

## კორადი ინგლისში ითამაშებს

ესპანური "ვალენსიას" იტალიელი თავდამსხმელი პრემიერლიგის "მანჩესტერ სიტიში" გადაბარგდა. ინგლისურმა კლუბმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 1,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## იანგი კიდევ ოთხი წლით

პრემიერლიგის "ჩარლტონის" კაპიტანმა ლიუკ იანგმა თანაგუნდელ დარენ ბენტს მიბაძა და კლუბთან კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით გაახანგრძლივა. "ჩარლტონის" მთავარ მწვრთნელს იან დოუი ვესაუბრე და მივხვდი, რომ გუნდში დარჩენა მინდოდა", - განაცხადა იანგმა.

## უკრაინელებს სტადიონზე მოწევა აეკრძალათ

უკრაინული "შახტიორის" ოფიციალური სტადიონის "ოლიმპიისკის" ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს არენაზე მოწევა აუკრძალა. ამ მიზნით სტადიონზე მოწევის ამკრძალავი აბრებიც კი დაამონტაჟეს. "ქვეყანის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივ ადგილებში თამბაქოს მოწევა აიკრძალა. სტადიონიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია. ჩვენ კანონმორჩილნი ვართ, ამიტომ არენის ყოველ სექტორში მივუთითეთ, რომ მოწევა აკრძალულია", - განაცხადა "ოლიმპიისკის" დირექტორმა გენადი კალიუშჩუკმა.

## სასაფლაო გულშემატკივრებისთვის

ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბი "ჰამბურგი" სტადიონის პირდაპირ გულშემატკივრებისთვის სასაფლაოს გახსნას აპირებს. გერმანული პრესის ცნობით, სასაფლო "ჰამბურგის" "აოლ არენადას" მთავარი შესასვლელიდან 15 მეტრში იქნება. "გუნდის ბევრი გულშემატკივრისთვის მნიშვნელოვანია სიკვდილის შემდეგაც კლუბთან ახლოს იყოს. სასაფლაო პატარა სტადიონის მსგავსი იქნება", - განაცხადა "ჰამბურგის" პრეზიდენტმა კრისტიან რაიხერტმა. კლუბის ხელმძღვანელობას რამდენიმე ქომაგმა უკვე მიმართა სასაფლაოზე ადგილის გამოყოფის თხოვნით.

## ლუკარელის "ლივორნოში" აღარ უნდა

კრისტიანო ლუკარელიმ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებას მართავს ტურინის "იუვენტუსთან".

"სამწუხაროდ, ლივორნოს" პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ განაცხადა, რომ სხვა კლუბში არ გამიშვებს. თუმცა, აქ დარჩენის მოტივაცია დაკარგული მაქვს. არა მგონია, "ლივორნოს" ჩემი შენარჩუნება უნდოდეს. ძალიან მინდა, კარიერა "იუვენტუსში" გავაგრძელო", - განაცხადა იტალიელმა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ სერია ბ-ში დაქვეითების შემდეგ "იუვენტუსი" გუნდში ისეთი ფეხბურთელების მიყვანას აპირებს, ვინც საფეხბურთო ელიტაში აღზევებაში დაეხმარება. სავარაუდოდ, ტურინელები "ლივორნოს" ლუკარელის სანაცვლოდ ხორვატ მცველ იგორ ტუდორს შესთავაზებენ.

# ჟურნალისტები ჩამოსრიალდნენ მთიდან

19-20 ივლისს უშბამ საკუთარ ფერდობებზე სპეციალურ სლალომში "სვანეთის თასზე" საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, შეჯიბრებისთვის ელფერის მისაცემად და, რა თქმა უნდა, აზარტისთვის, სპორტსმენებთან ერთად მოყვარულებისა და ჟურნალისტებისთვისაც დაეთმოთ ასპარეზი. პირვანდელი ჩანაფიქრი ასეთი იყო, თუმცა, მოგვიანებით სპორტსმენებმა უარი განაცხადეს მონაწილეობაზე.

"როდესაც გვეგონა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით ჩატარდებოდა, თურმე ვცდებოდით, - ამბობს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი მალხაზ უდესიანი, - ადგილზე მისულ შეჯიბრების ორგანიზატორებს, სპონსორებსა და ჟურნალისტებს ტყუილად მოგვიხდა სპორტსმენთა ლოდინი. არც ერთი მათგანი არ გამოჩნდა".

ასე რომ, შეჯიბრება პირვანდელი სახით არ გამოვიდა, თუმცა, არც ჩაშლილა. კომპანია "უშბა დისტილერის" სპონსორობით "სვანეთის თასი" მაინც ჩატარდა - ჩატარდა ჟურნალისტებისთვის!

გადაწყდა კიდეც: დღეიდან "სვანეთის თასს" ყოველწლიურად მხოლოდ ჟურნალისტები გაითამაშებენ.

"სპორტსმენებს შეუძლიათ საკუთარი ფინანსებით საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით მოიქცნენ, მაგრამ იცოდნენ, რომ ჩვენი ყურადღება მოაკლდებათ. დღეის იქით მხოლოდ იმ მოთხილამურეებზე ვიზრუნებთ, რომლებიც საზღვარგარეთ ვარჯიშობენ".

რაც შეეხებათ ჟურნალისტებს, ისინი 16-ნი იყვნენ. მათ შორის ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა "ცხელი შოკოლადის" ჟურნალისტი სანდრო ნავერიანი, გოგონებში კი პირველობა არავის დაუთმო ექსტრემალური ფილმების ფესტივალ "ნიამორის" კორესპონდენტმა ქეთი ახვლედიანმა.

მოთხილამურეები 3,040 მეტრი სიმაღლიდან დაეშვნენ.

# ატლანტიკ სიტი საჩხუბრად ემზადება

გიგა გურასაშვილი

*შაბათ-კვირის გასაყარზე ატლანტიკ სიტი ნახევრად საშუალო წონის მოკრივეთა ჩხუბს უმასპინძლებს. რინგის ერთ მხარეს კრივის მსოფლიოს საბჭოს (WBC) არგენტინელი ჩემპიონი კარლოს ბალდომირი დადგება, მეორე მხარეს - კრივის საერთაშორისო ასოციაციის (IBA) კანადელი ჩემპიონი არტურო გატი. სამხრეთამერიკელისა და ჩრდილოამერიკელის დაპირისპირება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ გასარკვევია, შემთხვევითობა იყო თუ არა წლეულს, 7 იანვარს, ბალდომირის გამარჯვება ამერიკელ ზაბ ჯუდაზე. საუბარია იმ ჩხუბზე, როდესაც არგენტინელმა ჯუდას WBC-ს საჩემპიონო ქამარი მოუგო. და, საერთოდ, ატლანტიკ სიტიში WBC-სა და IBA-ს ქამრები ერთი კაცის ხელში გადავა.*



საჩხუბრად ბალდომირიც მზადაა და გატიც.

არადა, მაშინ, მართლმადიდებლურ შობა დღემდე, ბალდომირს, მისივე ბანაკის გარდა, რეალურ პრეტენდენტად არავინ განიხილავდა. უფრო იმაზე ფიქრობდნენ, "სუპერ ზაბასთვის" (ამერიკელის ზედმეტსახელია) არგენტინელთან ჩხუბს მოთელვითი დატვირთვა ექნება ფლოიდ მეივეზერთან 8 აპრილის ორთაბრძოლის წინო (ზაბ ჯუდა ბალდომირთან წაგების შემდეგ მართლაც შეხვდა მეივეზერს და ისევ თავჩაქინდრულმა დატოვა რინგი. IBF-სა და IBO-ს საჩემპიონო ქამრები კი მეტოქეს გაატანა). გარდა ამისა, ბალდომირის ორთაბრძოლათა ნუსხაც არ გამოიყურება საჩემპიონოდ. 42 გამარჯვება, აქედან 12 ნოკაუტით, 9 წაგება და 6 ფრე, მაგრამ... არგენტინელი არცთუ უიმედოდ გამოიყურება. ჯერ ერთი, 57 ორთაბრძოლიდან მხოლოდ ერთხელ შეძლეს არგენტინელის ნოკაუტში გაშვება. ძლიერი დარტყმის პატრონმა ჯუდამაც ვერაფერი მოუხერხა ბალდომირს. მეორე ის, რომ სამხრეთამერიკელს ბოლო 20 ჩხუბიდან არც ერთი არ წაუგია. ამასთან, გამარჯვებები მოპოვებული აქვს არა მარტო სამშობლოში, არამედ აშშ-ში, იტალიაში, დანიაში, გერმანიასა და ინგლისში. უცხო ქვეყანაში გამარჯვება იოლი არ არის, რადგან პრომოუტერები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ მშობლიური კედლებიდან ტიტული არავის გაატანონ. ერთი სიტყვით, თავიანთი ქვეყნის რჩეულ მოკრივეს სხვადასხვა ხერხებით იცავენ წაგებისგან.

როგორც არ უნდა იყოს, Boardwalk Hall-ის მაყურებელს სულაც ფეხებზე ჰკიდია ამა თუ იმ მოკრივის უწინდელი წარმატებები. მთავარია, მათმა რჩეულმა მოიგოს ორთაბრძოლა. და თუ ჯუდამ წააგო, დიდი ამბავი! ვითარების გამოსასწორებლად სხვაც მოიძებნება. მოკლედ, რევანშის დრო რჩება. ამიტომაცაა, რომ კრივის ამერიკელი (და არა მარტო ამერიკელი) გულშემატკივარი საკუთარი სიამოვნებისთვის ბიუჯეტიდან საკმაო თანხას იღებს. სხვათა შორის, ბევრი მიიჩნევს, რომ გატის უკეთესი შანსი აქვს მოუგოს ბალდომირს. იმასაც ამბობენ, საჩემპიონო ქამარს ხონჩით მიართმევენო.

გატი კანადელია, მაგრამ როდესაც ამერიკელებს თავისიანი არ ჰყავთ საქომაგოდ, კანადელებს გულშემატკივრობენ, რაშიც პირადად მე არაერთხელ დავრწმუნდი სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებზე ჰოკეისტთა შეხვედრებისას.

ერთი სიტყვით, არტურო გატი (40 გამარჯვება, აქედან 31 ნოკაუტით და 7 წაგება) ამერიკელი მაყურებლის ნებიერაა. ამბობენ, საკუთარ თავს ამავე რინგზე მეორედ წაგების უფლებას აღარ მისცემსო. ისეთის, როგორიც იწვნია ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან შარშან, 25 ივნისს, აქვე, ატლანტიკ სიტიში, ამავე დარბაზში Boardwalk Hall-ში.

...არტურო გატის ნახევრად საშუალო წონაში თითზე ჩამოსათვლელი ორთაბრძოლები აქვს ჩატარებული. მანამდე კი უფრო მსუბუქ წონებში გამოდიოდა.

ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან ჩხუბმა არაერთი კითხვა წარმოშვა. ამბობდნენ, გატი საკუთარ თავს ხომ არ გადაახტაო (წონითი კატეგორია და მეტოქის ძალა იგულისხმება)? ან იქნებ მართლაც ასეთი ძლიერი ვინმეა ეს მეივეზერი, ან გატია სუსტიო?

ნახევარი წელიწადი დასჭირდა კანადელს აზრზე მოსასვლელად. გონს კი მოეგო 28 იანვარს, დანიელ ტომას დამგაარდზე ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვებით.

ჩრდილოამერიკელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორთაბრძოლებს ყოველთვის ზედმიწევნით სერიოზულად უდგება ფიზიკური მზადყოფნის თვალსაზრისით. ამასთან, გატის სისწრაფეს დამატებით კოზირად აღიქვამენ შედარებით ზანტ ბალდომირთან დაპირისპირებისას.

მართალია, არგენტინელი ზესწრაფი მოკრივის სახელით არ სარგებლობს და არც მკვეთრად გამოხატული პანჩერია (დარტყმა, რომელსაც შეუძლია მეტოქე გათიშოს - "ამომრთველი"), მაგრამ სრული ორთაბრძოლის განმავლობაში შეუძლია მეტოქეზე ერთგვარი ზეგავლენა მოახდინოს. და კიდევ, კანადელს თვალის მიდამოებში არაერთი ტრავმა აქვს. ასე რომ, სამხრეთამერიკელის ასეთი შესაძლებლობა (პანჩერობა) კანადელს განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის. საკმარისია ჩრდილოამერიკელს ერთ-ერთი ჭრილობა გაეხსნას, რომ მერე ძალზე გაუჭირდეს.

"ორთაბრძოლას და ჩემს მეტოქეს ზედმეტად სერიოზულადაც კი ვუყურებ, - ორი დღის წინ პრესკონფერენციაზე აცხადებდა გატი, - მან დაამარცხა ზაბ ჯუდა, რომელიც ბევრად უფრო ნიჭიერი მოკრივეა, ვიდრე მე. ოღონდ ჩემსავით მამაცი ვერ არის. ბალდომირმა ტიტული მოიგო ნიუ იორკში (ორთაბრძოლას "მედისონ სქვეა გარდენმა" უმასპინძლა), ნიუ ჯერსიში კი მას დაკარგავს. ჩემი გამარჯვება გარდაუვალია".

არტურო გატისგან განსხვავებით, შედარებით თავშეკავებული იყო კარლოს ბალდომირი: მიხარია, რომ ისევ აქ ვარ. იქ, სადაც ტიტული მოვიგე, რომელსაც არასდროს დავივიწყებ. ყველამ კარგად იცის, ვინ ვარ მე და ვინაა არტურო გატი. ასე რომ, პროგნოზები თქვენთვის მომინდვიაო.

# "ჰონდა 007" გაფრინდა

### "ფერარი" და "რენო" ერთმანეთის ალი-კვალია

*სამეფო რბოლთა მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ბედს, უფრო სწორად, მოვლენათა განვითარებას "რენოს" მთავარი ინჟინერი, დირექტორი პეტ სიმონდსი საბურავებში ხედავს. ვინ არიან საბურავების მთავარი მიმწოდებლები? რა თქმა უნდა, ფრანგული "მიშლენი" და იაპონური "ბრიჯსტოუნი".*



ჰონდამ ბონევილის უდაბნოში რეკორდი დაამყარა.

სიმონდსი, რომლის ლურჯ-ყვითელი გუნდი კონსტრუქტორთა და მრბოლთა დავაში, შესაბამისად, 21 და 17 ქულით უსწრებს მის უახლოეს მდევარ "ფერარის", ესპანურ AS-თან საუბარში აღიარებს, რომ ტექნიკური თვალსაზრისით "ფერარისა" და "რენოს" ბოლიდები ძალზე ახლოს არიან ერთმანეთთან.

"ჩვენს შორის სხვაობა ახლა მხოლოდ საბურავების ეფექტურობაზე იქნება დამოკიდებული".

ფრანგული საჯინიბოს საბურავებით მომმარაგებელი "მიშლენი", რომელიც სეზონის უმეტეს დროს დომინირებდა, სეზონის დასრულების შემდეგ ტოვებს სპორტის უსწრაფეს სახეობას. ეს მაშინ, როდესაც "ბრიჯსტოუნით" აღჭურვილმა "ფერარიმ" ზედიზედ ორი რბოლა მოიგო (აშშ-ის და საფრანგეთის დიდი პრიზები). ასე რომ, ახლა იაპონური საბურავები იკრებს ძალას.

ამასთან, სიმონდსი მიიჩნევს, რომ ფერნანდო ალონსოს გაუმართლა, მეორე ადგილზე რომ დაასრულა რბოლა "მანი-კურის" ტრასაზე და არა მესამეზე ("საფრანგეთის დიდ პრიზზე" მესამემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი ფერარელმა ფელიპე მასამ).

ახლა რენოელები მოუთმენლად ელიან V8-ს ძრავის მორიგ ევოლუციას, რომლის დებიუტი შედგება ჰოკენჰაიმის რინგზე ("გერმანიის დიდი პრიზი"). ახალი ძრავით თავდაპირველად ჯანკარლო ფიზიკელას ბოლიდი იქნება აღჭურვილი.

"სიახლე ის იქნება, რომ ძრავა ახალ მახასიათებლებს შეიძენს".

მომდევნო რბოლებისთვის "რენო" და "ფერარი" გეგმავენ მანქანების კორპუსის შემდგომ განახლებასაც. თანაც, სიმონდსი მიიჩნევს, რომ მოწინავის პოზიციის დაცვა მისი გუნდისთვის საუკეთესო სტრატეგია არ არის.

"შარშან ჩვენ გავიმარჯვეთ, რადგან "მაკლარენთან" შედარებით უფრო გამძლე ტექნიკა გვქონდა. წლეულს კი უფრო სიჩქარისთვის ვიბრძოლებთ".

ამასობაში "ჰონდას" ბოლიდმა ჯეიმსბონდური სახელწოდებით "ჰონდა 007"-მა ფორმულა 1-ის კლასის მანქანებისთვის სიჩქარის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

იუტას შტატის ბონევილის ტბის სიახლოვეს, უდაბნოში გაშლილ ტრასაზე, 7 მილის მონაკვეთზე (11 კილომეტრზე ცოტა მეტი) "ჰონდა 007"-ის მრბოლმა ალან ვან დერ მერვემ ფორმულა 1-ის ბოლიდი გააგელვა საშუალოდ 220,571 მილ/სთ სიჩქარით (354,898 კმ/საათი). იაპონური მანქანათმშენებლობის გიგანტს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციისა (ფია) და ამერიკული ავტოკლუბის (USAC) წარმომადგენლები ადევნებდნენ თვალს. მათ ოფიციალურად დააფიქსირეს "ჰონდა 007"-ის შედეგი და ახლა ფია-ს მოხელეებისგან რეკორდის რატიფიკაციას ელიან.

გარდა ამისა, ვან დერ მერვემ შეძლო განეახლებინა 1 კილომეტრზე ადგილიდან გაქანებით მსოფლიო რეკორდი. ახალი რეკორდი კი 355,499 კმ-სთ უდრის. მრბოლის თქმით, ახლა მთავარი მიზანია "ჰონდამ" გადააბიჯოს 400-კმ/საათიან ზღვარს.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის განცხადება

**სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტის გარემოს დაბინძურების შემცირების კომპონენტის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის შერჩევის შესახებ**

საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტს, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA) და გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF). პროექტი ხორციელდება სამი მიმართულებით: (ა) საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადაპტირებადი კვლევის შედეგების დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში; (ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმა, რომელიც გამოიცდება ერთ-ერთი შერჩეული მაღალპრიორიტეტული კვლევითი მიმართულების მაგალითზე; (გ) გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან დაბინძურების შემცირებას.

გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამით დასავლეთ საქართველოს შერჩეული რაიონების მეცხოველეობის ფერმებში მიმდინარეობს ორგანული ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის პრაქტიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა, გარემოსათვის ნაკლებად მავნე და ამავე დროს მაღალპროდუქტიული სამეურნეო მოდელების გავრცელება და ამ ღონისძიებათა შედეგად ნიადაგისა და წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების ცვლილების მონიტორინგი. პროგრამა ითვალისწინებს, აგრეთვე, თანამედროვე და ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მათ პოპულარიზაციას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი აცხადებს შესარჩევ კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

**გარემოს დაბინძურების შემცირების კომპონენტის ხელმძღვანელი.**

**ძირითადი მოვალეობები:** სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის ტექნიკური მენეჯერის უშუალო ზედამხედველობით გარემოს დაბინძურების შემცირების კომპონენტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საფუძვლიანი ფერმერული მეურნეობების ღონისძიებების ხელშეწყობასა და ნიადაგისა და წყლის დაბინძურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების მართვაზე შერჩეულ წყალგამყოფ კვანძებსა და სადემონსტრაციო ფერმებში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) სავალდებულო:

1. სრულყოფილი უმაღლესი განათლება სოფლის მეურნეობის ან საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში;
2. სამეცნიერო ხარისხი სოფლის მეურნეობის ან საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში;
3. ადმინსტრაციული სამუშაოს შესრულების 2 წლის გამოცდილება;
4. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხების კარგი ცოდნა;
5. წერილობითი და ზეპირი ინგლისური ენის კარგი ცოდნა;
6. კომპიუტერის ცოდნა (MS Office).

ბ) სასურველი:

1. გარემოსდაცვის მართვასთან დაკავშირებული საქართველოს კანონების/დებულებების კარგი ცოდნა;
2. შესანიშნავი ორგანიზაციული უნარ-ჩვევები და ყურადღება დეტალებისადმი;
3. პირადი ურთიერთობების დამყარების საფუძვლიანი უნარი და კოლეგებსა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის დამყარებისა და შენარჩუნების უნარი.

შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ 1997 წლის იანვარში გამოცემული და 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული სახელმძღვანელო დებულებების "კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ" დებულებების შესაბამისად.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ: ავტობიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე, დიპლომისა და სერტიფიკატის ასლები, რეკომენდაცია(ები) სამუშაო ადგილიდან.

საკონკურსო განაცხადები და ავტობიოგრაფიული მონაცემები მიიღება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 4 აგვისტოს 17:00 საათამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი.
საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას 41,
მე-III სართული, ოთახი 327. ტელ.ფაქსი: 934651/922041.
საკონტაქტო პირი: ქ. ნინო გულუა
ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის 2006 წლის პროგრამის" "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამის" ფარგლებში, ინსტიტუციური დაწესებულებების ბენეფიციართა საკურორტო რეაბილიტაციის მიზნით ზღვის კურორტზე საკურორტო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

***2. შესასყიდი მომსახურება -*** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ შშმ პირთა/ბავშვთა და ხანდაზმულთაAსოციალურ ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მყოფი და მომუშავე 131 პირის ზღვის საკურორტო მომსახურეობით უზრუნველყოფა; საკურორტო დასვენების ხანგრძლივობა - 14 დღე;

***3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები*** - 2006 წლის 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე.

4. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დახურულ კონვერტში) სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 11 აგვისტოს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან, რომ არ ხორციელდება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი არ არიან მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი არ არის მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან, რომ შესყიდვაში მონაწილე პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და/ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია საკურორტო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, სადაც განხორციელებული იქნება მომსახურება (დამტკიცებული აუდიტის მიერ);

დ) საკურორტო დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) მომსახურების განხორციელების ადგილის მისამართი, შენობის (სათავსოს) გეგმა, საჭიროების შემთხვევაში - ქირავნობის ხელშეკრულების ასლი;

7. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107, ანგარიშის N200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N300023133 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 9 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი ან რამდენიმე ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ოდიშარია ტელ: 698485., თეა სტურუა ტელ: 348779 მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). **E-mail: sales@s.ge**

# "განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

ა) დემოგრაფიის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

ბ) სოციოლოგიის განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

გ)ინფორმაციისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში),

ბ) პატენტები,

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში,

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში.

ე) სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიური ხედვა;

ვ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

5. საბუთების მიღება იწარმოებს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტში, მისამართი: ქ. თბილისი, პუშკინის ქ. 5/7, III სართ. ოთახი 304.

6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა პრესაში განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვე.

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის "24" აგვისტოს.

8. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

**www. mes.gov.ge**
**e-mail: demosoc@mail.ru**
ტელ: 93-13-11, 93-14-36
პასუხისმგებელი პირი ციცინო გვრიტიშვილი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ბორჯომის რაიონის გამგეობა, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1 აცხადებს ტენდერს " მრავალსართულიანი შენობების სახურავების რეაბილიტაციის პროგარმით გადახურვის მასალების შესყიდვაზე" და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პიერ.

შესასყიდი მასალებია:

ლოტი 1: ქანობიანი სახურავის გადახურვის მასალა (ფერადი) - 9000 კვ. მეტრი.

ლოტი 2: ბრტყელი სახურავის გადახურვის მასალა - 2000 კვ. მეტრი.

შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული**.**

მასალის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში;

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე 2 ეგზემპლიარად ( 1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) და წარმოდგენილი **2006 წლის 11 აგვისტოდან 14 აგვისტოს 14 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1, მე-2 სართული ოთახი N9, ბორჯომის რაიონის გამგეობა**.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგასტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

**ფიზიკური პირისათვის**:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირისათვის**:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)
- ინფორმაციას უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობასი განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადი ინსპექციიდან);
- საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებულ ბოლო სამეურნეო წლის ფინანსურ ანგარიშებს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს (იურიდიული პირისათვის ბალანსები, ფიზიკური პირისათვის დეკლარაციები);

იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი არმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, შეუძლიათ 24 ივლისიდან 11 აგვისტომდე, 10 სთ -დან 17 სთ-დე შემდეგ მისამართზე : ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N 1 მე-5 სართული. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება ს.ს თიბისი ბანკის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ფილიალი, კოდი 220101762, ანგ. N 330500003, მიმღები: ბორჯომის რაიონის საფინანსო სამსახური; ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

დამატებითიინფორმაციადაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: **ქ.ბორჯომი რუსთაველის მოედანი N 1 მე-5 სართული , ბორჯომის რაიონის გამგეობა, ტელეფონი: (8-267) 2-20-13, 2-30-51.**

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი –ბორჯომის რაიონში, სოფ. ჭობისხევის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1004 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>201 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 10 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**II ობიექტი – სოფ. კიანეთის ტერიტორიაზე მდ. მაშავერას მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 259 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1252 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**III ობიექტი – მცხეთის რაიონში, სოფ ძეგვის ტერიტორიაზე მდ.მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 693 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>939 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 35 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**IV ობიექტი – ქ. რუსთავში, მდ. მტკვრის მარცხენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 118 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>624 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 40 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |

**V ობიექტი – მცხეთის რაიონში, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 16 761 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3 352 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 125 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**VI ობიექტი –საჩხერის რაიონში, სოფ. იტავაზის ტერიტორიაზე კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 37 556 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>7 511 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის ჯამური მოცულობა | 600 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**VII ობიექტი –გორის რაიონში, სოფ. ტყვიავის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. პატარა ლიახვის ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 826 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 565 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 45 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**VIII ობიექტი –კასპის რაიონში, მდ. ქსნის მარჯვენა ჭალის ტერასაზე საქადაგიანოს, თეზისა და აღაიანის უბნებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 70 263 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>14 052 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 700 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**IX ობიექტი – სოფ. შრომის-უბნის ტერიტორიაზე მდ. სუფსის ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 14 034 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 807 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 180 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |

**X ობიექტი – სენაკის რაიონში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 026 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 405 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 70 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XI ობიექტი – სენაკის რაიონში, სოფ. ძველი სენაკის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 20 075 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>4 015 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 200 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XII ობიექტი – ხაშურის რაიონში, სოფ. ცოცხნარას შემოგარენში ქემფერის კვარციანი ქვიშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 019 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 004 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კვარციანი ქვიშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XIII ობიექტი – მცხეთის რაიონში, სოფ. გალავანის ტერიტორიაზე მდ. თეზამი-2 –ის ქვიშა-ხრეშის გამოვლინების ჯილაური-3 უბნის ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
